ვალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№146 (12825) 24 ივნისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

# რატომ დატოვა ოდიკაძემ უნგრეთი?





## ლომაიამ ინტერთან კონტრაქტი გააფორმა

>> გვერდი 3



>> გვერდი 9

## მარჩელო პრობლემებს ვერ დაემალება

### სკუადრა აძურას სერიოზული ცვლილებები ელის

# 6.3 მილიონი ევრო მჭედლიძის სანაცვლოდ

## დღეს მილანში ლევანის ბედი გადაწყდება

დღეს, მილანში „პალერმოსა" (სერია A) და „ემპოლის" (სერია B) სპორტული დირექტორების შეხვედრაა დაგეგმილი. ვალტერ საბატინისა („პალერმო") და პინო ვიტალეს („ემპოლი") მხოლოდ ერთი საკითხი აქვთ მოსაგვარებელი - სად გააგრძელებს კარიერას 19 წლის ლევან მჭედლიძე და როგორი პირობებით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდი 2010 წლის ზაფხულამდე „ემპოლის" ეკუთვნის, „პალერმოში" კი განათხოვრების წესით თამაშობს. სიცილიელებს მისი შესყიდვის ექსკლუზიური უფლება აქვთ. დღეს უნდა გადაწყდეს, იყიდის „პალერმო" მჭედლიძეს, თუ კვლავ იჯარით დაიტოვებს. ასეთ შემთხვევაში, ქართველი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება და, შეიძლება, ორივე კლუბმა იზარალოს. „ემპოლიმ" მჭედლიძის ფასი უკვე გაახმაურა - 6.3 მილიონი ევრო. იტალიური მედიის მტკიცებით, „პალერმოს" ხელმძღვანელობა ორჭოფობს, მიზეზი კი შეიძლება ჩვენებურის ხშირი ტრავმები იყოს. გასულ სეზონში ლევანმა 10 მატჩში ითამაშა და 1 გოლი გაიტანა.

ნიკოლოზ ნეფარიძე





# ცსკა? ჯერ ადრეა

## მთავარი საზაფხულო მისია: საქართველოს სახელის დაცვა

>> გვერდი 12 ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ლოკომოტივი

# პრეზიდენტის სიტყვა: ისევ უმაღლესში ვითამაშებთ!



ლექსო თოფურია

ИARSEBEBS საფეხბურთო კლუბი „ლოკომოტივი" და ითამაშებს უმაღლეს ლიგაში? დაახლოებით ასე იდგა საკითხი, რამეთუ მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გასულ გუნდს ფული შემოაკლდა. კლუბის პრეზიდენტი **ლექსო თოფურია** უცხოეთში გახლდათ და შემოგვითვალა, თბილისში რომ დავბრუნდები, ამ საკითხზე მერე დაგელაპარაკებითო. გუშინ თოფურია თბილისში ჩამოვიდა და გვითხრა, რომ:

*„გუნდი ისევ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, თუმცა რა შემადგენლობით, ამას მალე გაიგებთ. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი" ფუნქციონირებას არ შეწყვეტს".*

რა თქმა უნდა, ესეც საქმეა. თოფურიას ნათქვამიდან ჩანს, რომ გუნდში ალბათ დამწყები ფეხბურთელები ითამაშებენ, თუმცა ეს ჯერ მაინც ვარაუდია და ცოტაც მოვიცადოთ - დღეს თოფურია „ლოკომოტივის" მწვრთნელ-ფეხბურთელებს შეხვდება და გადაწყვეტილებას კრებაზე გაახმოვანებს.

**დავით თავართქილაძე**

ოლიმპი

# ბრაზილიური დელეგაცია ხვალ ჩამოდის

**ევროპის ლიგის კენჭისყრა გაიმართა, „ოლიმპის" მეტოქე გაირკვა, გუნდი მომზადებას აგრძელებს და რუსთაველთა ხელმძღვანელობამ უეფაში მოთამაშეთა სიაც გაგზავნა. ამის მიუხედავად, დღემდე გაურკვეველია, დაემატებიან თუ არა „ოლიმპს" „ატლეტიკო პარანაენსეს" ფეხბურთელები, რომელთა ჩამოყვანაზეც ბრაზილიაში მცხოვრები ქართველი მწვრთნელი გოჩა ალადაშვილი საუბრობდა. ჩანაფიქრი ხომ ლათინოამერიკელების უეფას ევროპის ლიგაზე თამაშს გულისხმობდა.**

**ვითარებაში გასარკვევად რუსთავის „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ ჯაფარიძეს დავუკავშირდით.**

**- ბატონო ზურაბ, ბრაზილიიდან დელეგაციის ჩამოსვლა 23 ივნისს დილით იგეგმებოდა. თუმცა, არავინ ჩამოსულა. წინასწარი შეთანხმება ხომ არ ჩაიშალა?**

- არ ჩაშლილა, ახლა წყდება, როდის გამოემგზავრებიან.

**- გაურკვეველია ფეხბურთელების საკითხიც. რომელი პოზიციის მოთამაშეებს გთავაზობენ?**

- ჯერ კლუბების თანამშრომლობაზე მოვილაპარაკებთ და შემდეგ ფეხბურთელებზეც.

ამის შემდეგ ბრაზილიელების საქართველოში ჩამოყვანის ინიციატორ გოჩა ალადაშვილს დავუკავშირდით:

**- ბატონო გოჩა, „ატლეტიკო პარანაენსეს" ხელმძღვანელობასთან ერთად როდის გვესტუმრებით?**

- 25 ივნისს ჩამოვდივართ. ეს არ იქნება პატარა მოვლენა, რადგანაც ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული კლუბის ხელმძღვანელობის ჩამოსვლაზეა საუბარი. მოდიან „ატლეტიკო პარანაენსეს" პრეზიდენტი მარკუს მანუსელი, მისი მეუღლე, დირექტორი ლუის კორდეირო - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი რაფაელ ანდრადე, ადვოკატი, რომელიც ლუქსემბურგოს ბიძაშვილია და მე. დიდი მნიშვნელობის თანამშრომლობაზეა ლაპარაკი - მაგალითად, საბავშვო სკოლის გახსნაზე, „ატლეტიკო პარანაენსეს" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოველწლიურ ამხანაგურ შეხვედრებზე, ასევე ახალგაზრდული ნაკრებისა და ბრაზილიელთა სარეზერვო გუნდის მატჩების ორგანიზებაზე და ა.შ. ამათი 20-წლამდელების გუნდი ბრაზილიის ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, „ატლეტიკო პარანაენსეს" საფეხბურთო სკოლები ძალიან ბევრ ქვეყანაში აქვს - იაპონიაში, ჩილეში, ამერიკაში, ჩინეთში, კორეაში, კანადაში. იმედია, ამ სიას მალე საქართველოც მიემატება.

**- ფეხბურთელებთან ერთად მოდიხართ?**

- ჯერ ჩვენი შეთანხმება უნდა გაფორმდეს.

**- საბოლოოდ, რამდენი მოთამაშის ჩამოყვანას აპირებთ?**

- რამდენიც „ოლიმპს" დასჭირდება, სამი, ათი თუ ოცი, ეს ადგილზე გადაწყდება. თავიდან ოცი მოთამაშე პირობითად ვახსენე და ამან გაუგებრობა გამოიწვია. ისიც უთქვამთ, ეს რა მარაზმიაო, მაგრამ ამას ქართული ფეხბურთისთვის ვაკეთებ და იქნებ ვინმემ მითხრას, რომ ჩვენს ფეხბურთს დახმარება არ სჭირდება?

**- „ოლიმპი" უეფას განაცხადში ფეხბურთელებს თუ ვერ შეიყვანს, რა აზრი ექნება მათ ჩამოყვანას? ბრაზილიური მხარე ხომ ფეხბურთელების ევროპაში გაყიდვაზე ფიქრობს?**

- მაგასაც არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი კლუბების მრავალწლიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება. სხვათა შორის, ლაპარაკია ბრაზილიის ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშები ფეხბურთელების ჩამოყვანაზე და არა ვილაც პლაჟის ფეხბურთელებზე.

**- საქართველოში ბევრმა არც იცის, რა კლუბია „ატლეტიკო პარანაენსე"...**

- „ატლეტიკო პარანაენსე" ბრაზილიის უმაღლესი ლიგაში თამაშობს, 2001 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა, 2005 წელს კი ლიბერტადორესის თასის ფინალში გავიდა! აი, ამ დონის კლუბის ხელმძღვანელობამ ისურვა ჩამოსვლა და ქართველებთან პარტნიორობა. კლუბის პრეზიდენტს პარტნიორობის იდეა თავიდანვე მოეწონა - სანამ მე ვარ, თანადგომა არ მოაკლდება, გენდობი და წამოვალთო. ეს საქართველოსთვისაც კარგი იქნება და ამათთვისაც. გუნდში 50 პროფესიონალი ფეხბურთელი ირიცხება, რომელთა ნაწილიც განათხოვრებულია და სწორედ მათ ჩამოყვანას ვაპირებთ. არავინ თქვას, მაგათი დუბლიორები რაში გვჭირდებაო - ჩამოვლენ და თავად განსაჯეთ, რა დონის მოთამაშეები მოგვყავს. რომ იცოდეთ, ამ ბიჭების ხელფასები 10-15 ათასს უტოლდება. მათი ჩამოყვანა ქართული ფეხბურთის დონეზეც დადებითად იმოქმედებს და ჩვენს ფეხბურთელებზეც - ბრაზილიელების გვერდით ქართველების დონე გაიზრდება. ჩვენთან ხომ მაღალი დონის ფეხბურთელების ნახვა ენატრებათ? რამდენიმე ბრაზილიელი ერთად კი სხვა ძალაა. კლუბი მათ თავად დააფინანსებს და ხელფასების გადახდა „ოლიმპს" არ მოუწევს. კლუბზე კიდევ იმას გეტყვით, რომ „ატლეტიკო პარანაენსეს" აქვს 14 მოედნიანი ბაზა, 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო და ა.შ. კურიტიბაში, „ატლეტიკო პარანაენსეს" სტადიონზე ჩატარდება 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები, მათ შორის, მერვედფინალურიც. ეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა. ახლახან იოზეფ ბლატერი ჩამოვიდა, სტადიონები, აქაური ინფრასტრუქტურა შეამოწმა და მოიხიბლა. მსგავსი ინფრასტრუქტურა ბრაზილიაში „კორინთიანსს", „ფლამენგოსა" და სხვა გრანდებსაც არ აქვთ. ზემოთაც გითხარით, რომ ყოველწლიურად ჩვენი ნაკრების და „ატლეტიკო პარანაენსეს" შეხვედრების ორგანიზება გვსურს - საქართველოშიც და ბრაზილიაშიც. სხვათა შორის, ჩემი უახლოესი მეგობარი ნეი პარანას შტატის გუბერნატორის მეგობარია და საქართველოსა და ამ შტატის თანამშრომლობაზეც შეიძლება ვიფიქროთ. ისე, რომ იცოდეთ, პარანას შტატი ტერიტორიულად იტალიაზე დიდია და მთელ ბრაზილიაში ყველაზე მოწესრიგებული რეგიონადაა ცნობილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# 25 კრიმტეპლიცელი

## კვახაძე მარიბორის მერე წავა?

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია" დღეს ყირიმში გაემგზავრება, კრიმტეპლიცას ბაზაზე დაბინავდება და შინ 10 ივლისს დაბრუნდება. „ვიტ ჯორჯია" იქ პირველად როდი მიდის სეზონისწინა შეკრებაზე, ოღონდაც ახლა ახალი პირობებით ესტუმრება ყირიმს - ხელშეკრულების თანახმად უკრაინელებმა ვიტჯორჯიელები კრიმტეპლიცაში ხუთვარსკვლავიანი კომფორტით უნდა აცხოვრონ. **რამაზ მუმლაძეს** უკრაინაში ასეთი შემადგენლობა მიჰყავს:

მეკარეები - **ბედიაშვილი, მიქაბერიძე, ლურბელეიშვილი;**

მცველები - **ა. კვახაძე, დ. ლომაია, ყველაშვილი, მგელაძე, ადამაძე, კასრაძე, ხურცილავა, ჯაფარიძე;**

ნახევარმცველები - **ბექვაია, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მაისაშვილი, ჯანელიძე, ვასაძე, ლანიაშვილი, კახელიშვილი;**

თავდამსხმელები - **კვარაცხელია, ლიპარტია, როსტიაშვილი, ბერიაშვილი, ზაქრაძე.**

მუმლაძის სიაში არ არის **გიორგი მელქაძე**, ვინც წინა სეზონში გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახლდათ. მელქაძე კრიმტეპლიცაში ტრავმის გამო ვერ მიდის. უკრაინულ 25-კაციან ჩამონათვალში ვერ მოხვდა **გიორგი კვალინიძეც** - კლუბი მას სხვა გუნდში გაუშვებს თუ გაანათხოვრებს, ჯერ გარკვეული არ არის. კვალინიძე მეტწილად შეცვლებზე თამაშობდა „ვიტ ჯორჯიაში" და შორეული, ძლიერი დარტყმებით გამოირჩეოდა.

ფაქტობრივად, გადაწყვეტილია **ალექსანდრე კვახაძის** საკითხი. გუშინდელ „ლელოში" გაუწყეთ, რომ იყო შანსი, კვახაძეს ჰაიფას „მაქაბიში" გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ მოხდება - „ვიტ ჯორჯიაში" გვითხრეს, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვენიურ „მარიბორთან" კვახაძე საქართველოს ჩემპიონის განკარგულებაში იქნება.

**დავით თავართქილაძე**



ლექსო კვახაძე

გაგრა

# ნიგერიელები ამ კვირაში...

„გაგრა", წლეულს უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაგრამ დიდი შანსია, რომ ისევ უმაღლეს ლიგაში ითამაშოს, ახლა ურეკშია. როგორც „გაგრაში" გვითხრეს, ახალი სეზონისთვის მზადების ამ ეტაპზე აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება, თუმცა მალე **ვიქტორ კაშჩეის** გუნდი საკონტროლო მატჩებსაც გამართავს - 26 ივნისს პირველი ლიგის დასავლეთ ზონის გამარჯვებულ „სამტრედიას" ურეკში შეხვდება, სამი დღის შემდეგ კი ამავე გუნდს სამტრედიაში გაეჯიბრება.

ადრეც გაუწყეთ, რომ „გაგრაში" ახალგაზრდა ნიგერიელი ფეხბურთელები უნდა მისულიყვნენ გასინჯვაზე და აი ისინიც - **რაზაკ შაკირუ, შეუნ აკინადე, ოფურიე უზიაზორი, ოლადუნტოიე ისიაკა** და **ისმაელ ოლუდარე**. ამ ნიგერიელებს „გაგრაში" ამ კვირაში ელიან.

კაშჩეის გუნდში უკვე არაერთი ფეხბურთელია გასინჯვაზე და მათ შორისაა **შალვა კვანტალიანიც**. ეს ახალგაზრდა ფორვარდი წინა სეზონის მეორე ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობდა და არც თუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# კობახიძე დნიპროდან კრივბასში

დნეპროპეტროვსკის „დნიპრო", რომელშიც გასულ სეზონში 4 ქართველი ფეხბურთელი ირიცხებოდა ახალ სეზონს მხოლოდ ერთი ჩვენებურით დაიწყებს - თუკი დროულად გამოჯანმრთელებას მოასწრებს ის ერთი **ჯაბა კანკავა** იქნება. ჯაბამ უკვე დაიწყო ვარჯიში ინდივიდუალური პროგრამით. მოგეხსენებათ, **ბექა გოცირიძე** ავტოკატასტროფაში მოჰყვა და წლეულს მისი თამაში თითქმის გამორიცხულია. ორი ჩვენებური კი გუნდში აღარ იქნება, საუბარია **სანდრო კობახიძეზე** და **ბექა ბეროშვილზე**. სათადარიგო გუნდის წევრ ბეროშვილს კონტრაქტი დაუსრულდა და აღარ გაუგრძელეს. 19 წლის ბეროშვილმა ბოლო სეზონში „დნიპროს" დუბლებში 13 თამაშში მიიღო მონაწილეობა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ „დნიპროს" 22 წლის შემტევი ნახევარმცველი სანდრო კობახიძე კრივოი როგის „კრივბასში" გადის სინჯებს თანაგუნდელ **ვიაჩესლავ სერდიუკთან** ერთად. თუკი ეს ფეხბურთელები „კრივბასის" თავკაც **ოლეგ ტარანს** მოეწონება, ისინი სეზონს იჯარით წესით ახალ გუნდში გაატარებენ. „კრივბასმა" ვიშალიგა 32 ქულით მე-12 ადგილზე დაასრულა და გაძლიერებას საჭიროებს. სანდრო საკმაოდ სოლიდურ თანხად „დინამოდან" 2008 წლის დასაწყისში გადავიდა. მას „დნიპროს" რიგებში დებიუტი შარშან მარტში ჰქონდა (ზაპოროჟიეს „მეტალურგთან"). სამწუხაროდ, მას მეტჯერ „დნიპროს" პირველი გუნდის მაისური აღარ მოურგია. დუბლებში 31 მატჩში მან 3 გოლი გაიტანა. სანდრო ხშირად მეორე ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა დუბლებში.

სანდრომ უკვე ითამაშა „კრივბასში" საკონტროლო შეხვედრაში ამ გუნდმა „ტავრია" 1:0 დაამარცხა. სანდრომ მეორე ტაიმი ითამაშა გამარჯვებულთა რიგებში. **ვასილ გიგიაძემ** „ტავრიაში" პირველი ტაიმი ითამაშა.

სხვათა შორის, წინა დღეს „ტავრიამ" „ვოლინი" გაანადგურა - 7:2. ამ შეხვედრაში პირველი ორი გოლი ვასილ გიგიაძემ გაიტანა. ლუგანსკის „ზარიაში" სინჯებს გადიოდა ოდესის „ჩერნომორეცის" ყოფილი ფორვარდი **ირაკლი მოდებაძე**, თუმცა გუნდმა ის სხვა ოთხ ფეხბურთელთან ერთად დაიწუნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სანდრო კობახიძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ტრანსფერები

# აკობია ზაია-მგლებში

ლევან აკობიას ზუგდიდის გაერთიანებულ კლუბ „მგლები-ბაიაში“ თამაში შესთავაზეს. 28 წლის ფეხბურთელი სომხეთის უმაღლეს ლიგის ბინადარ „ულისეში“ გამოდიოდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება სურდა.

*„ზუგდიდიდან დამირეკეს და მითხრეს, ჩამოდიო. უცხოეთში თამაშს საქართველოში დაბრუნება მირჩევნია, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არც ვიცი, დავბრუნდები თუ არა. „ულისესთან“ კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება და არ ვიცი, ჩემს გამოშვებაზე რა პასუხი ექნებათ. არადა, ზუგდიდში გუნდები გაერთიანდნენ და იქ თამაში ძალიან მინდა. დარწმუნებული ვარ, „მგლები-ბაია“ დიდი ძალა გახდება“*, - გვითხრა აკობიამ.

შეგახსენებთ, რომ სომხეთში წასვლამდე ლევან აკობია თბილისის „დინამოში“ თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# დევიძე სიონში ვარჯიშობს

„ბორჯომი“ ჩემპიონატის უპირობო აუტსაიდერი გახლდათ და უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა. ამის მიუხედავად, გუნდში რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი ირიცხებოდა. მათმა ნაწილმა საკუთარი გზა უკვე იპოვა. მაგალითად, **ბექა შეყრილაძე** რუსთავის „ოლიმპში“ გადავიდა, **ილია პავლიაშვილმა** „გაგრასთან“ 3-წლიანი კონტარქტი გააფორმა, **ირაკლი კიკნაძეს** კი „ლოკომოტივი“ იწვევს. ამ დროს, გაურკვეველი რჩებოდა საყრდენი ნახევარმცველის **ნოდარ დევიძის** ბედი, რომელმაც „ბორჯომში“ რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაატარა.

როგორც შევიტყვეთ, მისი აყვანით თავიდან „გაგრა“ დაინტერესდა, მაგრამ 19 წლის ფეხბურთელმა სეზონისთვის მზადება ბოლნისის „სიონთან“ ერთად დაიწყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ოდიკაძე უნგრეთიდან წამოვიდა!

## დინამო? ალბათ, გამორიცხულია



დავით ოდიკაძე

**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და უნგრეთის „დიორი ეტოს“ ნახევარმცველი დავით ოდიკაძე კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტას აპირებს. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაადასტურა...**

**- დავით, მოულოდნელი ინფორმაცია შევიტყვეთ, თითქოს „დიორი ეტოდან“ წამოხვედით...**

- წამოსვლა მსურს, მაგრამ ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. 21 ივნისს გუნდის შეკრებაზე არ მივედი. დამირეკეს, გაგიჟებულები იყვნენ - ხომ მშვიდობაა შენკენო? ვუთხარი, რომ ჩასვლას არ ვაპირებდი. ამის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობას დავუკავშირდი და ყველაფერი ვუთხარი.

**- უნგრელებს რა რეაქცია ჰქონდათ?**

- როცა ვითარება ავუხსენი, ყველაფერი კარგად გაიგეს.

**- რა მოხდა ისეთი, რამაც წამოსვლა გადაგაწყვეტინათ?**

- 6 თვეა დავოჯახდი და მას მერე ჩემი მეუღლე უნგრეთის ვიზას ვერ ელირსა. არადა, ფეხმძიმედაა და ასეთ მდგომარეობაში ვერ მივატოვებ. რომც წავიდე, რა გულით ვითამაშებ? ჭკუა-გონება აქეთ უნდა მქონდეს. ამიტომაც მირჩევნია, დავრჩე.

**- „დიორი ეტოსთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გაქვთ და ეს საქმე როგორ მოგვარდება?**

- ჩვეულებრივად, გაწყდება კონტრაქტი, ეს არ არის პრობლემა.

**- ეს თქვენი ვარაუდია, კლუბთან თუ შეათანხმეთ?**

- ესეც შეთანხმებულია. „დიორი ეტოს“ პრეზიდენტსა და მის მრჩეველ ლაშა ოდილაძეს ველაპარაკე და მითხრეს - რაკი შენსას არ იშლი, გავწყვიტოთ კონტრაქტიო. მოკლედ, თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვალ. ასე არ შეიძლება, ევროპაში ვთამაშობ და ჩემს მეუღლეს ვიზას არ აძლევენ. რა, ტერორისტია?!

**- უარის მიზეზად რა დაასახელა უნგრეთის საკონსულომ?**

- არაფერსაც არ ამბობენ, პირდაპირ უარით გვისტუმრებენ. კარგია, არა?

**- გულახდილად თქვით, უნგრეთში რაიმე კონფლიქტი მოგივიდათ თუ საფეხბურთო ან საერთო გარემო არ მოგეწონათ? ასე მოულოდნელად მსგავს გადაწყვეტილებას არ იღებენ...**

- ევროპაში ვარ და ყველაფერი ძალიანაც მომწონს, კლუბიც მაღალი დონისაა, ჩემპიონატიც და ხალხიც ნორმალურია. გული კი მწყდება, მაგრამ... რა ვქნა, მეუღლეს მარტო ვერ დავტოვებდი.

**- უკეთესი კლუბი ხომ არ გიწვევთ?**

- ჯერ არავინ მიწვევს, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, უგუნდოდ არ დავრჩები.

**- ჩვენ კი გვითხრეს, „დიორი ეტოდან“ თითქოს ფინანსური კრიზისის გამო წამოხვედით, ხელფასებს ამცირებენ და პრემიებიც არ აუღიათო...**

- კრიზისი ჩვენს კლუბს კი არა, მთელ მსოფლიოს შეეხო. თუმცა ჩემთვის ხელფასი არ შეუმცირებიათ.

**- სულ უცხოეთში წასვლაზე ფიქრობდით და ასე ერთი ხელის მოსმით საქართველოში დაბრუნდეთ, ცოტა უცნაურია...**

- კიდევ წავალ, სულ აქ ხომ არ დავრჩები?! მირჩევნია, იქ წავიდე, სადაც ოჯახი მეყოლება. „დიორი ეტოს“ ხელმძღვანელობას ეს რომ ავუხსენი, კარგად გამიგეს.

**- ახლა რას აპირებთ, უგუნდოდ ხომ არ დარჩებით?**

- რა თქმა უნდა, არ დავრჩები, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, სად ვითამაშებ. თუ უცხოეთიდან სერიოზულ წინადადება არ მივიღებ, არ არის გამორიცხული, დროებით საქართველოში ვითამაშო.

**- ...და თან თბილისის „დინამოში“?**

- ჯერ არაფერი ვიცი, უნგრელებს გუშინ დავშორდი. „დინამოში“ დაბრუნება, ალბათ, გამორიცხულია.

**- ბოლო დროს, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების გადაბირებას აქტიურად ცდილობს „ზესტაფონი“ და ძნელი წარმოსადგენია, თქვენთვის არაფერი ეთქვათ, მით უფრო, გადასვლას ადრეც გთავაზობდნენ.**

- მართლა არ გვისაუბრია, დასამალი რა მაქვს?

**- სხვათა შორის, გავიგეთ - „დიორი ეტოდან“ რატი ალექსიძეც წამოვიდაო...**

- არა, რატი დარჩა და შეკრებაზეც გაჰყვა გუნდს. მხოლოდ მე დავტოვე „დიორი“. ისე, სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვნანობ, რომ წამოვედი. არის მიზეზები, რის გამოც ამას ვამბობ...

**მერაბ მამულაშვილი**

# ლომაია ინტერშია

ამიერიდან საქართველოს ნაკრების 30 წლის გოლკიპერი **გიორგი ლომაია** ბაქოს „ინტერის“ ღირსებას დაიცავს. ლომაიამ **კახა ცხადაძის** გუნდთან კონტრაქტი უკვე გააფორმა, მაგრამ ის გუნდს ვერ დაეხმარება ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკური ტრნავის „სპარტაკის“ წინააღმდეგ. თუკი „ინტერი“ ამ ეტაპს დაძლევს ლომაია გუნდს მეორე ეტაპიდან დაეხმარება. საქმე იმაშია, რომ „ინტერმა“ უეფაში უკვე გააგზავნა 24-კაციანი განაცხადი, რომელშიც ლომაიას გვარი არ ფიგურირებს.

„აზერისპორტთან“ ინტერვიუში კახა ცხადაძე ფრთხილ კომენტარს აკეთებს მისი გუნდის შანსებზე ევროპის ლიგაში: *„რთული სათქმელია, როგორი თამაში გველის, თუმცა „ინტერი“ ყველაფერს გაიღებს გამარჯვებისთვის. ჩვენ შეგვიძლია „სპარტაკი“ გავაგდოთ. კარგია, რომ მეორე მატჩს ბაქოში ვთამაშობთ“.*



გიორგი ლომაია

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

## გიორგი კახელიშვილი

# ჯერ იყო დინამო, მაგრამ...

**ჩემპიონს მნიშვნელოვანი შენაძენი ჰყავს „ „ვიტ ჯორჯიამ“ ახალი სეზონისთვის ჯერ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დაიმატა - გიორგი კახელიშვილი. ეს ფეხმალი შემტევი ეროვნული ნაკრების დამრიგებელმა ექტორ კუპერმა სამჯერ მიიწვია „სამშაბათობაზე“. ესეც რომ არა, კახელიშვილი 22 წლისაა და სტაბილურ გუნდში წინსვლის კარგი შესაძლებლობა ექნება. კახელიშვილს იმის პერსპექტივაც აქვს, ახალი ფორმაციის, უნივერსალურ ფეხბურთელად რომ ჩამოყალიბდეს „თბილისის „ლოკომოტივში“ მარცხენა მცველადაც კი უთამაშია..თუმცა ის მოწოდებით მაინც გარემარბია.**

**- „ვიტ ჯორჯიაში“ გადასვლა შენი ინიციატივა იყო თუ პირველი ნაბიჯი კლუბმა გადადგა? ფაქტია, „ლოკომოტივს“ ფინანსური პრობლემები შეექმნა და მის ფეხბურთელებს ახალი გუნდის ძებნა უწევთ...**

- რა თქმა უნდა, არავის სურს ისეთ გუნდში დარჩენა, სადაც არ არის ფინანსური შესაძლებლობები. „ვიტ ჯორჯიადანაც“ იყო შემოთავაზება და მეც მინდოდა ამ გუნდში გადასვლა. „ვიტ ჯორჯიას“ ჰყავს კარგი პრეზიდენტი, მწვრთნელი და ფეხბურთელები, რის გამოც ამ გუნდში არის წინსვლის შესაძლებლობა. „ლოკომოტივზეც“ კარგის მეტი არაფერი მეთქმის - კლუბის პრეზიდენტ ლექსო თოფურიასთან და მწვრთნელებთან - ზაზა ზამთარაძესთან და გიორგი კიკნაძესთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და მაქვს, მათ ყველაფერი გააკეთეს „ლოკომოტივისთვის“ და პირადად ჩემთვისაც. მაგრამ ფეხბურთში ასე ხდება - სადაც არის ფინანსური შესაძლებლობები, იქ ჯობია თამაში. კიკნაძემ და ზამთარაძემაც მირჩიეს, „ლოკომოტივში“ გაჩერებას აზრი არ აქვსო და მგონი, არც თვითონ აპირებენ იქ დარჩენას.

**- „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ ფინანსური შესაძლებლობების გარდა იმითაც განსხვავდებიან, რომ „ვიტ ჯორჯიაში“ გაცილებით რთული იქნება ადგილის მოპოვება ძირითად შემადგენლობაში, სისტემატური სათამაშო პრაქტიკის არქონის შემთხევევაში კი სათუოა, მოხდება თუ არა ფეხბურთელის წინსვლა...**

- ძირითადში ადგილის დამკვიდრება მხოლოდ ჩემზე იქნება დამოკიდებული. თუ ძირითადში თამაშს ვერ დავიმსახურებ, ამას სხვას არ დავაბრალებ. არა მგონია, რომ „ვიტ ჯორჯიაში“ ვინმეს უსამართლოდ მოექცნენ.

**- „ლოკომოტივმა“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გაგიშვა?**

- „ლოკომოტივთან“ ყველაფერზე შევთანხმდით, დიდი პატივი მცეს და „ვიტ ჯორჯიაში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გამიშვეს, რის გამოც „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას მადლობას ვუხდი.

**- „ვიტ ჯორჯიას“ დამრიგებელმა რამაზ მუმლაძემ გვითხრა, წინსაწარი მონახაზით კახელიშვილს უფრო მარჯვენა ნახევარმცველად მოვიაზრებთო. შენი საყვარელი პოზიცია კი ალბათ მარჯვენა გარემარბად თამაშია...**

- მასეა, მარჯვენა გარემარბად თამაში მირჩევნია.

**- მაგრამ, ალბათ, მთელი ფლანგის კონტროლი მოგიწევს და რამდენად ხარ მზად ამისთვის? „ვიტ ჯორჯია“ ფიზმომზადების მხრივაც მოწინავე გუნდია და შიდაკონკურენციისას ეს ფაქტორიც ერთობ მნიშვნელოვანი იქნება...**

- მთელი ფლანგი რომ გააკონტროლო, ამისთვის საგანგებოდ უნდა იყო მომზადებული. თუ ვარჯიში და კარგად მომზადება არ გინდა, ვერც შეტევაში ითამაშებ კარგად და ვერც დაცვაში. საკუთარ თავზე მუშაობას არაფერს არ დავაკლებ, როცა ბოლომდე იხარჯები, ღმერთი არ მიგატოვებს.

**- „ვიტ ჯორჯიამდე“ „ლოკომოტივის“ გარდა რუსთავის „ოლიმპშიც“ გითამაშია. ყველა გუნდში ასე გემართებოდა - ხან რიგიანად ირჯებოდი, ხან კი უცბად მოუკლებდი თამაშს“ ასეთი არასტაბილურობა რისი ბრალი იყო?**

- ეს ალბათ ასაკის ბრალი იყო, ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ემართება ასე - ერთ დონეზე ვერ თამაშობს. სერიოზული ტრავმები არ მქონია და არასტაბილურობაც ის ეტაპია, დაღვინებამდე რომ უნდა გაიარო. როცა თამაშს ჩავაგდებდი, მწვრთნელები - ნოდარ აკობია თუ კიკნაძე და ზამთარაძე მაიმედებდნენ, არა უშავს, მოვა დრო და სტაბილურად ათამაშდებიო. ახლა უკვე 22 წლის ვარ და ვფიქრობ, უფრო კარგად და სტაბილურად ვთამაშობ, ვიდრე მაშინ, როცა 17-18 წლის გახლდით. რაც დრო გადის, ახალ გამოცდილებას იძენ, მეტს პოულობ...

**- „ვიტ ჯორჯიას“ გარდა არ გქონდა სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტი? ადრე ასეთი ტენდენცია იყო „ თითქმის ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს თბილისის „დინამოში“ უნდოდა გადასვლა, „დინამო“ ხომ მაინც „დინამოა“ - ახლა ასე აღარ უყურებენ საკითხს ახალგაზრდა ფეხბურთელები?**

- სხვათა შორის, სანამ „ვიტ ჯორჯიაში“ მოვიდოდი, სწორედ თბილისის „დინამოსთან“ მქონდა საუბარი, მაგრამ როცა შემოთავაზება მივიღე „ვიტ ჯორჯიადან“, დავთანხმდი. მიმაჩნია, რომ „ვიტ ჯორჯია“ „დინამოზე“ არანაკლებ ძლიერი გუნდია.



გიორგი კახელიშვილი

**- ყველაფერი ალბათ ფინანსურმა მხარემ გადაძლია...**

- როგორ გითხრათ...ალბათ ღმერთის ნება იყო, რომ „ვიტ ჯორჯიაში“ აღმოვჩნდი, თანაც მეც ძალიან მინდოდა ამ გუნდში თამაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ვიტ ჯორჯია“ თამაშით და ფინანსური შესაძლებლობებით სტაბილური გუნდია, წლეულს სულაც საქართველოს ჩემპიონი გახდა, მე-6 ადგილზე გასული გუნდიდან ჩემპიონ გუნდში გადავედი.

**- სისწრაფე, მაღალი ჩაწოდება, კარის გასწვრივ ბურთის გაგზავნა... როგორ ატყობ, ყევლაზე უფრო რომელ კომპონენტში აქვს მოსამატებელი გარემარბ გიორგი კახელიშვილს?**

- აბსოლუტურად ყველა კომპონენტში უნდა მოვუმატო.

**- საქართველოს ჩემპიონატში ვინ მიგაჩნია ფლანგზე მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელად?**

- ფლანგზე კარგად და სწრაფად მოთამაშე ფეხბურთელი არაერთია, საუკეთესოდ კი გიორგი სეთურიძე მიმაჩნია, ის მართლაც თავდაუზოგავად შრომობს და ეროვნულ ნაკრებშიც ამიტომაც მოხვდა.

**- „ვიტ ჯორჯია“ სეზონს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპით იწყებს. ფეხბურთელებს აქვთ თავისებური წინათგრძნობა, რითაც იქმნიან წინასამატჩო განწყობას. როგორ აღიქვამთ „მარიბორთან“ დაპირისპირებას?**

- რამდენი წინასწარ რაღაცი ვთქვი, იმდენი... ვნახოთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება — მგლები

ინტერვიუ ბესიკ შეროზიასთან

# ექვსეულშიც შეგვეძლო, მაგრამ მეშვიდეც არ იყო ცუდი

## ძველებურად ოდიში ან ახლებურად ზუგდიდი. როგორ მოინათლება ახალი გუნდი?



გასულ სეზონს ზუგდიდის „მგლები“ პრობლემებით შეხვდა. რუსული აგრესია სამეგრელოს რეგიონსაც დაატყდა თავს. ცხადია, ალარავის ეფეხბურთებოდა, მაგრამ „მგლებისთვის“ მაინც მოხერხდა გარკვეული თანხის გამოყოფა, რათა გუნდი ჩემპიონატის მიღმა არ დარჩენილიყო.

სამი წრიდან კლუბმა ყველაზე მეტი ქულა დასკვნით მესამედში მოაგროვა, ხოლო ყველაზე ცუდად მეორე წრეში იასპარეზა. ბესიკ შეროზიას გუნდი ზამთრამდე არასტაბილურად გამოიყურებოდა. პაუზის დროს კი მოფერიანდა - ახალი ფეხბურთელებიც აიყვანა და ფინანსურადაც მოძლიერდა. მერე გასაკვირი ალარ იყო, რომ ეს შედეგებშიც აისახა - 30 მატჩში 10 მოგება, 6 ფრე და 14 მარცხი. საბოლოო ჯამში - 36 ქულა და მე-7 ადგილი - ასეთია „მგლების“ მონაგარი მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ის ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებს - „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“ შეხვდა. ზოგი ამბობდა, ზუგდიდელები ლიგაში მაინც დარჩენილები არიან და „დინამოსთან“ შინ თავს არ მოიკლავენო, მაგრამ... ნურას უკაცრავად, „მგლებმა“ „დინამო“ დაამარცხა და „ვიტ ჯორჯიას“ ჩემპიონობისკენ გაუხსნა გზა...

დასრულდა სეზონი და ზუგდიდში, ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გაჟღერებული ჩანაფიქრი ორი გუნდის, „მგლებისა“ და ბაიას“ გაერთიანებაზე, განხორციელდა...

გასული სეზონის შეფასებისთვის ზუგდიდელთა მთავარ მწვრთნელ ბესიკ შეროზიას მივმართეთ...

**- ბატონო ბესიკ, საუბარი გასულ სეზონის ზოგადი შეფასებით დავიწყოთ...**

- ეს ჩემპიონატი მართლაც დაძაბულად წარიმართა და ინტრიგა ბოლომდე შენარჩუნდა. სეზონის ბოლოსთვის, ბოლოსწინა ტურში, „დინამოსთან“ საშინაო მატჩი ჩვენთვის იმდენს არაფერს წყვეტდა, დინამოელები კი ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ. ჩვენ ის თამაში მაინც მოვიგეთ და ზუგდიდელი გულშემატკივარი გავახარეთ...

**- არაერთხელ ითქვა ამა თუ იმ მატჩზე გარიგებული იყოო...**

- ჩემს გუნდზე ალალად შემიძლია ვთქვა, თავს დავდებ, 30 მატჩიდან „მგლებმა“ ყველა სუფთად ჩაატარა. ჩვენ გარიგებაში რ ვმონაწილეობდით და ამ მხრივ მართლაც სუფთა გუნდი ვართ... რაც შეეხება მთლიანად სეზონს, რამდენიმე მატჩზე მართლაც გაჩნდა ეჭვი, მაგრამ, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ერთის თქმა კი შემიძლია - „ვიტ ჯორჯიამ“ ჩემპიონობა ნამდვილად დაიმსახურა. ამ გუნდმა სამივე შეხვედრაში დაგვამარცხა. გარდა ამისა, ვეტერინართა გუნდს სხვა შეხვედრებშიც ვაკვირდებოდი და მათ ოქროს მედლები ალალად ეკუთვნოდათ.

**- გასულ სეზონში თქვენი გუნდის ასპარეზობით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- საამისოდ საჭიროა ის პერიოდი გავიხსენოთ, რომელშიც ჩემპიონატის დაწყებამდე ალმოვჩნდით. სეზონის დაწყების წინ კლუბს ფინანსური კრიზისი ჰქონდა. ამის გამო რამდენიმე ფეხბურთელმა დაგვტოვა. თუმცა მიზერული თანხები მაინც გამოვნახეთ და მზადება დავიწყეთ. 10 დღიანი შეკრება ქობულეთში გავიარეთ. მოგეხსენებათ, შარშან აგვისტოში განხორციელებული რუსული აგრესიის გამო, მე-20 ეროვნული ჩემპიონატი დაგვიანებით დაიწყო. ამ მომენტმა ჩვენზე დადებითად იმოქმედა, რადგან მზადებისთვის მეტი დრო გაგვიჩნდა... ერთი სიტყვით, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაში ვიყავით, დავიწყეთ ჩემპიონატი და ზამთრის პაუზამდე 18 ქულა მოვიპოვეთ. იმ ვითარებიდან გამომდინარე, 18 ქულის მოპოვება ნორმალურ შედეგად მიმაჩნია... ზამთრის სატრანსფერო პაუზისას რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ, მეკარე გიორგი სომხიშვილი, მცველი როინ ონიანი, თავდამსხმელი ზურაბ ხურციძე... გუნდში გარკვეული კორექტივები შევიტანეთ და უკეთ ავთამაშდით. გაზაფხულიდან უკეთ ვიასპარეზეთ, არაერთ გუნდს დავაკარგვინეთ ქულები და არსებული პირობებიდან გამომდინარე შედეგით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ. არ შეიძლება სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულ ზაზა გოროზიას დამსახურება არ ალვნიშნო. სწორედ მან გამოგვინახა თანხა და მისი თანადგომა რომ ამდენსაც ვერ შევძლებდით. ჩვენ ევროტურნირის საგზურისთვის არ ვიბრძოდით, მაგრამ გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელები ყველა მატჩში ბოლომდე იხარჯებოდნენ. საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავედით. უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ ვთვლი, რომ უკეთესი პოზიციის დაკავებაც შეგვეძლო.

**- მაინც რომელ ადგილს უმიზნებდით?**

- სამწუხაროდ ჩვენ არაერთი ქულა დავკარგეთ. რამდენიმე ისეთი თამაში იყო, რომელიც უნდა მოგვეგო. თუნდაც „გაგრასთან“ სტუმრად, „ლოკომოტივთან“... ჩვენი მიზანი ექვსეულში მოხვედრა იყო. მე-6 ადგილზე სწორედ „ლოკომოტივი“ გავიდა, რომელსაც მხოლოდ 2 ქულით ჩამოვრჩით.

**- თქვენი გუნდიდან რომელ ფეხბურთელებს გამოყოფდით ამ ჩემპიონატში?**

- ვალტერ გუჩუასა და როინ ონიანს... სეზონის პირველი ნახევრიდან კი გიორგი რეხვიაშვილს, რომელიც მერე რუსთავის „ოლიმპში“ დაბრუნდა. მეკარე გიორგი სომხიშვილს, გუნდის ბომბარდირ გია თოდუას გამოვყოფდი. გიორგი ჭედიას დამატებით საგრძნობლად გავძლიერდით... თოდუამ 11 გოლი გაიტანა, მაგრამ მეტი თუ არა, 9 ტური გაუცდა და იმ 9 შეხვედრაში რომ ეთამაშა ლიგის გოლეადორებში ყველას თუ ვერ გადაასწრებდა, ბომბარდირებში მეორე ადგილზე მაინც გავიდოდა.

**- ყველაზე კარგად რომელი მატჩები დაგამახსოვრდათ?**

- კარგად ვითამაშეთ ეროვნულ სტადიონზე „დინამოს“ წინაალმდეგ. ის შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ ზუგდიდში მაინც ვძლიეთ ამ გუნდს. „გაგრასთან“ ბოლოს მესამე შეხვედრაში ვითამაშეთ, მაგრამ ბავშვური შეცდომის გამო ვერ მოვიგეთ. „ლოკომოტივთან“ თბილისში კარგი თამაშები ვაჩვენეთ... ასევე დაძაბული მატჩები გვქონდა „სიონთან“ მეორე და მესამე შეხვედრაში. კონფლიქტსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იმ ყველაფერს წერტილი დაესვა და ალარ გვინდა იმ თამაშებზე საუბარი.

**- მწარედ რომელი მატჩები გახსოვთ?**

- უპირველესად ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან“... სხვადასხვა მიზეზთა გამო გვაკლდნენ ფეხბურთელები და სხვა გზა ალარ გვქონდა, როტაციას მივმართე. თუმცა ფეხბურთელებმა, რომლებსაც ხშირად არ უწევდათ თამაში, ვერ გაამართლეს იმედი და 4:0 დავმარცხდით... იმედგაცრუება იყო, პირველ წრეში „მესხეთთან“ საშინაო მატჩი. მანამდე, ტურით ადრე შინ რუსთავის „ოლიმპს“ ვძლიეთ და ცხრილშიც ზემოთ ვიყავით, მაგრამ ახალციხელებთან ზუგდიდში წაგებამ დაგვაქვეითა.

**- თქვენი გუნდის ახალგაზრებიდან ვინ მოგხიბლათ?**

- ბაქარ აქუბარდიას და გიორგი ჭედიას. მათ კარგი ფეხბურთი აჩვენეს. სხვა გუნდების ახალგაზრდა მოთამაშეებიდან „გაგრას“ თავდამსხმელ გიორგი გაბედავას გამოვარჩევდი. ახალგაზრდებს თავი რომ დავანებოთ, გასული სეზონიდან ყველაზე მეტად ლიგის ბომბარდირი, „ზესტაფონის“ თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი მომეწონა.

**- გასულ სეზონში მსაჯობა როგორი იყო და იქნებ მე-19 ჩემპიონატში მსაჯების გარჯას შეადაროთ...**

- მსაჯობის მხრივ ჩვენში დაბალი დონე ნამდვილად არაა. ჩვენ ნიჭიერი მსაჯები გვყავს, მაგრამ სურვილი მაქვს და ქართულ ფეხბურთსაც უფრო მეტად წაადგება, თუ ჩვენი მსაჯთა კორპუსი უფრო მეტად დაიხვეწება. მსაჯების მხრიდან იყო სერიოზული შეცდომებიც, მაგრამ საგანგაშოც არ ყოფილა. ბოლოს და ბოლოს მსაჯიც ადამიანია, შეცდომა მასაც მოსდის. იყო შემთხვევები, როცა გაცხარებულიც კი ვიყავი, მაგრამ არა მგონია, რომ მსაჯები შეგნებულად ცდებოდნენ. უნებლიე შეცდომა ყველას მოსდის და ასეთი რაც შეიძლება ცოტა უნდა იყოს... წინა ჩემპიონატთან შედარებით, ვფიქრობ, თითქმის ერთნაირი იყო. თუმცა ახალგაზრდა მსაჯების გარჯას მაინც გამოვყოფდი. იყო შემთხვევები, როცა მეგონა ახალგაზრდა მსაჯები ცდებოდნენ, მაგრამ ვიდეოფირზე რომ ვნახე ასეთი სადავო ეპიზოდები, ალმოჩნდა, რომ მსაჯი მართალი იყო.

**- მაინც რა თავისებურებით გამოირჩეოდა მე-20 ეროვნული ჩემპიონატი?**

- კი, ეს ჩემპიონატიც გარკვეული თავისებურებით გამოირჩეოდა. გუნდების დონე კიდევ უფრო გათანაბრდა და ვფიქრობ, ამით იყო განპირობებული ის, რომ სეზონის ბოლომდე ინტრიგა შენარჩუნებული იყო. დონე მაინცდამაინც მაღალი არ არის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტრიგის და დაძაბულობის მატება, კლასს და დონესაც დადებითად დაეტყობა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ 21-ე ჩემპიონატი უკეთესი იქნება. ჩემი პროგნოზით, მომდევნო სეზონში შესაძლოა 1-2 გამოკვეთილი ფავორიტი იყოს, მეტი არ იქნება. დანარჩენ გუნდებს, ყველას თანაბარი შანსი ექნება.

**- წარსულის ანალიზს ამით მოვრჩეთ და აწმყოზე ვთქვათ. „მგლები“ და „ბაია“ გაერთიანდა. ორი გუნდის გაერთიანება ზოგჯერ მტკივნეული პროცესია, ზოგჯერ დროში იწელება. თქვენთან როგორ მიდის ეს პროცესი?**

- დიახ, გეთანხმებით, გუნდის გაერთიანების პროცესი ზოგჯერ მტკივნეულია და დროშიც იწელება. გარკვეული სინთეზი გავაკეთეთ. ახლა ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ წარვმართოთ და რაც შეიძლება მოკლე ხანში შევძლოთ გუნდის შეთამაშება. ამჯერად, ამ გაერთიანებულ გუნდში მხოლოდ 6 ფეხბურთელი გვყავს „მგლებიდან“ ანუ ისინი, ვინც უმაღლეს ლიგაში უკვე ითამაშა. ვალტერ გუჩუა, როინ ონიანი, მამუკა აქუბარდია, გია თოდუა, დავით ქირია და გიორგი გულორდავა. ამ ექვსეულს 16 ფეხბურთელი დაემატა „ბაიადან“ და ახლა გუნდში 22 მოთამაშე გვყავს. მათ შორის ჭაბუკთა ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელები. უკვე მესამე ვარჯიში ჩავატარე და იმედი მაქვს, რომ ჩვენი გუნდი კარგ და შედეგიან ფეხბურთს აჩვენებს.

**- 21-ე ეროვნულ ჩემპიონატში ეს გაერთიანებული გუნდი რა სახელით იასპარეზებს?**

- უპირველესად მადლიერების გრძნობა მინდა გამოვხატო ჩვენი გაერთიანებული კლუბის ხელმძღვანელის მიმართ. მათ ნდობა გამომიცხადეს და ყველანაირად ვეცდები გავამართლო. აქვე ერთსაც ვიტყვი, კლუბის ხელმძღვანელობას უკვე წარვუდგინე განვითარების ჩემეული სამწლიანი გეგმა და ეტაპობრივად დავიწყებ ამ გეგმის რეალიზებას. რაც შეეხება კითხვას, ამ ეტაპზე „მგლები-ბაიას“ სახელით მოიხსენიება ჩვენი გუნდი, მაგრამ დიდი შანსია ახალ სეზონში სხვა სახელით ვიასპარეზოთ. ჯერჯერობით სხვა ორი სახელი განიხილება, „ოდიში“ და „ზუგდიდი“.

**- იქნებ იმ 3 წლიანი გეგმის შესახებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რომელიც უკვე წარუდგინეთ კლუბის ხელმძღვანელობას...**

- 21-ე ჩემპიონატი ამ ახალი გუნდისთვის სადებიუტო იქნება და უმთავრესად ადაპტაციაზე მოგვიწევს ზრუნვა. თუმცა არ გვინდა რომ „მაჩანჩალას“ როლში ვიყოთ. 21-ე ჩემპიონატში უფრო ამბიციურად წარვდგებით, მომდევო სეზონში კი უკვე რეალურად ვიბრძოლებთ ევროტურნირებზე ასპარეზობისათვის და იმედი მაქვს ზუგდიდიც უმასპინძლებს საერთაშორისო მატჩებს. ჩვენს გაერთიანებულ გუნდს ჩინებული ინფრასტრუქტურა აქვს და ამ გეგმის რეალიზება უნდა შევძლოთ.

**- ახალი სეზონისთვის მზადებას უკვე შეუდექით...**

- ივლისში ურეკში მოვემზადებით. ამ შეკრებაზე უფრო მეტი წარმოდგენა შემექმნება ყველა ფეხბურთელზე. 5-6 ივლისიდან ამხანაგურ მატჩებსაც გავმართავთ. ივლისის მეორე ნახევარში ალბათ ახალ ფეხბურთელებსაც დავიმატებთ. არ გამოვრიცხავ მათ შორის უცხოელებიც იყვნენ.

**- დაბოლოს, რას გეგმავთ ახალ სეზონში?**

- გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების სინთეზით უნდა ჩამოვაყალიბოთ ახალი გუნდი. ფეხბურთელთა უმეტესობას უმაღლეს ლიგაში თამაშის მწირი გამოცდილება აქვს, ზოგიერთს საერთოდ არ უთამაშია ამ დონეზე. აქედან გამომდინარე ახალ სეზონში ჩვენი პროგრამა მინიმუმი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. თუმცა ისე უნდა ვიასპარეზოთ, რომ სენსაციები და მოულოდნელობებიც შევთავაზოთ მეტოქეებს. პროგრამა მაქსიმუმი კი ის იქნება, რომ ცხრილში რაც შეიძლება ზედა ადგილი უნდა დავიკავოთ.

**დავით ცაბაძე**

**მგლები 2008/09**
**ყველა მატჩი**

| მატჩი | ანგარიში |
|---|---|
| **I წრე** | |
| მგლები-სიონი | 0:1 |
| მგლები-ბორჯომი | 4:1 |
| გაგრა-მგლები | 2:0 |
| მგლები-სპარტაკი | 2:0 |
| ლოკომოტივი-მგლები | 0:1 |
| მგლები-ოლიმპი | 3:1 |
| ზესტაფონი-მგლები | 1:0 |
| მგლები-მესხეთი | 0:2 |
| მგლები-დინამო | 0:1 |
| ვიტ ჯორჯია-მგლები | 3:0 |
| **II წრე** | |
| სიონი-მგლები | 2:2 |
| ბორჯომი-მგლები | 2:2 |
| მგლები-გაგრა | 1:0 |
| სპარტაკი-მგლები | 4:0 |
| მგლები-ლოკომოტივი | 0:0 |
| ოლიმპი-მგლები | 2:1 |
| მგლები-ზესტაფონი | 0:1 |
| მესხეთი-მგლები | 0:0 |
| დინამო-მგლები | 2:1 |
| მგლები-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| **III წრე** | |
| მგლები-სიონი | 0:0 |
| მგლები-ბორჯომი | 5:0 |
| გაგრა-მგლები | 2:2 |
| მგლები-სპარტაკი | 2:1 |
| ლოკომოტივი-მგლები | 1:1 |
| მგლები-ოლიმპი | 1:2 |
| ზესტაფონი-მგლები | 3:1 |
| მგლები-მესხეთი | 4:1 |
| მგლები-დინამო | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-მგლები | 4:0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელი ჩვენებურები

# საქართველოში ჩამოდიოდნენ და... თამაშობდნენ

## ლეგიონერებსა და... კოლეგიალობაზე

90-იანი წლების დასაწყისში, სეზონი არ გავიდოდა, ქართველი ფეხბურთელის „ხმაურიანი" ტრანსფერის შესახებ რომ არ გაგვეგო. ბუნდესლიგის, პრემიერლიგის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, თურქეთის, საბერძნეთისა თუ რუსეთის წამყვან გუნდებში ჩვენი ფეხბურთელები ასევე წამყვან როლს ასრულებდნენ. სამწუხაროდ, მერე და მერე, ეს ტენდენცია უარესობისკენ წავიდა და ჩვენი მწვრთნელ-ფეხბურთელთა უმრავლესობაც... აზერბაიჯანის, სომხეთისა თუ ყაზახეთის გუნდებში „მიიჩქარის". ერთი მხრივ, ვერც გავამტყუნებთ - ჩვენთან შედარებით ფინანსურად უკეთეს პირობებზე უარის თქმა, მართლაც ძნელია. თანაც, ხშირია ისეთი შემთხვევაც, ჩვენი ფეხბურთელები სხვა ქვეყნების... დაბალ ლიგებშიც რომ მიემგზავრებიან — მოკლედ, ოღონდ აქედან გაასწრონ და ალარაფერს დაგიდევენ. ჰო, უკვე მერამდენე წელიწადია, ჩვენი ფეხბურთელების მასობრივმა მიგრაციამ შეუქცევადი სახე მიიღო. ეგ კი არა, უცხოეთში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერთა ზუსტ რიცხვსაც ვერავინ გეტყვით; აი, ისე როგორც დაუზუსტებელია... საქართველოს ჩემპიონატებში სხვადასხვა დროს მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთა ზუსტი რაოდენობა. არადა, პირველიდან მოყოლებული დღემდე, ჩვენს ჩემპიონატებში, ალბათ, ორასამდე უცხოელი ფეხბურთელი მაინც გვინახავს. ზოგი, მართლაც, მაღალი დონის იყო და აქაურ ჩემპიონატსაც თავისებური პენი შემატა... ზოგი — გაურკვეველი მიზნით ჩამოიყვანეს; ზოგიც... „ხურდაში" გამოაყოლეს თავისსავე თანამემამულეს და ასე შემდეგ. თუმცა, ამ შემთხვევაში უკვე... სერიოზულზე სერიოზული სიფრთხილე გვმართებს, თორემ რასიზმში დაგვადანაშაულებენ! მით უფრო, ამის პრეცედენტი ამ ცოტა ხნის წინათ უკვე გვქონდა და პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე, საკუთარ თავს უფლებას ვერ ვაძლევთ, რომ საკადრისი პასუხი გავცეთ (ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა)...

და მაინც: 1990 წლიდან დღემდე რამდენ უცხოელ ფეხბურთელს უასპარეზია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში? ამის დადგენას ის ფაქტი ნამდვილად ვერ უშველიდა, რომ ამ სტრიქონების ავტორი პირველიდან მოყოლებული აშუქებს ეროვნულ ჩემპონატს; ანუ, მხოლოდ... საკუთარი მეხსიერებისა თუ საარქივო მასალების იმედზე ვერ ვიქნებოდით. ამიტომაც, ამ მასალის მომზადებაში ყველაზე უტყუარ წყაროს დავეყრდენით — „ქართული ფეხბურთის ყოველწლიურ წიგნს", წლების განმავლობაში ნებისმიერი ქართველი სპორტული ჟურნალისტისთვის „სამაგიდო სახელმძღვანელოდ" რომ იქცა; და ასევე, მეორე ათეული წელიწადი დაიწყო, ამ, მართლაც საშვილიშვილო (თანაც — დაუფასებელ) საქმეს ქართული ფეხბურთის მემატიანე, რევაზ შენგელია რომ აკეთებს. საერთოდაც — ალბათ, უკვე მოვიდა იმის დროც, რომ ქართული სპორტული მედიის წარმომადგენლებმა... კოლეგიალობის პრინციპები დაიცვან. ნამდვილად უპრიანი იქნებოდა, როცა საკუთარ გაზეთში (ან, რადიოსა თუ სატელევიზიო ეთერში) „ლელოდან" ინფორმაციას რომ გადაბეჭდავ (ან — გაახმოვანებ), წყაროც მითითებული იყოს. თორემ, უკვე რამდენჯერმე მოხდა და, ალბათ, კიდევ იქნება, რბილად რომ ვთქვათ, კურიოზული შემთხვევები. ჰო, ერთი-ორჯერ ჩვენს გაზეთში დაუზუსტებელი ინფორმაცია დაიბეჭდა, რომელიც მეორე-მესამე დღეს... სხვა გამოცემებშიც იმავე სახით დაგვხვდა! ალარაფერს ვამბობთ სხვადასხვა ინტერნეტფორუმზე... კოლეგების გაუთავებელი ქილიკისა თუ „შეცდომების" პოვნაზე. იმედია, ჩვენს თხოვნას ბევრი კოლეგა გაითვალისწინებს და, რაც მთავარია, საკუთარ თავს უხერხულ სიტუაციაში არ ჩაიგდებს. სამწუხაროდ, თემას გადავუხვიეთ და ახლა კი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა ლეგიონერი (შეძლებისდაგვარად) გავიხსენოთ. რალა თქმა უნდა, უცხოელი მწვრთნელებიც არ უნდა გამოგვრჩეს; მით უფრო, რომ უმეტესმა მათგანმა გარკვეული კვალი დატოვა ქართულ ფეხბურთში.

## ლიტვური დესანტი

პირველი ეროვნული ჩემპიონატი, მართლაც, განსაკუთრებული იყო: ერთიმეორეზე უკეთესი გუნდები, ყველა ქალაქსა თუ რაიონში სავსე ტრიბუნები, დაძაბული მატჩები და მაღალი დონის შემსრულებლების სიმრავლე. სხვანაირად ვერც იქნებოდა: 18-დან 10 გუნდი ჯერ კიდევ წინა წელს საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს, პირველ თუ მეორე ლიგაში ასპარეზობდა. მოკლედ, თითქმის ყველა გუნდში იყვნენ გამორჩეული ფეხბურთელები და ამიტომაც ჩემპიონატი პირველიდან ბოლო ტურამდე დაძაბულად მიმდინარეობდა. პირველი ეროვნული ჩემპიონატი რომ დაიწყო, მხოლოდ ერთადერთი ლეგიონერი გვყავდა — თბილისის „იბერიას" (მაშინდელი „დინამოს") მეკარე **ზაურ ხაპოვი**. ყაბარდო-ბალყარეთში დაბადებული ხაპოვი თბილისში 1989 წელს ჩამოვიდა, მაგრამ ჩვენთვის უკანასკნელ საკავშირო სეზონში **ოთარ გაბელიას** დუბლიორი გახლდათ. არ დავმალავთ: მაშინაც ბევრს უკვირდა, როცა ხაპოვმა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დარჩენა გადაწყვიტა; არადა, იმავე 1990 წელს ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან არაერთი გუნდი იწვევდა. ყველაფრის მიუხედავად, ხაპოვი მაინც დარჩა და მისმა შთამბეჭდავმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა „იბერიას" ჩემპიონობა. ორი თვის განმავლობაში ხაპოვი ჩვენს ჩემპიონატში ერთადერთი ლეგიონერი იყო; აი, ივნისის დასაწყისიდან კი მას გვერდი ერთდროულად რამდენიმე ლიტველმა დაუმშვენა!



ზაურ ხაპოვი



რობერტას ფრიდრიკასი

ქართული გუნდების მსგავსად, 1990 წლის საკავშირო ჩემპიონატში ასპარეზობაზე უარი ვილნიუსის „ჟალგირისმაც" თქვა. არადა, იმ დროისათვის (გნებავთ, მანამდეც) ლიტვაში „ჟალგირისის" დონის სხვა გუნდი, ფაქტობრივად არც არსებობდა. დავუმატოთ ამას ის ფაქტიც, რომ საქართველოს მსგავსად, ლიტვური ფეხბურთიც საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. მოკლედ, „ერთ ბედქვეშ" მყოფი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს და 1990 წლის 27 მაისს თბილისში საქართველოსა და ლიტვის ნაკრებების ამხანაგური მატჩი დანიშნეს.

ლიტველები უძლიერესი შემადგენლობით გვეწვივნენ და ერთობ საინტერესო მატჩი გამოდგა, რომელიც საბოლოოდ 2:2 დასრულდა. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ლიტვის ნაკრები თბილისიდან... განახევრებული შემადგენლობით გაემგზავრა! ჰო, არ გასულა 2-3 დღეც და საქართველოს პირველი ჩემპიონატის მატჩებში ერთდროულად რამდენიმე... ლიტველ ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი! გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ზოგიერთ ლიტველ ფეხბურთელს საქართველოში გატარებული ის ერთი სეზონი სამომავლოდ ერთობ გამოადგა; არაერთხელ აღუნიშნავთ კიდეც: ლიტვაში რომ დავრჩენილიყავით, იმ ერთ წელიწადში, ალბათ, ფეხბურთის თამაში დაგვავიწყდებოდაო. მართლებიც იყვნენ: „ჟალგირისს" ხომ მაშინ „მიახლოებით" კონკურენტიც არ ჰყავდა ლიტვაში. მოკლედ ლიტვასთან სანაკრებო მატჩამდე თურმე, ქართული გუნდების ხელმძღვანელებმა გვარიანად იაქტიურეს და რვა ფეხბურთელი ერთმანეთში... „გადაინაწილეს"! ყველაზე „ხარისხიანი" შენაძენი ლანჩხუთის „გურიას" ჰყავდა — ისედაც სოლიდური გუნდი აშკარად გააძლიერეს 26 წლის ცენტრალურმა მცველმა **რიმას მაჟეიკისმა** და 23 წლის ფორვარდმა **რობერტას ფრიდრიკასმა**. ეს უკანასკნელი, საერთოდაც, თამამად შეგვიძლია დავასახელოთ სხვადასხვა დროს საქართველოში მოასპარეზე ლეგიონერებს შორის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელადაც. მაჟეიკისმა და ფრიდრიკასმა ჩინებული სეზონი ჩაატარეს და ჩემპიონატის ვერცხლის მედლებს საქართველოს თასიც მიუმატეს! არანაკლებ ჩინებული ფეხბურთელი იყო **ვირგილიუს ბალტუშნიკასიც** — 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა თუ იუნიორთა ნაკრების კაპიტანი გახლდათ. აი, ასეთი „ძვირფასი შენაძენი" ჰყავდა მოკრძალებულ გალის „მზიურს", სადაც ბალტუშნიკასმა უმალ შეაყვარა თავი ადგილობრივ ქომაგებს. სხვათა შორის, ბალტუშნიკასის ერთმა გოლმა იმ ჩემპიონატში ბევრი რამ შეცვალა: გალის „მზიურმა" სტუმრად ერთპიროვნული ლიდერი „გორდა" დაამარცხა და ეს წაგება რუსთაველებს მერე ძვირად დაუჯდათ. სამწუხაროდ, მაჟეიკისის, ფრიდრიკასისა და ბალტუშნიკასის მსგავსად შესაბამისი ეფექტი არ ჰქონიათ მათ სხვა სამ თანამემამულეს — **პეტრაუსკასს** („მზიური"), **ვანეიკისს**, **ზდანჩუსს** (ორივე — „ოდიში"). განსაკუთრებით მოულოდნელი რიჩარდას ზდანჩუსის თამაში იყო — 23 წლის ფორვარდმა 18 შეხვედრაში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა. მაშინ როცა იმავე ფრიდრიკასმა — 11, ხოლო ბალტუშნიკასმა (ხანდახან მცველადაც რომ თამაშობდა) — 6. სამაგიეროდ, საკუთარი შესაძლებლობები სრულიად გამოავლინეს მეკარეებმა — **არუნას ბრიაუნისმა** და **ალვიდას კონციავიჩუსმა**. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ბრიაუნისიც და კონცივიაჩუსიც არცთუ ძლიერ გუნდებში ჩაირიცხნენ — ხაშურის „ივერიასა" და თელავის „კახეთში". თანაც, „ივერია" უმაღლეს ჯგუფში მაინც ასპარეზობდა, აი, „კახეთი" კი... პირველ ლიგაში იყო და ამის მიუხედავად შეძლო, მართლაც მაღალი დონის მეკარის გადაბირება. 27 წლის კონციავიჩუსს მანამდეც და მერეც (ლიტვის ნაკრებში) ჩინებული კარიერა ჰქონდა, მაგრამ თელაველებს, ალბათ, დღემდე ახსოვთ ამ მეკარის ბრწყინვალე თამაში. ისე, პირველ ჩემპიონატში ხაპოვისა და „ლიტვური დესანტის" გარდა, კიდევ ორი ლეგიონერიც გვყავდა: ხობის „კოლხეთში" **რობერტ ბოსტანჯანი** (ადრე სოხუმის „დინამოში" თამაშობდა) გამოჩნდა, ხოლო სეზონის მიწურულს, ოჩამჩირის „ამირანში" თამაშის სურვილი გამოთქვა ბელარუსმა **სერგეი შიროკიმ**. ეს უკანასკნელი მინსკის „დინამოს" ძირითადი ფეხბურთელი გახლდათ თავის დროზე და მისი აქ ჩამოსვლა ბევრისთვის მოულოდნელიც იყო...

**გია ტუხაშვილი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ლეგიონერი

# ეს თასიც და სხვა ათასიც!

## ჭანტურიას სამი გოლი

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის გუნდების მონაწილეობით, გალისიაში 17-წლამდელთა ტურნირი გაიმართა. გამარჯვება „ბარსელონამ" იზეიმა. კატალონიელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა „საბურთალოს" გაზრდილმა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ფორვარდმა **გიორგი ჭანტურიამ**.

მეოთხედფინალში „ბარსამ" გალისიის ნაკრებს სძლია, ნახევარფინალში მადრიდის „ატლეტიკოს" (4:1), ფინალში კი ბილბაოს „ატლეტიკს" - 3:2. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა სამივე შეხვედრაში თითო გოლი გაიტანა. განსაკუთრებით ლამაზი გამოვიდა ფინალის შედევრი. მოკლედ, ქართველმა ბიჭმა „ბარსასთან" ერთად პირველად ასწია თასი - ეს ერთი და სხვა ათასი!!!

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

### ჭაბუკთა ლიგა

#### 91-წლიანები

XXXII ტური

| | |
|---|---|
| სიონი-ლოკომოტივი | 2:4 |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:0 |
| დინამო-მგლები | 4:1 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 0:5 |
| მესხეთი-გაგრა | 0:2 |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 2:1 |

XXXIII ტურის გადატანილი მატჩი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-დინამო | 0:6 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 33 | 29 | 2 | 2 | 109-24 | 89 |
| 2. გაგრა | 33 | 22 | 2 | 9 | 100-55 | 68 |
| 3. მგლები | 32 | 20 | 3 | 9 | 82-46 | 63 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 32 | 19 | 5 | 8 | 49-25 | 62 |
| 5. ზესტაფონი | 32 | 16 | 5 | 11 | 73-44 | 53 |
| 6. სპარტაკი | 32 | 13 | 6 | 13 | 51-40 | 45 |
| 7. ნაკრები-16 | 33 | 14 | 2 | 17 | 69-58 | 44 |
| 8. ლოკომოტივი | 32 | 13 | 3 | 16 | 62-71 | 42 |
| 9. ბორჯომი | 33 | 11 | 4 | 18 | 49-79 | 37 |
| 10. სიონი | 32 | 8 | 3 | 21 | 43-90 | 27 |
| 11. ოლიმპი | 32 | 7 | 5 | 20 | 61-89 | 26 |
| 12. მესხეთი | 32 | 0 | 2 | 30 | 15-144 | 2 |

#### 93-წლიანები

XXXII ტური

| | |
|---|---|
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| მგლები-დინამო | 2:1 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 1:5 |
| გაგრა-მესხეთი | 3:0 |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 4:0 |
| ბორჯომი-ამერი | 0:0 |

XXXIII ტურის გადატანილი მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო-ბორჯომი | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 33 | 28 | 3 | 2 | 116-9 | 87 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 32 | 21 | 7 | 4 | 66-30 | 70 |
| 3. ამერი | 32 | 18 | 4 | 10 | 65-41 | 58 |
| 4. მგლები | 32 | 16 | 6 | 10 | 76-40 | 54 |
| 5. ზესტაფონი | 32 | 16 | 4 | 12 | 50-40 | 52 |
| 6. ლოკომოტივი | 32 | 16 | 3 | 13 | 65-36 | 51 |
| 7. სპარტაკი | 32 | 11 | 7 | 14 | 36-42 | 40 |
| 8. გაგრა | 32 | 10 | 10 | 12 | 43-39 | 40 |
| 9. ბორჯომი | 33 | 10 | 9 | 14 | 35-60 | 39 |
| 10. ოლიმპი | 32 | 8 | 9 | 15 | 38-64 | 33 |
| 11. სიონი | 32 | 3 | 3 | 26 | 18-84 | 12 |
| 12. მესხეთი | 32 | 2 | 3 | 27 | 12-133 | 9 |

#### 95-წლიანები

| | |
|---|---|
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| მგლები-დინამო | 3:2 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 1:1 |
| გაგრა-მესხეთი | 3:0 |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:5 |
| ბორჯომი-ამერი | 3:0 |

XXXIII ტურის გადატანილი მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო-ბორჯომი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 32 | 26 | 4 | 2 | 77-14 | 82 |
| 2. გაგრა | 32 | 20 | 6 | 6 | 55-14 | 66 |
| 3. ზესტაფონი | 32 | 17 | 9 | 6 | 63-35 | 60 |
| 4. ოლიმპი | 32 | 17 | 6 | 9 | 53-38 | 57 |
| 5. მგლები | 32 | 17 | 5 | 10 | 47-30 | 56 |
| 6. დინამო | 33 | 13 | 12 | 8 | 42-36 | 51 |
| 7. ბორჯომი | 33 | 14 | 5 | 14 | 35-33 | 44 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 32 | 12 | 5 | 15 | 37-42 | 41 |
| 9. სიონი | 32 | 9 | 5 | 18 | 38-54 | 32 |
| 10. ამერი | 32 | 7 | 5 | 20 | 22-56 | 26 |
| 11. სპარტაკი | 32 | 4 | 7 | 21 | 21-56 | 19 |
| 12. მესხეთი | 32 | 0 | 5 | 27 | 5-82 | 5 |

ამხანაგური მატჩი

# მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ...

**მარიბორი-ზესტაფონი 1:1**

1:0 ჯინიჩი (11), 1:1 დვალი (22. აფციაურის პასით)

ზესტაფონი: მამალაძე (73. მეშველიანი), თოდუა (73. გურაბანიძე), გ. ონიანი (46. ლობჟანიძე), ხიდეშელი, ელიავა (73. მაკარიანი), გრიგალაშვილი (63. ნ. კვასხვაძე), ძარია (46. გორგიაშვილი), ბენაშვილი, აფციაური (73. ჭანკოტაძე), დვალი (73. იონანიძე), გელაშვილი (73. ჩიხლაძე).

სლოვენიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ამჯერად, იმერლებს სლოვენიის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე „მარიბორთან" მოუწიათ დაპირისპირებამ.

„ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროს **სერგო ფუტკარაძის** თქმით, შეხვედრა ბალკანელთა უპირატესობით დაიწყო. სლოვენიელებმა მალე შედეგსაც მიაღწიეს. მე-11 წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებულ მაღალ ბურთს ყველაზე ადრე **ჯინიჩი** დახვდა და ანგარიში გახსნა. გოლმა ზესტაფონელებზე პოზიტიურად იმოქმედა. ისინი უპირატესობას დაეუფლნენ და მალე წონასწორობაც აღადგინეს. ეს მოხდა 22-ე წუთზე, როცა **თორნიკე აფციაურმა ჯაბა დვალი** დროული პასით მოძებნა, დვალმა კი გამოზომილი დარტყმით „მარიბორის" მეკარეს ბურთი თავზე გადააცარა - 1:1.

შესვენებისას და მეორე ტაიმის მსვლელობის დროს ორივე გუნდში არაერთი ცვლილება მოხდა. ზესტაფონელთა მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** ერთბაშად 9 ფეხბურთელი შეცვალა. მეორე ნახევარში ქართველთა უპირატესობა უფრო საგრძნობი გახდა. თუმცა ხიფათი ჩვენების კართანაც შეიქმნა. იქით მხარეს კი **შოთა გრიგალაშვილმა** ძელი „მოიკითხა", ხოლო **გიორგი ხიდეშელის** თავურისას ბურთი სანტიმეტრებით ასცდა სლოვენიელთა კარს.

გოლის გატანის კარგი შანსი ჰქონდა **ალექსი ბენაშვილს**, მაგრამ ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა. ზესტაფონელთა დაწინაურების ყველაზე რეალური შესაძლებლობა გუნდისა და გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირ **ნიკა გელაშვილსაც** ჰქონდა, თუმცა თავისივე ძალისხმევით მოპოვებული პენალტი მიზანს აცილა.

„ზესტაფონი" მორიგ ამხანაგურ მატჩს ხვალ 25 ივნისს, სლოვენიის ვიცე-ჩემპიონ „გორიცასთან" ჩაატარებს.

**დავით ცაბაძე**

კონფედერაციათა თასი. 1/2 ფინალი

# ვინ გაიტანს მესამასე გოლს?

## ტორესს ფანტასტიკური ფინალი სურს

დღეს

ესპანეთი-აშშ

1992 წლის მერე, რაც ფიფამ კონფედერაციათა თასის გათამაშება დაიწყო, ამ ტურნირზე გავიდა 299 გოლი. ვინც კი დღეს ნახევარფინალში პირველ გოლს გაიტანს, ის საიუბილეო, მე-300 გოლის ავტორი გახდება...

დღეს, კონფედერაციათა თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში, რომელიც ბლუმფონტეინის „ფრი სტეიტ სტედიუმზე" გაიმართება, ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები ჯგუფური ეტაპის სენსაციას, აშშ-ს დაუპირისპირდება. სელექსიონი", ალბათ, სულ სხვა მეტოქეს ელოდა ნახევარფინალში, იტალიას თუ არა ეგვიპტის ნაკრებს მაინც, მაგრამ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ამერიკელებმა არცთუ პატარა სასწაული მოახდინეს.

მაშინ, როცა B ჯგუფში სიტუაცია ისე განვითარდა თრილერს შეშურდებოდა, A ჯგუფში ყველაფერი რუტინულად, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე წარიმართა. ესპანეთის ნაკრებმა სამივე მატჩი მოიგო, მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა (ნაკრებმა ზედიზედ 15 შეხვედრა მოიგო უკვე) და წუთითაც არ დააეჭვა სპეციალიტები, რომ კონფედერაციათა თასის ერთ-ერთი ფავორიტია. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ სამხრეთი აფრიკისა და ერაყის გუნდებთან ევროპის ჩემპიონებს უკეთ გარჯა ჰმართებდათ. ყოველ შემთხვევაში **იკერ კასილიასსა და პეპე რეინას** ჯერ გოლი არ გაუშვიათ.

მართალია, ესპანეთი ნახევარფინალში გამარჯვების ფავორიტია, მაგრამ **ვისენტე დელ ბოსკე** თავის ფეხბურთელებს აფრთხილებს, რომ არ მოდუნდნენ და ამერიკელებს კიდევ ერთი სიურპიზის შემოთავაზების შანსი არ მისცენ. აფრიკელებთან თამაშმა ესპანელთა რამდენიმე სუსტი წერტილი წარმოაჩინა, თუმცა ეს, შესაძლოა, უმოტივაციობით აიხსნას. აშშ-თან მატჩში კი ეს გამორიცხულია - ფინალის საგზურის გარდა, ესპანელებს კიდევ ერთი რეკორდის დამყარება შეუძლიათ, მათი მოგების ან ფრის შემთხვევაში დაემხობა ბრაზილიელთა წაუგებელი 35-მატჩიანი წაუგებელი სერიაა, შესაძლოა, მხოლოდ 24 საათით...

მაშინ, როცა ესპანეთმა ყველა მატჩი მოიგო, აშშ-ის ნაკრებმა სულ სამ ქულას მოუყარა თავი, თუმცა „რაღაც მანქანებით" მაინც შეძლო ნახევარფინალში გასვლა და მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის შინ სამარცხვინოდ გასტუმრება.

დელ ბოსკემ ეგვიპტესთან **სერხიო ბუსკეტსი** და **ალვარო არბელოა** ათამაშა, თუმცა თითქმის გამორიცხულია, ეს ფეხბურთელები ნახევარფინალშიც ვიხილოთ სასტარტოში. დაცვაში **სერხიო რამოსი** დაბრუნდება, ხოლო ნახევარდაცვაში - ლივერპულელი **ჩაბი ალონსო.**

ამერიკელებს დაცვაში პრობლემა აქვთ, **კარლოს ბოკანეგრამ** შესაძლოა ვერ მოასწროს დროულად გამოჯანმრთელება, ყოველ შემთხვევაში ის მატჩის განაცხადში მაინც იქნება. ამერიკელთა თავკაცი **ბობ ბრედლი** ალბათ ხელუხლებლად დატოვებს შემადგენლობას, რომელმაც ეგვიპტეს 3:0 მოუგო, მაგრამ ფლანგის მცველებს **ჯონათან ბორნშტაინს** და **ჯონათან სპექტორს** ნაკლებად დაავალებს შეტევებში ჩართვას.

დავუბრუნდეთ, მე-300 გოლს - საიუბილეო გოლის გატანის ყველაზე მეტი შანსი, რა თქმა უნდა, ესპანელთა შეტევის დუეტიდან ერთ-ერთს ექნება, **ფერნანდო ტორესსა** და **დავიდ ვილიას** კონფედერაციათა თასზე ყველაზე მეტი გოლი (ბრაზილიელ **ლუის ფაბიანოსთან** ერთად), 3-3 აქვთ გატანილი - „ელ ნინიო" და „გუახე" შესაშურ ფორმაში არიან.

**ფერნანდო ტორესი:** *„ჩვენმა გუნდმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ეს რა თქმა უნდა, დიდებულია, მაგრამ მთავარი კონფედერაციის თასის მოგებაა. თუ ამას შევძლებთ, მსოფლიოს ჩემპიონატს უკვე საკუთარ თავში დარწმუნებულები შევხვდებით. თუკი ფინალში ბრაზილიას შევხვდებით ეს ფანტასტიკური ფინალი იქნება".*

სავარაუდო შემადგენლობები

**ესპანეთი (4-4-2):** კასილიასი - რამოსი, პუიოლი, ალბიოლი, კაპდევილია - ფაბრეგასი, ჩაბი ალონსო, ჩავი, რიერა - ტორესი, ვილია.

**აშშ (4-4-2):** ჰოვარდი - სპექტორი, ონიევუ, დემერიტი, ბორნშტაინი - დემპსი, ბრედლი, კლარკი, დონოვანი - დევისი, ალტიდორი.

### საუკეთესო ვილიაა

„კასტროლ ინდექსი" კონფედერაციათა თასს ოფიციალურად უზრუნველყოფს ყველა სახის სტატისტიკით. „კასტროლ ინდექსი" ითვლის თითოეული ფეხბურთელის სტატისტიკურ ინდექსს (მხედველობაში მიიღება თითქმის ყველა მოძრაობა, რაც კი ფეხბურთელი მოედანზე აკეთებს). ასე შედგა ჯგუფური ეტაპის სიმბოლური გუნდი, რომელშიც ყველაზე მეტი ესპანელი მოხვდა: **კარლეს პუიოლი, ფერნანდო ტორესი** და **დავიდ ვილია.**

გთავაზობთ ჯგუფური ეტაპის სიმბოლურ ნაკრებს: **მოჰამედ კასიდი** (ეგვიპტე, 8.55) - **სიბონისო გაქსა** (ს. აფრიკა, 8.53), **ცეპო მასილელა** (ს. აფრიკა, 8.45), **კარლეს პუიოლი** (ესპანეთი, 8.12), **ბასემ აბასი** (ეგვიპტე, 8.07) - **კლინტ დემპსი** (აშშ, 8.26), **კაკა** (ბრაზილია, 8.84), **ფერნანდო მელო** (ბრაზილია, 8.21), **მაიკლ ბრედლი** (აშშ, 8.19) - **დავიდ ვილია** (ესპანეთი, 9.03), **ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი, 8.91). ჯგუფური ეტაპის საუკეთესო ფეხბურთელი ესპანელთა ფორვარდი დავიდ ვილიაა. ასტურიელ „ელ გუახეს" თითქმის უნაკლო ინდექსი აქვს - 9,03 (ყველაზე მეტია 10). დავიდ ვილიამ 7-ჯერ დაარტყა მეტოქეთა კარში ზუსტად და 3 გოლი გაიტანა. მასზე 5-ჯერ დაჯარიმდნენ, ვილიამ თანაგუნდელებს 65 პასი გადასცა.

გაგაცნობთ თითოეულ დისციპლინაში სტატისტიკურ ლიდერებს - კარში ზუსტად ყველაზე მეტჯერ **პარკერმა** (ს. აფრიკა) ურტყა - 10-ჯერ. 3-3 გოლით ტორესი, ვილია და **ლუის ფაბიანო** (ბრაზილია) ლიდერობენ, 3-3 საგოლე პასი დაუგროვდათ **კაპდევილიას** (ესპანეთი) და **აბუთრიქას** (ეგვიპტე), ყველაზე მეტი ზუსტი პასი თანაგუნდელებს ესპანელმა **ჩავიმ** გადასცა - 229. სოლო გარღვევებით თავი უკეთ **რობინიომ** (ბრაზილია) დაგვამახსოვრა - 12 გარღვევა. ყველაზე მეტი სახიფათო ჩაწოდება ეგვიპტელ აბუტრიკას ეკუთვნის - 9. ორთაბრძოლებში ყველაზე ხშირად გამარჯვებული გაქსა (ს. აფრიკა) გამოვიდა. ყველაზე მეტი დისტანცია ამერიკელმა **ბრედლიმ** დაფარა - 36,4 კმ. ყველაზე სწრაფი **პიენაარი** (ს. აფრიკა) იყო - 31,6 კმ/სთ. „კასტროლ ინდექსის" მიხედვით ტურნირში ყველაზე ცუდი ფეხბურთელი ზელანდიელთა მცველი **ენდი ბოიენსია** - 3.24.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ესპანეთი ნახევარფინალისთვის ემზადება

ევროპის ჩემპიონატი. U 21. A ჯგუფი



იტალიელებმა აკვაფრესკას დუბლით გაიმარჯვეს

# შვედური ბლიცკრიგი

## იტალია აკვაფრესკამ გაიყვანა

**სერბეთი-შვედეთი 1:3**

**სერბეთი (4-3-3):** ბრკიჩი - ტომოვიჩი, პეჩინოვიჩი, ვუკოვიჩი, პეტკოვიჩი - კაჩარი, სმილიანიჩი, ფეიზა - სულეიმანი (54. ტადიჩი), ველიოვიჩი (46. ვილოტიჩი), ზ. ტომიჩი (68. ტომიჩი).

**შვედეთი (4-4-2):** დალინი - ლუსტიგი, ბიარნსმირი, რ. ბენგტსონი, იოჰანსონი - ელმი (90. იოზკანი), სვენსონი, ვერნბლოომი, ბაირამი (80. ოლსონი) - ტოივონენი, ბერგი (90. ლანდგრენი).

**გოლები:** 0:1 ბერგი (7), 0:2 ბერგი (15-პენ), 1:2 კაჩარი (28), 1:3 ტოივონენი (29)

**გაძევება:** ტომოვიჩი (45. სერბეთი), პეტკოვიჩი (67. სერბეთი)

ამ ჯგუფში ორივე მატჩი გადამწყვეტი იყო. შვედეთისა და სერბეთის დაპირისპირება დაახლოებით თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხლა იყო, უბრალოდ, „ტრე კრუნურს" უფრო მეტად გაუმართლა და მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველ 15 წუთში გადაწყდა. შეხვედრის ამ მონაკვეთში **ტომი სოდერბერგისა** და **იორგენ ლენარტსენის** შეგირდებმა შესაშური დარაზმულობა გამოავლინეს. ჯერ კიდევ პირველ წუთებში **მარკუს ბერგისა** და **სამირ ბაირამის** კომბინაციას კინაღამ გოლი მოჰყვა, სამაგიეროდ, ეს მოხდა მე-7 წუთზე, როცა იმავე ბაირამის გასწვრივი პასი „გრონინგენის" ფორვარდმა კარში გადაამისამართა.

გავიდა 8 წუთი და ასევე ბაირამის წინააღმდეგ უხეშობისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც იმავე ბერგმა გამოიყენა და ამ ტურნირზე გატანილი გოლების რიცხვი 5-მდე აიყვანა. ამგვარმა დასაწყისმა სერბებზე თითქოს დამთრგუნველად იმოქმედა და მალე **ბაირამი-ელმი-ბერგის** სამსვლიანი კომბინაცია ლამის მესამე გოლით დასრულდა. რაკი ეს არ მოხდა, ბალკანელებმა უმალ ისარგებლეს ამით და **კაჩარის** ზუსტი თავურის შემდეგ ცოტა თვალში გამოიხედეს...

მაგრამ რად გინდა - ზუსტად ერთ წუთში სერბების დაცვა უხეშად შეცდა და ელმმა **ტოივონენს** საგოლედ გადააწოდა - 1:3 პირველივე ტაიმში, რამაც **სლობოდან კრჩმარევიჩის** კრებული ფსიქოლოგიურად გატეხა. ამას კი მოჰყვა ორი გაძევება და სრული კაპიტულაცია. თავის მხრივ, შვედებმაც იზარალეს - ბაირამის ყვითელი ბარათის იმას ნიშნავს, რომ ინგლისთან ნახევარფინალი მის გარეშე ჩაივლის...

**ბელარუსი-იტალია 1:2**

**ბელარუსი (4-2-3-1):** ჩესნოვსკი - შიტოვი, ოსიპოვიჩი, ვერხოვცოვი, ბორდაჩოვი - კისლიაკი (82. ვოლოდკო), სივაკოვი, კოველი, აფანასიევი (67. გიგევიჩი) - კრივეცი - კომაროვსკი (81. იურჩენკო).

**იტალია (4-3-2-1):** კონსილი - მოტა, ანდრეოლი, ბოკეტი, კრიშიტო - მარკიზიო, ჩიგარინი (85. მოროზინი), დე ჩელიე (14. დესენა) - აბატე (62. კანდრევა), ჯოვინკო - აკვაფრესკა.

**გოლები:** 1:0 კისლიაკი (44), 1:1 აკვაფრესკა (45-პენ), 1:2 აკვაფრესკა (75)

შვედეთთან პირველ მატჩში განცდილი ფიასკოს (1:5) შემდეგ ბელარუსის ნაკრებს ნახევარფინალში გასვლა მაინც შეეძლო და ამიტომაც იყო, მობილიზებული რომ გავიდა მოედანზე. წინა მატჩიდან გამომდინარე, სლავთა დამრიგებელმა **იური კურნენინმა** ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელა - თავდასხმაში დააბრუნა **დმიტრი კომაროვსკი.** წინა ხაზზე, დისკვალიფიცირებული **მარიო ბალოტელის** სახით, პრობლემა ჰქონდა მის ვიზავის **პიერლუიჯი კაზირაგისაც.** შეტევის მარცხენა ფლანგზე მან მოულოდნელად **ინაციო აბატე** დააყენა, მარცხნივ გაამწესა **სებასტიან ჯოვინკო,** ხოლო გამოკვეთილი ფორვარდის როლი **რობერტ აკვაფრესკას** დააკისრა.

იტალიის 21-წლამდელებმა ეს მატჩიც (ისევე, როგორც წინა ორი) ჰელსინგბორგში ჩაატარა და თავს თითქოს შინაურულადაც გრძნობდა, თუმც ნომინალური მასპინძელი ბელარუსი იყო. პატარა „აძურამ" თავიდანვე შეუტია მეტოქეს და უკვე მე-2 წუთზე აბატეს ფლანგურ პასს აკვაფრესკა გამოეხმაურა - ბურთი გარედან მოხვდა **ჩესნოვსკის** კარს.

შემდეგ იყო ბელარუსთა აქტიურობა და **კოველი** რომ წააქციეს საჯარიმოში, არბიტრს შეეძლო, იტალია 11-მეტრიანით დაესაჯა. ეს გახლდათ სიგნალი იმისთვის, რომ კაზირაგის შეგირდებს ყურები გამოებერტყათ, მით უმეტეს, პარალელურ მატჩში შვედები უკვე პირველ 15 წუთში ორი ბურთით დაწინაურდნენ. ეს კი უფრო ბელარუსებს აძლევდათ ხელს. ვიდრე გოლს თავად გაიტანდნენ, კურნენინის შეგირდები ორჯერ გადარჩნენ და ორივეჯერ **აფანასიევის** (თუმცა მერე ის გოლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდება) ძალისხმევით - ზედიზედ ოთხი კუთხურის შემდეგ მან ორჯერ გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან...

ამასობაში, ტაიმის ბოლომაც მოაწია და მეტოქეებმა გოლები გაცვალეს. იტალიელებისთვის შოკი იყო **კისლიაკის** ზუსტი დარტყმა, რაც **შიტოვის** ფლანგურ პასს მოჰყვა. თუმცა ბელარუსთა ზეიმმა მხოლოდ წუთნახევარი გასტანა. იმავე აფანასიევის მიერ ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი „კალიარის" ფორვარდმა აკვაფრესკამ გამოიყენა - 1:1.

დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, იმავე აკვაფრესკას დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა უზუსტოდ დაარტყა. იტალიელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ჩესნოვსკის კართან რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, რომელთაგან ერთი-ერთი ლოგიკურადაც დაგვირგვინდა - აკვაფრესკამ შეცვლაზე შესული **კანდრევას** გადაცემა მიიღო და ახლო მანძილიდან ამოცანა მარტივად გადაჭრა.

ახალგაზრდა ბელარუსებს სხვა გზა არ ჰქონდათ და ვა-ბანკზე წავიდნენ. თუმცა შეტევებში გართულებმა ლამის მესამე გოლიც მიიღეს - ცენტრიდან გარღვევის შემდეგ ჯოვინკომ ბურთი ხარიხას მოარტყა...

მოკლედ, 2:1 იტალიელთა სასარგებლოდ, რამაც ევროპის ხუთგზის ჩემპიონებს ნახევარფინალის საგზური მოუტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-4 | 6 |
| სერბეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| ბელარუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

1/2 ფინალი

26 ივნისი

იტალია-გერმანია

ინგლისი-შვედეთი

გიორგი გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## პიპლიცამ კარიერა დაასრულა

„კოტბუსის" მეკარე ტომისლავ პიპლიცამ 40 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა და ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. მაგრამ საკმაოდ ცნობილმა მეკარემ „კოტბუსი" არ დატოვა - ის მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ „ენერგიში" სკაუტის რანგში იმუშავებს.

პიპლიცამ 1998 წლიდან, „კოტბუსის" მაისურით 259 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

## გერმანიის სუპერთასზე...

როგორც იცით, წელს გერმანიის ლიგის თასის გათამაშება აღარ გაიმართება. სამაგიეროდ, აღდგა გერმანიის სუპერთასის ტრადიცია და წელს, „ფოლკსვაგენის სუპერთასზე" გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგი", თასის მფლობელ „ვერდერს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ „ფოლკსვაგენი" „ვოლფსბურგის" მფლობელი და მთავარი დამფინანსებელია. გერმანიის სუპერთასი 1996 წლამდე თამაშდებოდა და მერე ლიგის თასად გადაკეთდა.

## დაბრუნდება ბოროვსკი ვერდერში?

**ტიმ ბოროვსკიმ** მიუნხენის „ბაიერნში" იმედები ვერ გაამართლა და დიდი შანსია, რომ ისევ „ვერდერში" დაბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, ბრემენელებს ნახევარმცველის დაბრუნება სურთ. როგორც იცით, ბოროვსკიმ „ვერდერი" ერთი წლის წინათ დატოვა და მიუნხენურ გრანდში უსასყიდლოდ გადავიდა (კონტრაქტი დაუმთავრდა).

*„ჩვენ მას სიამოვნებით დავიბრუნებდით,"* - აცხადებს „მუსიკოსების" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი**.

## ჰოპი: ეს რა ჭირი გვჭირს!

„ჰოფენჰაიმის" მილიარდერი მფლობელი **დიტმარ ჰოპი** თავდამსხმელ **დემბა ბას** გარშემო ატეხილი დავიდარაბით ძალიან შეწუხებულია და სენეგალელ ფეხბურთელს უმკაცრესი სასჯელით ემუქრება. როგორც იცით, ბა კატეგორიულად ითხოვს „შტუტგარტში" გაშვებას, რის გამოც მთელი „ჰოფენჰაიმი" მოიმდურა. პირველ რიგში კი ჰოპი, რომელსაც ფული არ აკლია და შეიძლება, ფეხბურთელი ძალიან მკაცრად დასაჯოს. აი, რა უთხრა განრისხებულმა ჰოპმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს:

*„გადაგვიხადონ 20 მილიონ ევროზე მეტი და ბას გავყიდით! თუ ამ თანხას გადაიხდიან, სიამოვნებით, ისე კი, სენეგალელის გაყიდვა გამორიცხულია. თუ დემბას ჩვენთან თამაში არ უნდა, ვერც ითამაშებს. სათადარიგოთა სკამზე დავსვამთ ან სულაც განაცხადში არ შევიყვანთ. სხვა მხრივ კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გავყიდით, თუ 20 მილიონზე მეტს მოგვცემენ, მაგრამ არა მგონია, რომ ამდენი გადაგვიხადონ"*, - უთხრა ჰოპმა „რაინ ნეკარ ცაითუნგს".

## პრანჯიჩმა თავი გამოისყიდა

როგორც იქნა, **დანიელ პრანჯიჩის** ტრანსფერი განხორციელდა და ხორვატი ნახევარმცველი „ჰერენვენიდან" „ბაიერნში" გადადის. როგორც გაირკვა, იმისათვის, რომ გარიგება შემდგარიყო, პრანჯიჩმა საკუთარი ფულიც კი დახარჯა.

*„ჰერენვენი" ჩემს სანაცვლოდ 7.7 მილიონ ევროს ითხოვდა, მიუნხენელებს კი მხოლოდ 7 მილიონის გადახდა სურდათ. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, რომ 700 000 ევრო საკუთარი ჯიბიდან გადამეხადა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. ისე გამოდიოდა, რომ ტრანსფერი 700 000-ის გამო იშლებოდა, მე კი ძალიან მინდოდა, რომ კარიერა „ბაიერნში" გამეგრძელებინა,"* - განუცხადა პრანჯიჩმა ჰოლანდიურ პრესას.

**გოტფრიდ ლენცი**

სატრანსფერო ბაზარზე

## რეალი ლივერპულს უტევს


ჩაბი ალონსო

მადრიდის „რეალს" კვლავ „ლივერპულში" მოთამაშე **ხაბი ალონსოს** შეძენა სურს, რაც გუშინ, მადრიდელთა „სამეფო კლუბის" გენერალურმა დირექტორმა, **ხორხე ვალდანომ** დაადასტურა.

*„ხაბი ალონსოს გადაბირების გარკვეული შანსი გვაქვს, მაგრამ ამაზე დეტალურად აღარაფერს ვიტყვი, რადგან მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს და არ მინდა ჩემმა საჯარო ნათქვამმა რამეს ხელი შეუშალოს. ჯერ დრო არის და გონივრულ ფარგლებში ლოდინს ვამჯობინებთ"* - ბრძანა 1986 წლის არგენტინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა.

ვალდანოს თქმით, „რეალს" კიდევ ერთი ლივერპულელის შეძენა სურს. საუბარია **ალვარო არბელოაზე**, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ „რეალის" ბავშვთა სკოლის აღზრდილი გახლავთ.

*„ამ ბიჭს ინგლისში მხოლოდ ერთი წელიწადი აქვს დარჩენილი, რაც მისი გადმოყვანის დამატებით შესაძლებლობას გვაძლევს. არბელოა განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული. მას რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში. ასეთი მრავალსახეობა ყოველთვის კარგია. ვფიქრობ, მისი „რეალში" დაბრუნება ჩვენი გაძლიერების კიდევ ერთი ვარიანტია".*

დაბოლოს, კიდევ ერთი ლივერპულელი, ოღონდ ამჯერად არა ესპანელი, არამედ არგენტინელი, **ხავიერ მასკერანოა,** რომლის მიმართ ყურადღება ისეთმა გუნდებმა გამოიჩინეს, როგორიცაა „რეალი" და „ბარსელონა". ვერ გეტყვით, მადრიდელებს „ლივერპულის" ფეხბურთელებისგან დაცლა და დასუსტება აქვთ განზრახული თუ რა ხდება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. თან, 25 წლის არგენტინელის ცოლი ინგლისში ცხოვრებას ვერ ეგუება და სამხრეთულ მზეს ითხოვს.

*„ბედნიერი ვარ „რეალსა" და „ბარსელონას" ჩემდამი ინტერესი რომ გაუჩნდათ. ორივე გუნდი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ახლა „ბარსელონა" უფრო ძლიერი მგონია და ვფიქრობ ამიტომაც მოიგო წლეულს უამრავი ტიტული"*, - უთხრა მასკერანომ ესპანურ ჟურნალ „დონ ბალონს".

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერი

## ნაკამურას მეოთხე გუნდი

ბარსელონის „ესპანიოლმა" გლაზგოს „სელტიკიდან" იაპონელი ნახევარმცველი **შუნსუკე ნაკამურა** იყიდა. როგორც პრიმერადივიზიონის კლუბი აცხადებს, კონტრაქტი ორწლიანია.

ნაკამურა ბერსელონაში 10 ივლისს ჩავა და სანამ სეზონისწინა წვრთნაში ჩაებმება, სამედიცინო შემოწმებას გაივლის. 32 წლის პროფესიონალი, რომელიც ამ თვის ბოლოს თავისუფალი აგენტი უნდა გამხდარიყო, სხვადასხვა დროს გამოდიოდა ჯეი ლიგის Yokohama F-Marinos-ში, იტალიურ „რეჯინასა" და ზემოხსენებულ გლაზგოს „სელტიკში".

**ილია ბაბუნაშვილი**

ჭორ-მართალი

## მიკაელის ელ კლასიკო

**მიკაელ ესიენს** „ეკ კლასიკომ" შეუტია - „ჩელსის" ნახევარმცველის შეძენა „რეალსაც" უნდა და „ბარსელონასაც" ან... ესიენს უნდა, რომ „რეალმა" ან „ბარსელონამ" იყიდოს. ფეხბურთელის აგენტი **ფაბიენ პივეტო** ამბობს, რომ როგორც კასტილიელების, ასევე კატალონიელების წინადადებას ის და მისი კლიენტი დაწვრილებით შეისწავლიან და არჩევანსაც ამ ორ სუპერკლუბს შორის გააკეთებენ. იმავდროულად, პივეტომ „ჩელსისაც" დაუყვავა - ესიენს ლონდონური კლუბი ძალიან უყვარს, მაგრამ ხომ იცით, ფეხბურთი ფეხბურთიაო.

ეს ყველაფერი პივეტომ განურ ჟურნალ „კიკ ოფს" უთხრა: *„დიახ, მას „ჩელსი" ძალიან უყვარს, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და თუ მადრიდის „რეალი", „ბარსელონა" ან რომელიმე სხვა დიდი კლუბი წინადადებით მოგვმართავს, ჩვენ დავსხდებით და საუკეთესოს ავირჩევთ".*

ჩამშლელი ნახევარმცველი ბოლო წლების განმავლობაში ლონდონელი „ლურჯების" ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ. მისი ძალა და მნიშვნელობა ყველაზე თვალსაჩინოდ გასული სეზონში ტრვმამ გამოაჩინა - როდესაც ესიენმა ტრავმა მოიშუშა და მოედანს დაუბრუნდა, „ჩელსიმ" აშკარად ამოისუნთქა და სულ სხვა ფეხბურთის თამაში დაიწყო.

**ილია ბაბუნაშვილი**

სხვადასხვა

## ორი უგემოვნო

იცით, რას ამბობს მადრიდის „რეალის" ყოფილი თავდამსხმელი, ბრაზილიელი **რობინიო?** - ჩემს თანამემამულეს, ბრაზილიის ნაკრებში თანაგუნდელსა და მეგობარს, **კაკას**, დანაშაულებრივი გემოვნება აქვს. კერძოდ? კერძოდ, მას 90-იან წლებში მეტად პოპულარული პოპროკის ჯგუფი „ბექსტრით ბოიზი" უყვარს და მის სიმღერებს უსმენს - აი, ასე გამოაჯავრა „რეალიდან" „მანჩესტერ სიტიში" გაქცეულმა ფეხბურთელმა „მილანიდან" „რეალში" გადასული ვარსკვლავი.

მოგეხსენებათ, კაკა „მილანიდან" „რეალში" სულ ახლახან, ივნისში, 67.2 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაბარგდა, რობინიო კი 2008 წელს მადრიდიდან ინგლისში ისე გავარდა, გეგონება, ესპანეთის დედაქალაქში სული ეხუთებოდა.

*„კაკა და მუსიკა? რა საერთო აქვთ ერთმანეთთან? კაკა მხოლოდ „ბექსტრით ბოიზს" უსმენს"*, - უთხრა რობინიომ ჟურნალისტებს.

მათთვის, ვინც „ბექსტრით ბოიზს" არ იცნობს და რობინიოს ხუმრობა ვერ გაიგო: ეს ამერიკული ჯგუფი მხოლოდ ბიჭებისგან შედგება და ყველაზე მეტად სასიყვარულო, რომანტიკული სიმღერებითაა ცნობილი. თუმცა, მოდით, დავანებოთ თავი შოუბიზნესს და „რეალს" დავუბრუნდეთ, სადაც კაკას გარდა, კიდევ ერთი „ახალმოსახლეა" - **კრისტიანო რონალდო.** ამბობენ, რომ მუსიკალური გემოვნების თვალსაზრისით, რონალდო კაკასგან შორს არ არის და სახლიდან „რეალის" ბაზაზე ერთი მანქანით თუ ივლიან, უკეთესიც იქნება, რადგან გზაში დისკს უპრობლემოდ შეარჩევენ და მშვიდადაც მოუსმენენ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერის დეტალები

## ხელფოთხმოციდან ხელფასამდე

**გლენ ჯონსონმა** თავი თუ არ მოგაბეზრათ, მის შესახებ კიდევ ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ. ბოლოს და ბოლოს, ეს 24 წლის კაცი პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული მცველია, რომელსაც ინგლისის ნაკრებში რეგულარულად ათამაშებენ. გუშინ მის შესახებ ვწერდით, რომ 18,5 მილიონი ფუნტის სანაცვლოდ „პორტსმუთმა" იგი „ლივერპულს" მიჰყიდა, დღეს კი უკვე ხელფასის ამბები შეგვიძლია დავამატოთ - „ლივერპულში" გადასვლით ჯონსონი პრემიერლიგელ მცველებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდშემოსავლიანიც გახდა. ამიერიდან იგი კვირაში 100 ათას ფუნტს მიიღებს.

როგორც ინგლისურმა გაზეთებმა შეიტყვეს, ჯონსონის ამხელა ანაზღაურება... „მანჩესტერ სიტიმ" განაპირობა. თურმე, ნუ იტყვით და „სიტის", ბოლოწამს, „ლივერპულისთვის" მცველის ცხვირწინ აცლა ნდომებია. გაზეთების მტკიცებით, მერსისაიდელთა მწვრთნელი, **რაფა ბენიტესი** ჯონსონისთვის ამხელა ხელფასის დანიშვნას არ აპირებდა, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ „მანჩესტერ სიტი" გააქტიურდა და მისთვის შემდგარი გარიგების ჩაშლას ცდილობს, ჯიბეზე ხელი გაუკრავს და მცველისთვის 100 ათასი შეუთავაზებია. გაირკვა ისიც, რომ „სიტის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** ჯონსონს კვირაში 80 ათასით უპირებდა მოხიბვლას.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპული" გლენ ჯონსონთან დაკავშირებულ ვაჭრობაში ყველაზე დიდ კონკურენტად „მანჩესტერ სიტის" კი არა, ფეხბურთელის ყოფილ გუნდს, „ჩელსის" მიიჩნევდა, მაგრამ აქ, საქმეში პირადი სიმპათია ჩაერია - ჯონსონმა ლონდონელი „ლურჯების" გუნდში 2003-07 წლები გაატარა და იქ დაბრუნება აღარ სურდა.

ცნობილი გახდა კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ზემოთ ხსენებული 18,5 მილიონი ფუნტიდან, რომელიც „ლივერპულმა" „პორტსმუთს" გლენ ჯონსონის სანაცვლოდ უნდა გადაუხადოს, 7 გაიქვითება. რატომ? იმიტომ, რომ, შარშან ამ დროს „ლივერპულიდან" „პორტსმუთში" ანუ პირიქითა მიმართულებით, ცნობილი თავდამსხმელი, **პიტერ კრაუჩი** გადავიდა და მისი ტრანსფერის 7 მილიონი ჯერ კიდევ გადასახდელი ყოფილა.

ასე და ამგვარად, ჯონსონის სატრანსფერო ისტორია დასრულდა. დღეს, მიმომხილველები ამბობენ, რომ ამ გარიგებით ბენიტესმა მოიგო. კერძოდ, „ლივერპულმა" კონკურენტებთან ფინანსური ჩამორჩენილობის მიუხედავად გამორჩეული მცველი იყიდა და თან ვაჭრობაში აჯობა მათ, რაც მნიშვნელოვანია როგორც პრაქტიკული, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა, მერსისაიდელებს მაინც დიდი პრობლემები აქვთ გადასაჭრელი: **ხავიერ მასკერანოს, ჩაბი ალონსოს, ალვარო არბელოასა** და **ანდრეა დოსენას** ცალი თვალი გაქცევაზე უჭირავთ და ბენიტესმა რამე უნდა ილონოს.

**ილია ბაბუნაშვილი**


გლენ ჯონსონი

პრემიერლიგური ბიზნესი

## სეტანტას ნაკვალევზე

ამერიკულმა სამაუწყებლო კომპანია ESPN-მა პრემიერლიგის მომავალი სეზონის 46 თამაშის ტრანსლაციის უფლება შეიძინა. „ლელოს" ერთგული მკითხველისთვის ცნობილია, რა 46 თამაშზეც არის ლაპარაკი. ეს გახლავთ ის შეხვედრები, რომლებიც ეთერში ირლანდიურ „სეტანტას" უნდა გაეშვა, მაგრამ ამ კომპანიას ეკონომიკურმა კრიზისმა უწია, პრემიერლიგელთა შესაბამის ანგარიშზე კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა ვერ გადარიცხა და უფლებები დაკარგა.

ასე და ამგვარად, ასპარეზზე ამერიკული „დისნეი" და მისი საკუთრება ESPN-ი გამოვიდნენ, რომელთაც ახლა მაგიდაზე ინგლისის ჩემპიონატის თამაშების ორი პაკეტი უდევთ - შაბათის შუადღისა და ორშაბათ საღამოს მატჩები. ESPN-ის განკარგულებაშია, აგრეთვე, ის 23 შეხვედრაც, რომელიც „სეტანტას" 2010-13 წლებში უნდა შეერჩია და გადაეცა ეთერში. რა თანხას იხდიან ამერიკელები ამ ყველაფერში, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ამასობაში კი თავიანთი ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლება „სეტანტასგან" შოტლანდიელებმაც უკან წამოიღეს. აქ, საუბარია 2009/10 წლებში სქოთური პრემიერლიგის მატჩების ბრიტანეთში ტრანსლაციაზე. როგორც შოტლანდიელები ამბობენ, ახლა ამ თამაშებს ახალი მაუწყებელი უნდა უპოვონ.

აღსანიშნავია, რომ ESPN-ი, რომელიც დიდ ბრიტანეთში სპორტის „ამერიკულ სახეობებს" ორი არხით უკვე კარგა ხანია გადასცემს, პრემიერლიგური შეხვედრების პირდაპირ რეპორტაჟებს პირველად ჰკიდებს ხელს.

დაბოლოს, იმისათვის, რომ კარგად წარმოვიდგინოთ, თუ რა მსუყე ლუკმა გახლავთ ინგლისური პრემიერლიგა, დავძენთ, რომ ხსენებული ორი პაკეტის შეძენა ბრიტანულ სამაუწყებლო კომპანია BskyB-საც შეეძლო. მეტიც, ელოდნენ, რომ „სეტანტას" დანატოვარს სწორედ ეს კომპანია შეიძენდა, მაგრამ BskyB-ის 2010/11 წლებისთვის თამაშების სრულიად საკმარისი რაოდენობა უკვე შეუძენია და სამომავლოდაც თავი ქუდში აქვს. დავაზუსტოთ: BskyB-ი ამ სეზონში 92 შეხვედრას გადასცემს, მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში კი თითოში 115 რეპორტაჟს გეგმავს.

ახლა, წესითა და რიგით, ჯერ კიდევ „სეტანტას" მფლობელობაში დარჩენილი სხვა შეხვედრების საქმე უნდა გაირჩეს. კერძოდ, გასაჭირში ჩავარდნილ ირლანდიურ კომპანიას ხელშეკრულება აქვს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან, რომლის თანახმადაც სანაკრებო და ასოციაციის თასის შეხვედრები მას უნდა გადაეცა. მეტიც, ეს უკვე ფეხბურთს აღარ ეხება, მაგრამ ცნობისათვის გეტყვით, რომ „სეტანტას" გოლფის PGA ტური, კრიკეტისა და რაგბის ხელშეკრულებათა მთელი დასტაც ჯერ კიდევ უჯრაში უდევს. ხუმრობა ხომ არ არის, „სეტანტას" მთელ მსოფლიოში 1,2 მილიარდი ხელმომწერი ჰყავდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

შალკე

# მაგათი: შანსს ყველას მივცემ!

## შალკე ხვალ იწყებს: კობიამ და ყენიამ პირველივე ვარჯიშიდან ბევრი უნდა იშრომონ!

მომავალ სეზონში, „შალკეს“ საქმეები, წესით, კარგად უნდა წაუვიდეს. ყოველ შემთხვევაში, წარუმატებელი წლების შემდეგ, წარმატებისკენ პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგმულია: გუნდის მთავარ მწვრთნელად და მენეჯერად **ფელიქს მაგათი** დაინიშნა - კაცი, რომელმაც სხვებზე უკეთ იცის, როგორ უნდა შექმნას ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი, რაც მან არაერთგზის დაამტკიცა. შვებულებიდან დაბრუნებული მაგათის პირველი ინტერვიუ უკვე შემოგთავაზეთ. გუშინწინ კი, **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდმა „დესპოტი ფელიქსი“ შალკელის რანგში ოფიციალურად წარადგინა. მაგათი ინტერვიუშიც ამბობდა, რომ მისი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა. ოღონდ, ფელიქსი თავს ვერ დადებს, რომ „შალკე“ ამ მიზანს გაისად მიაღწევს, თუმცა ამბობს, არაფერს გამოვრიცხავო. ფელიქსს ესმის, რომ თავისი სამწვრთნელო კარიერის ერთ-ერთი ურთულესი მისია უნდა შეასრულოს - „შალკეს“ გაჩემპიონება წარმოუდგენლად რთული ამოცანაა, რაც უტყუარმა საბუთმა, დრომ დაამტკიცა: ნახევარ საუკუნეზე მეტია, გელზენკირხენელებს გერმანიის ჩემპიონობა არ უზეიმიათ.

*„თუკი ამ ოთხ წელიწადში „შალკეს“ ვერ გავაჩემპიონებ, გამოვა, რომ ამ პოსტზე მუშაობას არ ვიმსახურებდი,* - განაცხადა 55 წლის მწვრთნელმა თავის პირველ პრესკონფერენციაზე, გელზენკირხენელ ფანებს იმედი ჩაუსახა და დასძინა, *- ვიცი, თუ როგორ მოუთმენლად ელიან ფანები იმ წამს, როცა გუნდი გერმანიის ჩემპიონი გახდება. ვფიქრობ, მე შემიძლია გავხდე ის სპეციალისტი, რომელიც მათ ამ ოცნებას აუსრულებს.“* რაც მთავარია, ოთხკვირიანი შვებულების შემდეგ, გერმანიის ჩემპიონი მწვრთნელი კარგად დასვენებული ჩანს.

ცხადია, მაგათი „შალკეს“ ფანებს ვერ აძლევს გარანტიას, რომ გუნდი პირველივე სეზონში ჩემპიონი გახდება, მაგრამ ამას არც გამორიცხავს. ფელიქსი მიიჩნევს, რომ ამაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მისია მხოლოდ „ბაიერნში“ ჰქონდა, სადაც ორ-ნახევარი წელი იმუშავა და ორივე სეზონში გუნდს დუბლი შეასრულებინა. სამაგიეროდ, მაგათმა იცის, რომ ეს არის ყველაზე რთული მისია მის სამწვრთნელო კარიერაში. *„მესმის, რომ დიდი შანსია, არც არაფერი გამომივიდეს,“* - თავს იზღვევს ჩემპიონი მწვრთნელი და აღიარებს, რომ როდესაც კონტრაქტზე ხელს აწერდა, რაღაცნაირი გაორება დაეუფლა.

მაგათი „შალკეს“ რეორგანიზაციას და რესტრუქტურიზაციას იწყებს და აღიარებს, რომ არ იცის, რამდენად მტკივნეული იქნება ეს პროცესი პირველ ეტაპზე და რამდენად დიდი დრო დასჭირდება ამ პროცესს. თუმცა ფელიქსი იქვე განმარტავს, სადაც მიმუშავია, რეორგანიზაციის პროცესი მალევე დამისრულებია და თანაც, წარმატებითო. თუმცა ყველაფერთან ერთად, მაგათი საქმეს დიდი სიფრთხილით ეკიდება. მისთვის მოტივაციის უმთავრესი წყარო ის არის, რომ „შალკე“ გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ემოციური გუნდია.

მაგათთან ერთად, პრესკონფერენციაზე გახლდათ გელზენკირხენული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისი**, რომელმაც მაშინვე სცადა, მწვრთნელი ზეწოლისგან გაეთავისუფლებინა. *„ყველაზე მეტად ეიფორია არ მინდა. ფელიქს მაგათი მესია არ არის!“* - უთხრა ჟურნალისტებს ტიონისმა.

ცნობილია, რომ „შალკეს“ შეფები მაგათს ვერ დაეხმარებიან იმდენი ფულით, რამდენითაც თავის დროზე ის „ვოლფსბურგის“ შეფებმა უზრუნველყვეს. ფელიქსს ტრანსფერებისთვის მხოლოდ და მხოლოდ 5 მილიონი ევრო აქვს გამოყოფილი და თუ რომელიმე ფეხბურთელს გაყიდის, ცხადია, სანაცვლოდ მიღებული თანხაც ამ 5 მილიონს დაემატება. თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ „შალკეს“ ახალგაზრდა ტალანტი **ლუის ჰოლტბი** (ალემანია) მიაშურებდა, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მაგათს ამ უკანასკნელის გადაბირება „ვოლფსბურგშიც“ სურდა. ახლა პრობლემა ის არის, რომ „ალემანია“ 4 მილიონზე მეტს ითხოვს. „შალკეს“ კი მხოლოდ 4 მილიონის გადახდა შეუძლია. მაგათი ამბობს, თუ ამ წინადადებაზე არ დაგვთანხმდებიან, ჰოლტბი აახენში კიდევ ერთ სეზონს გაატარებსო.

ფელიქსს ჟურნალისტებმა სხვა საკადრო ცვლილებების შესახებაც ჰკითხეს, მაგრამ მწვრთნელ-მენეჯერმა მათ კონკრეტული პასუხი ვერ გასცა და მხოლოდ ის თქვა, რომ პირველ რიგში სიტუაციას ადგილზე უნდა გაეცნოს, ყველა ფეხბურთელის (მათ შორის, ქართველი ფეხბურთელების) შესაძლებლობებში კარგად უნდა გაერკვეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება რაიმე საკადრო ცვლილების განხორციელება. „შალკემ“ ვარჯიში ხვალ უნდა დაიწყოს და მანამდე მაგათმა მხოლოდ ეს თქვა: *„ფეხბურთში წარმატების მისაღწევად ალბათ უამრავი გზა არსებობს, მაგრამ მე მხოლოდ ერთი გზა ვიცი და ეს გზა შრომაზე გადის. წარმატების უპირველესი კრიტერიუმი შრომაა“.*


ფელიქს მაგათი

მაგათმა „შალკეში“ ვოლფსბურგიდან ასისტენტები **ზეპო აიხკორნი** და **ბერნდ ჰოლერბახი**, ასევე ფიტნეს-მწვრთნელი **ვერნერ ლოითარდი** და პრესატაშე **როლფ დიტრიხი** მიიყვანა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა ბედი ეწევათ „შალკეს“ ყოფილ დროებით მწვრთნელებს, **რეკს, ბიუსკენსს** და **მიულდერს**. მათი მომავალი ამ დღეებში გაირკვევა.

*„მე მომავლის გუნდის შენებას ვიწყებ. მირჩევნია, დღეს მოვითმინო, რათა ხვალ უფრო დიდ წარმატებას მივაღწიო, ვიდრე დღესვე ვიფიქრო გაცილებით უფერულ წარმატებაზე. ჩემს ხელში აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელს ექნება თავის გამოჩენის შანსი. თითოეულ ფეხბურთელს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, უნდა თუ არა ჩემთან ერთად ამ გზის გავლა!“* - ასე დაასრულა მაგათმა პრესკონფერენცია.

ვოლფსბურგი

# ჯეკო რჩება, მაგრამ ერთი ფორვარდიც საჭიროა

## მგლებმა მზადება დაიწყეს. ფეემ იცის, რომ ტიტულის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება


ვოლფსბურგი მზადებას შეუდგა

გერმანიის ჩემპიონობის მოპოვებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ, „ვოლფსბურგმა“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. მოქმედი ჩემპიონი მესამე ბუნდესლიგური კლუბია, რომელიც ზაფხულის არდადეგების შემდეგ ვარჯიშს შეუდგა. გუნდის ახალი მწვრთნელისა და მენეჯერის, **არმინ ფეეს** ამოცანა მოპოვებული ტიტულის შენარჩუნებაა და ამავე დროს, „მგლებმა“ ჩემპიონთა ლიგაშიც კარგი შთაბეჭდილება უნდა დატოვონ. „ვოლფსბურგთან“ ერთად, ახალი სეზონისთვის მზადებას ორშაბათს მიონხენგლადბახის „ბორუსია“ და ელიტაში აღზევებული „ფრაიბურგიც“ შეუდგნენ. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ჩემპიონატი 7 აგვისტოს დაიწყება. ფეემ პირველ დღეს 19 ფეხბურთელი ავარჯიშა, დანარჩენი 12 მოთამაშე კი ისევ შვებულებაშია.

პირველი ვარჯიშის შემდეგ, ფეემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც პირველ რიგში თავდამსხმელ **ედინ ჯეკოს** მომავალზე ისაუბრა და მისი გასხვისება კატეგორიულად გამორიცხა. *„არც ერთ კლუბს არ დაველაპარაკებით. რაც უნდა შემოგვთავაზონ, ჯეკო მომავალ სეზონსაც „ვოლფსბურგში“ გაატარებს. ეს უკვე გადაწყვეტილია,“* - აღნიშნა „მგლების“ ახალმა დამრიგებელმა. როგორც გაირკვა, „მილანმა“ „ვოლფსბურგს“ ბოსნიელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო და ფორვარდი **მარკო ბორიელო** შესთავაზა, მაგრამ „როსონერიმ“ უარი მიიღო. *„ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სეზონის წინ, გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა გავყიდოთ. ეს თვითმკვლელობის ტოლფასია,“* - თქვა ფეემ.

მწვრთნელი გრაფიტეს საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ბრაზილიელთან კონტრაქტის გაგრძელება უკვე ფორმალობაა. „ვოლფების“ ახალი დამრიგებელი დარწმუნებულია, რომ გრაფიტე-ჯეკოს დუეტს შეინარჩუნებს, მაგრამ ფეე ამითაც არ კმაყოფილდება და იმის გამო, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგაშიც იასპარეზებს, რაც ფეხბურთელებისთვის დამატებით დატვირთვას ნიშნავს, კიდევ ორი-სამი ფეხბურთელის ყიდვა სურს, რომელთაგანაც ერთი მაღალი კლასის თავდამსხმელი უნდა იყოს - ისეთი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ღირსეულად შეცვლის გრაფიტეს ან ჯეკოს. *„ჩემპიონთა ლიგისთვის გუნდის გაძლიერებაა საჭირო,“* - ამბობს ფეე.

ჯერჯერობით, „ვოლფსბურგს“ მომავალი სეზონისთვის მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავს შეძენილი: დანიის ნაკრების ნახევარმცველი **თომას კალენბერგი**, რომლის სანაცვლოდაც, „მგლებმა“ „ოსერს“ 4 მილიონი ევრო გადაუხადეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ვოლფსბურგის“ განაცხადში დღესდღეობით 30 ფეხბურთელია და ფეეს რამდენიმე უსარგებლო მოთამაშის გასხვისება სურს. მწვრთნელის თქმით, გუნდი ახალ სეზონს 23-დან 26 ფეხბურთელამდე განაცხადით შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ფეე გუნდის მწვრთნელიცაა, მენეჯერიც და ფინანსების განმკარგველიც. არმინს 19-წლიანი სამწვრთნელო სტაჟი აქვს და სამმაგ თანამდებობაზე პირველად იმუშავებს. ამასთან, მის კარიერაში პირველია შემთხვევა, როცა ფეე ჩემპიონ გუნდს იბარებს. თუმცა „მგლების“ დამრიგებელი აღიარებს, რომ „ვოლფსბურგისთვის“ ლიდერის პოზიციების შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნება. *„ფაქტია, რომ გასული სეზონის შედეგის გამეორება, ანუ, ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაგვიჭირდება,“* - ამბობს ფეე.

გუშინ „ვოლფსბურგი“ ჩრდილოეთის ზღვის კუნძულ სილტზე გაემგზავრა, სადაც შეკრებას 3 ივლისამდე გაივლის. მეორე შეკრება კი 21-დან 28 ივლისამდე გასტანს (ავსტრიაში). 7 აგვისტოს კი, გერმანიის ჩემპიონი ახალი სეზონის პირველ მატჩს გამართავს.

### 15 მილიონი კარლოს ედუარდოში?

„ბილდის“ ინფორმაციით, ფეეს სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზე „ჰოფენჰაიმის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი, 21 წლის **კარლოს ედუარდოა**. ცნობილია, რომ პერსპექტიული ბრაზილიელი დრიბლიორის გადაბირება „ზენიტსაც“ სურდა და რუსებმა „ჰოფენჰაიმს“ 12 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ „სოფლელებისგან“ უარი მიიღეს. თანაც, „ჰოფეს“ მენეჯერმა **იან შინდელმაიზერმა** განაცხადა, კარლოს ედუარდოს არ ვყიდითო. „ბილდის“ ინფორმაციით კი, „ვოლფსბურგი“ მზადაა, „ჰოფენჰაიმს“ 15 მილიონი გადაუხადოს. ეს კი ის თანხაა, რომელზეც „სოფლელები“ ასე იოლად უარს ვერ იტყვიან, მაგრამ საინტერესოა, რაში სჭირდება „ვოლფსბურგს“ ედუარდო, როცა ფლეიმეიქერის პოზიციაზე, **ზვიეზდან მიშიმოვიჩის** სახით (21 საგოლე პასი გასულ სეზონში) საუკეთესო დირიჟორი ჰყავს? როგორც ირკვევა, ფეეს კარლოს ედუარდო თავდამსხმელის რანგში სურს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ინტერვიუ

მარჩელო ლიპი

# ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ

## მაესტრო ხარვეზებზე იმუშავებს



არავინ ელოდა, თუ იტალიის ნაკრები კონფედერაციათა თასზე ასპარეზობას ასეთი კრახით დაასრულებდა. საერთოდ, აღნიშნულ ტურნირს მუნდიალის მოსამზადებელ ეტაპად განიხილავენ და მწვრთნელები ხშირად ექსპერიმენტებს მიმართავენ. მიუხედავად ამისა, შედეგი მეორეხარისხოვანი ნამდვილად არ არის. შესაბამისად, „სკუადრა აძურას" წარუმატებლობა იტალიაში ძალიან განიცადეს. თანაც, მარცხიც არის და მარცხიც - ნაგება ეგვიპტის ნაკრებთან და შემდეგ, განადგურება ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან. ბუნებრივია, მარჩელო ლიპის მისამართით უამრავი კითხვა გაჩნდა და ამ დღეებში, ის ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში იქნება. გუშინ, "სქაი იტალიასთან" სენიორ მარჩელომ საკმაოდ საინტერესოდ ილაპარაკა:

**- პირდაპირ გეტყვით, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იტალიის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლა, უბრალოდ, არ უნდოდა...**

- წავიკითხე ერთი სტატია, სადაც ვარაუდი გამოითქვა, რომ ფეხბურთელებმა პლეი ოფებს ზაფხულის შვებულების გახანგრძლივება ამჯობინეს. ამას კატეგორიულად უარვყოფ, რადგან კარგად ვიცნობ ჩემს შეგირდებს. ისინი კონფედერაციათა თასის მოპოვებას გეგმავდნენ და დამერწმუნეთ, ბრაზილიელებთან მარცხის შემდეგ, საშინელ ხასიათზე იყვნენ. იშვიათად მინახავს ასეთ ცუდ გუნებაზე მყოფი ფეხბურთელები და ეს სრულიად ბუნებრივია. მართლაც კოშმარული სალამო იყო, რომლის დავიწყება ჯერ კიდევ მიჭირს.

**- მაშინ, რა მოხდა კონფედერაციათა თასზე. რამ გამოიწვია ასეთი სუსტი თამაში?**

- ძნელია დღეს ამაზე საუბარი. ფეხბურთელები არ აღმოჩნდნენ მზად ტურნირისთვის და ძალიან ბევრი უპატიებელი შეცდომა დაუშვეს. არც ერთი რგოლი მოწოდების სიმაღლეზე არ იყო, რაც შესაძლოა მოთამაშეთა გადაღლილობის ბრალიც იყო. შეცდომები მეც დავუშვი და ყველაფერმა ამან ასეთ შედეგამდე მიგვიყვანა. თუმცა, ამ ტურნირში ჩვენს მონაწილეობას მაინც დადებითად შევაფასებდი, რადგან სამხრეთ აფრიკაში მიღებული გამოცდილება სამომავლოდ ძალიან წაგვადგება. უამრავი ხარვეზი გამოჩნდა და ნათლად დავინახეთ, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. თანაც, კარგად გამოჩნდა თუ რა კომპონენტებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრას უნდა დავუთმოთ ერთი წელი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ.

**- ხომ შეგეძლოთ კონფედერაციათა თასზე ახალგაზრდების წაყვანა, რომლებსაც უფრო მეტი ენთუზიაზმი აქვთ და წარმატების მიღწევის ყველა შანსი ჰქონდათ?**

- ნამდვილად შემეძლო. კონფედერაციათა თასის დაწყებამდე, ამხანაგურ შეხვედრაში ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს ექსპერიმენტული გუნდი დავუპირისპირე და ამან გაამართლა კიდეც. დარწმუნებული ვარ, იმ ფეხბურთელებით ჯგუფურ ეტაპს გადავლახავდით, რადგან ამ მომენტისთვის ისინი გაცილებით უკეთეს ფორმაში არიან. სამაგიეროდ, ვერ დავინახავდი იმ ხარვეზებს, რომლებიც დღეს სახეზეა და რომლებზეც მუშაობას ვაპირებთ. ასე რომ, აფრიკაში ძირითადი შემადგენლობით ჩასვლას ნამდვილად არ ვნანობ.

**- ბევრს მიაჩნია, რომ დროა თაობათა ცვლის პროცესი დაიწყოს და გზა ახალგაზრდებს გაუხსნათ.**

- ვერავინ იტყვის, რომ იტალიის ნაკრებში ახალგაზრდებს გზა ჩაკეტილი აქვთ. თუნდაც კონფედერაციათა თასი ავიღოთ, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი მყავდა ჩაყვანილი. ძალიან მომწონს ჯუზეპე როსი და მას მომავალში დიდ ნდობას გამოვუცხადებ. იმავეს ვიტყოდი დავიდე სანტონიზე, სიმონე პეპეზე, ან თუნდაც ფაბიო კვალიარელაზე. „სკუადრა აძურაში" ახალი სახეების მიწვევას არ ვერიდები, მაგრამ არც გამოცდილი კადრების უგულებელყოფა ივარგებს. ფაბიო კანავარო ყველაზე სტაჟიანი აძურელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გუნდისთვის ჯერ კიდევ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. ასე რომ, აქ ერთგვარი ბალანსია მოსაძებნი. ახალი სისხლი აუცილებელია, მაგრამ გამოცდილი მოთამაშეებიც სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ. ერთგვარი სინთეზია გასაკეთებელი.

**- შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ნაკრები იყო მარჩელო ლიპის დამოძღვრილ გუნდთა შორის ყველაზე სუსტი?**

- გუნდებზე რა მოგახსენოთ, უფრო სუსტი თამაშებიც მახსოვს, მაგრამ ჩემს ხელში იტალიის ნაკრებს ასე ცუდად არასდროს უასპარეზია. პირდაპირ გეტყვით, მეც არ მიგრძნია აქამდე თავი ასე ცუდად. მზად ვარ მივიღო კრიტიკა, თუნდაც ყველაზე მკაცრი, ოღონდ აუცილებლად კონსტრუქციული. დამიჯერეთ, ჩემზე მეტად არავის ეწყინა გუნდის ასეთი ფიასკო. ვაანალიზებ მომხდარს და დასკვნებიც გამომაქვს. დარწმუნებული ვარ, 2010 წლის მუნდიალზე სულ სხვა გუნდს იხილავთ. ახლა, მთავარია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შეხვედრებისთვის განვეწყოთ და მუნდიალის საგზური რაც შეიძლება მალე მოვიპოვოთ.

**- ბრაზილიასთან მატჩს დავუბრუნდეთ. ნუთუ, სელესაოსთან შედარებით, იტალია ასეთი სუსტია?**

- საერთოდ, ბრაზილიის ნაკრები ყველა ტურნირის უდავო ფავორიტია და ასე იქნება მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდი სელესაოს ბევრად ჩამოუვარდება. უბრალოდ, ამ კონკრეტული შეხვედრისთვის მზად არ აღმოვჩნდით და მარცხი ვიწვნიეთ. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთ შედეგზე გავლენა ჩემმა შეცდომებმაც იქონია. ბრაზილიელებთან თამაშისას, ცენტრის გაკონტროლება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩვენ კი აქცენტი ფლანგებზე გადავიტანეთ, რამაც მეტოქის წისქვილზე დაასხა წყალი. განვლილმა მატჩებმა დიდი ინფორმაცია მოგვცა და თითოეულ ნიუანსს დეტალურად გავაანალიზებთ.

**- ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ მთლიანად იტალიური ფეხბურთია მწვავე კრიზისში და ეს ეროვნულ გუნდსაც დაეტყო. სად არის გამოსავალი?**

- იტალიურ ფეხბურთში რომ უამრავი პრობლემაა, ამას წყალი არ გაუვა. ბუნებრივია, ეს ეროვნულ გუნდზეც აისახება, მაგრამ ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ არსებული რესურსიდან მაქსიმუმი ავიღოთ. თუნდაც, ამ კრიზისის პირობებში, ჩვენ შეგვიძლია საჩემპიონო გუნდის შექმნა და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. შესაძლოა, დღეს სერია A აღარ არის ძველებურად ძლევამოსილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „აძურამაც" პოზიციები უნდა დათმოს. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ეროვნული გუნდისთვის კადრების დეფიციტს არ განვიცდი. საბედნიეროდ, არჩევანი დიდი მაქვს და მთავარია, მათგან ოპტიმალური შემადგენლობა შევარჩიო.

**- ერთი წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგვიწევს ასპარეზობა. მუნდიალზე მოხვედრის შანსი თუ აქვთ დელ პიეროს და კასანოს?**

- ჯერ მუნდიალის საგზური უნდა მოვიპოვოთ და ამაზე, შემდეგ უფრო თამამად ვილაპარაკებთ. ნაკრების კარი არავისთვისაა დაკეტილი, მათ შორის არც თქვენ მიერ ნახსენები ფეხბურთელებისთვის. კონფედერაციათა თასმა ერთ რამეში კარგად დამარწმუნა. ტურნირზე ის ფეხბურთელები უნდა წაიყვანო, რომლებიც მოცემული მომენტისთვის უკეთეს ფორმაში იქნებიან. სწორედ ამ ნიშნით შევარჩიე შემადგენლობა ჩრდილოირლანდიელებთან სათამაშოდ და შეგირდებმა ბოლომდე გაამართლეს. კონფედერაციათა თასზე კი ვარსკვლავების გუნდი მყავდა, თუმცა ვერაფერს გავხდით. ეს ტურნირი ამ მხრივაც ჭკუის სასწავლებელია. იმ ფეხბურთელს უნდა მისცე თამაშის საშუალება, რომელიც კონკრეტული შეხვედრისთვის უკეთესად არის მომზადებული. გამომდინარე აქედან, დღეს იმაზე საუბარი, თუ ვის წავიყვან მუნდიალზე, უბრალოდ, აბსურდული იქნება.

**- ახალი ტაქტიკური სქემების გამოცდა გსურდათ, თუ მოახერხეთ ეს?**

- ნაწილობრივ მოვახერხე საქმეში მენახა ესა თუ ის მოდელი, თუმცა ამ მხრივ კიდევ უფრო ნაყოფიერად შეიძლებოდა ტურნირის გამოყენება. ძირითადად 4-3-2-1 ტაქტიკას ვიყენებდით, თუმცა ამან არ გაამართლა. მიუხედავად ამისა, ამ სქემაზე უარს არ ვიტყვი და საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად გამოვიყენებ. კიდევ ერთი ვარიანტის გამოცდა მსურდა, მაგრამ არ დამცალდა. თუმცა, გული უფრო იმაზე მწყდება, რომ რამდენიმე ფეხბურთელს მოედანზე გასვლის საშუალება არ მიეცა. ძალიან კარგი იქნებოდა ეგვიპტისთვის რომ მოგვეგო და ბოლო მატჩი ფიქციად გვექცია. ასეთ შემთხვევაში, ექსპერიმენტების ჩატარებას წინ ალარაფერი დაუდგებოდა.



ფაბიო კანავარო და ჯიჯი ბუფონი

სკუადრა აძურა

# ორმხრივი იერიშები

## პრესა და ვეტერანები ერთმანეთს მისდგნენ

კონფედერაციათა თასზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, „სკუადრა აძურას" იტალიურმა პრესამ კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა თავს. ჟურნალისტებისგან მეტწილად ასაკოვან ფეხბურთელებს მოხვდათ, რომლებმაც ტურნირის განმავლობაში მართლაც ბევრი შეცდომა დაუშვეს. აკრიტიკებენ **ფაბიო კანავაროსაც** და ეს არც არის გასაკვირი. კაპიტანი სამხრეთ აფრიკის მინდვრებზე ერთობ არადამაჯერებელი გახლდათ, რაც შემდეგ მის თანაგუნდელებსაც გადაედოთ. გუშინ, ფაბიომ მასმედიასთან გასაუბრება გადაწყვიტა და შემდეგი განაცხადა:

*„კრიტიკას ყოველთვის მშვიდად ვიღებდი, მაგრამ ბოლო დროს მასმედია ყოველგვარ ზღვარს გადავიდა. ყველაფერი გამოცდილ ფეხბურთელებს დაჰბრალდათ და პირველ რიგში, მე. თუ ჩემშია პრობლემა, წავალ და ადგილს ახალგაზრდებს დავუთმობ, მაგრამ არა მგონია ამით ჩვენი ნაკრები გაძლიერდეს. თანაც, შემადგენლობას მარჩელო ლიპი აყენებს და თუ მას მიაჩნია, რომ გუნდისთვის სარგებლის მოტანა შემიძლია, უნდა მათამაშოს კიდეც. დამიჯერეთ, მხოლოდ იმისთვის არ ვარ ეროვნულ გუნდში, რომ სამი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაში წვლილი შევიტანე. დღეს აღარ გვყავს უწინდებურად ძლიერი ნაკრები და ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ დამნაშავე ფეხბურთელებში და მწვრთნელში არ უნდა ვეძებოთ. ფეხბურთში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და პრობლემას კომპლექსურად უნდა შევხედოთ. სტადიონები გასაახლებელია, ინფრასტრუქტურა გასაუმჯობესებელი და სწორედ ეს მოიტანს შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებას და შესაბამისად, „აძურას" ძველ სიმაღლეზე დაბრუნებას".*

თავისი მოსაზრებები **ჯანლუიჯი ბუფონმაც** დააფიქსირა და მანაც კრიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა: *„ჩემთვის მიუღებელია, როდესაც ვეტერან ფეხბურთელებს ასე მკაცრად აკრიტიკებენ. მხოლოდ ახალგაზრდებით ვერ გავალთ ფონს და მიკვირს, რატომ ამტკიცებენ საპირისპიროს იტალიელი ჟურნალისტები. საჭიროა სინთეზი გამოცდილ და ახალგაზრდა მოთამაშეებს შორის. თანაც, ვერ ვხედავ ბევრ ისეთ დამწყებ ფეხბურთელს, რომელსაც ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილს ანდობ. რაც შეეხება სამხრეთაფრიკულ ფიასკოს, ეს მოსალოდნელი იყო, რადგან მთლიანად იტალიური ფეხბურთია კრიზისში. სერია A ბოლო წლებში დასუსტდა და ამან უკვე ეროვნულ ნაკრებზეც პოვა ასახვა. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს გვიჭირს მსოფლიო ფეხბურთის გრანდებისთვის კონკურენციის გაწევა. დიდი იმედი მაქვს, რომ კონფედერაციათა თასზე ასპარეზობა დადებითად წაგვადგება, ხარვეზებს აღმოვფხვრით და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთესად მოვემზადებით".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# მერიის თასით, ფულადი პრიზით

გუშინ დამთავრდა თბილისის მერიის თასის გათამაშება, რომელშიც 9 ქვეყნის 208 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის - 24 დიდოსტატი და 26 საერთაშორისო ოსტატი.

შესანიშნავად იასპარეზა ბაადურ ჯობავამ, რომელმაც ბოლო ტურში დავით არუთინიანს სძლია, 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და დაუმარცხებლად პირველი ადგილი დაიკავა...

ბაადური გალში დაიბადა (1983 წლის 26 ნოემბერს). ჭადრაკის თამაში 5 წლისას მამამ - ალექსანდრემ ასწავლა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენთან დატრიალებული მოვლენებისას მისი ოჯახი ხარკოვში გადასახლდა, სადაც 7 წელიწადი ცხოვრობდა და აქტიურად ჩაება საჭადრაკო საქმიანობაში. თბილისში დაბრუნების შემდეგ (1999 წ.) თანატოლებს შორის რამდენჯერმე საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. 2000 წელს თვრამეტწლიანთა მსოფლიოს პირველობაზე მეორე-მესამე ადგილები გაინაწილა. იმავე წელს საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე იასპარეზა და მე-6 ადგილი დაიკავა. საქართველოს ორგზის (2001, 2004 წ.წ.) ჩემპიონია. 2004 წლის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედალი დაიმსახურა - IV დაფაზე 10-დან 9 ქულით პირველი ადგილის დაკავებისა და ტურნირზე საუკეთესო შედეგისთვის.

ბაადურ ჯობავა მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 2003 წელს დუბაისა და 2006 წელს მოსკოვში „აეროფლოტის" მთავარი პრიზების მოპოვება. განსაკუთრებით წარმატებული მაინც 2009 წელი გამოდგა: წლეულს მან ქალაქ ბუდვაში (ჩერნოგორია) ევროპის ჩემპიონატზე **ევგენი ტომაშევსკისა** და **ვლადიმირ მალახოვის** შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა...

ახლა ისევ მერიის თასის გათამაშებას დავუბრუნდეთ: ბოლო ტურში ლიდერთა ჯგუფიდან მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა ყაიმით: **ნანა ძაგნიძე** და **მერაბ გაგუნაშვილი**, **გიორგი მარგველაშვილი** და **არმან პაშიკიანი** დაზავდნენ. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: **მიხეილ ქობალია-გიორგი ბალათუროვი 1:0, ივერი ჭილლაძე-მიხეილ მჭედლიშვილი 0:1, კონსტანტინე შანავა-ლევან ფანცულაია 0:1, თორნიკე სანიკიძე-ხვიჩა სუპატაშვილი 1:0, ვალერი ნევეროვი-დავით პეტროსიანი 1:0, ვალერიან გაფრინდაშვილი-დავით ჯოჯუა 0:1, ლელა ჯავახიშვილი-ალეკო მანაშვილი 1:0.**

ამრიგად, 7-7 ქულით მეორე-მეცხრე ადგილები შესაბამისად, გაგუნაშვილმა, მჭედლიშვილმა, ქობალიამ, სანიკიძემ, ძაგნიძემ, ჯავახაძემ, ნევეროვმა, ფანცულაიამ და ჯოჯუამ გაინაწილეს.

ქალებში უძლიერესი იყო ძაგნიძე. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებზე ჯავახიშვილი, სოფიკო გურამიშვილი და ინგა ჭარხალაშვილი გავიდნენ.

**მამუკა ქაცარავა**, თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი: - ამ შესანიშნავი ტურნირით ქალაქის მერიამ ქართული ჭადრაკის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის სავიზიტო ბარათის დარი სპორტი. ყველაფერი შესანიშნავად ჩატარდა. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს წარმატებას ვულოცავ. ეს მასშტაბური ტურნირი სოლიდური საპრიზო ფონდით, ვფიქრობ, ჩვენს მოჭადრაკეებს მეტ სტიმულს მისცემს, უკეთ მოემზადონ მომავალი შეჯიბრებებისთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ბრძენთა თამაში ჩვენთან გასული საუკუნის 60-80-იანი წლების სიმაღლეზე ავიყვანოთ.

ვიცით, რომ მოჭადრაკეებს მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ და ასეც იქნება. მერიის თასის გათამაშებას გაისადაც საერთაშორისო სტატუსი ექნება და საპრიზო ფონდიც გაიზრდება. ვეცდებით, მსოფლიო დონის ტურნირებს გავუტოლდეთ, რათა უმაღლესი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეები მოვიზიდოთ.



მარცხნიდან: მამუკა ქაცარავა, დავით ხოსრუაშვილი, ბაადურ ჯობავა, გია გიორგაძე

კიდევ ერთხელ ვულოცავ ჭადრაკის მოყვარულებს ამ მნიშვნელოვანი ტურნირის წარმატებით ჩატარებას. ვიმედოვნებ, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის ამ სახეობის აღორძინება-განვითარებას.

**გია გიორგაძე**, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი: - უპირველესად, დიდი მადლობა თბილისის მერიას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ისეთი მასშტაბური შეჯიბრების გამართვა, რომელიც გვერდით დაუდგა დუბაისა და სტამბოლის ტრადიციულ ტურნირებს სოლიდური საპრიზო ფონდით. მიხარია, რომ ქართველმა მოჭადრაკეებმა საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა შეძლეს. ბაადურ ჯობავას ბრწყინვალე შედეგი ცალკე საუბრის თემაა. თავიდან იგი არც გეგმავდა ტურნირში მონაწილეობას, მხოლოდ ჩვენი რჩევით ჩაება შეჯიბრებაში და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს ვაჟთა ნაკრებს სერიოზული ლიდერი ჰყავს. ვულოცავ მერიის თასის მოპოვებას. 10 ათასი ლარის მოგებაც არ არის ურიგო. თანაც მან რეიტინგი მოიმატა და, ფაქტობრივად, 2700-იანთა რიგებში შეაბიჯებს. ბაადური სერიოზული დიდოსტატია, რომელსაც ჩვენი ფედერაცია ყოველმხრივ დაეხმარება, რათა ოსტატობა აიმაღლოს და საჭადრაკო ელიტაში დაიმკვიდროს ადგილი. რაც შეეხება ნანა ძაგნიძის კარგ თამაშს, ჩვენთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. მან ვაჟებს სერიოზული კონკურენცია გაუწია, განსაკუთრებით ბოლო ტურებში. ღირსეულად დაიკავა ქალებში პირველი ადგილი. საგულისხმოა, რომ 7 ქულით მამაკაცებთან პაექრობაში II-IX ადგილები გაინაწილა. ნანამ დაიბრუნა ის დამაჯერებლობა, რომელიც მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშებისას აკლდა.

აქვე მინდა აღვნიშნო თექვსმეტწლიანთა შორის საქართველოს ჩემპიონის ზურაბ ჯავახაძის წარმატება. საქართველოს ნაკრებს ღირსეული ცვლა ეზრდება. ოღონდ ახალგაზრდებს მეტი დახმარება სჭირდებათ, რათა მსოფლიოს და ევროპის პირველობებისთვის სერიოზულად მოემზადონ და შეჯიბრებებზე ღირსეულად წარმოაჩინონ ჩვენი ქვეყანა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი



მარცხნიდან: იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, მარკო იელეზი, მარკო ელაჩა, ვლადიმირ მარკოვიჩი

# ჩვენ და ჩვენი იუგოსლავები

## ქართული წყალბურთის აღორძინება ნახტომით იწყება

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, საწყლოსნო სახეობათა ფედერაციასა და წყალბურთის ეროვნულ ასოციაციას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩვენს ქვეყანაში წყალბურთის აღორძინება და უწინდელი ტრადიციების აღდგენა. საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს ნაკრებმა წლეულს მალტის საკვალიფიკაციო ტურნირში ევროპის B ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის საგზური მოიპოვა. მთავარი მიზანი 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაა. ლიცენზიის დაბევება საქართველოს ახალგაზრდულ გამოუცდელ გუნდს ძალიან გაუჭირდება. ამიტომ ნაკრების გასაძლიერებლად ექსიუგოსლავი წყალბურთელების ნატურალიზება გადაწყდა. წლეულს მარტში ხუთმა სპორტსმენმა გამოთქვა სურვილი, საქართველოს მოქალაქეობა მიეღო. გუშინ ისინი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მიიწვიეს და საქართველოს პასპორტები გადასცეს.

**იოვან პოპოვიჩი** (დაიბადა 1974 წ.) ჩერნოგორიელია. ამჟამად კოტორის „კატარში" თამაშობს და წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. წლების განმავლობაში იგი იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა; იტალიის, ესპანეთისა და საბერძნეთის კლუბების ღირსებას იცავდა.

**მარკო კორდიჩი** (1982 წ.) პოპოვიჩის თანამემამულე და თანაგუნდელია. „კატარის" შემადგენლობაში წლეულს მასაც „ბრინჯაო" ერგო. იყო ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

**ვლადიმირ მარკოვიჩი** (1975 წ.) სერბია. ბელგრადში დაიბადა და გაიზარდა. ორჯერ იუგოსლავიის ჩემპიონატი მოიგო, ექვსჯერ ქვეყნის თასი დაისაკუთრა, 1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იუგოსლავიის ნაკრებთან ერთად მე-4 ადგილი დაიკავა. ამჟამად ბუქარესტის „დინამოში" თამაშობს და რუმინეთის წლევანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორია.

**მარკო იელეზი** (1980 წ.) და **მარკო ელაჩა** (1982 წ.) ხორვატები გახლავთ. თამაშობდნენ თავიანთი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში. წლეულს „ჰერცეგნოვის" შემადგენლობაში ჩემპიონობა მოიპოვეს.

**გია ნაცვლიშვილი**, სეოკის პრეზიდენტი: - ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირმა დაგვარწმუნა, რომ ევროპის ბევრ ქვეყანასთან ტოლსწორად შეგვიძლია თამაში, თუმცა ამ ეტაპზე წინსვლა უცხოელი სპორტსმენების დაუხმარებლად გაგვიჭირდება, ამიტომაც გადავწყვიტეთ ექსიუგოსლავი წყალბურთელების ნატურალიზება. მათი დახმარებით ჩვენმა ბიჭებმა გამოცდილება უნდა შეიძინონ და ოსტატობა აიმაღლონ. უცხოელები, კანონით, 2010 წლის მარტამდე ვერ დაგვეხმარებიან, მაგრამ წლეულს ივლისის მიწურულს რომში საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის არჩევნებია და ვეცდებით, ახალ ხელმძღვანელობას ჩვენთვის სასურველი ნაბიჯები გადავადგმევინოთ. თუ ეს ვერ მოხერხდა და ევროპის B ჩემპიონატის ფინალში მხოლოდ საკუთარი ძალებით მოგვიხდა ფონს გასვლა, ამითაც არაფერი დაშავდება, რადგან ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ბრძოლა, ფაქტობრივად, 2010 წლიდან დაიწყება. ევროპის წყალბურთის სამყაროსთვის ახალი ქვეყანა ვართ, რადგან ამჟ[illegible]ნი წელიწადია, არსად გამოვჩენილვართ. დარწმუნებული ვარ, უცხოელი სპორტსმენების დახმარებით კარგ გუნდს ჩამოვაყალიბებთ. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დახმარება აღგვითქვა.

**ალექსანდრე ბითაძე**, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: — ექსიუგოსლავმა წყალბურთელებმა საქართველოს ნაკრებთან ერთად უკვე ორჯერ ივარჯიშეს. ოთხშაბათ დილით „ლაგუნა ვერეს" აუზში კიდევ ერთხელ მოსინჯავენ ძალებს, ორმხრივ თამაშშიც მიიღებენ მონაწილეობას.

წლეულს 22 აგვისტოს საქართველოს ნაკრები მარსელში გაემგზავრება და საფრანგეთის ნაკრებთან ერთად თორმეტდღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის, შემდეგ კი ლუგანოში (შვეიცარია) ევროპის B ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და წყალბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობას თანადგომისთვის მადლობა გადავუხადო.

**არჩილ გეგენავა**, წყალბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი: — ყველაფერს გავაკეთებთ ქართული წყალბურთის მშენებლობაში საკუთარი წვლილის შესატანად. უკვე გადაიდგა სასიკეთო ნაბიჯები. მჯერა, რომ ერთიანი ძალისხმევით სულ მალე მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწევთ.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ჩოგბურთი

# ლაზარე ფიცვილიამს დაემშვიდობა

საფრანგეთის ქალაქ პერიგოში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი $) წყვილთა თანრიგში მეოთხედფინალში ითამაშებს **სოფიო შაფათავასა** (273) და ფრანგი **კლერ ფურშტეინის** (236) მე-3 ნომრად განთესილი დუეტი. მათი მეტოქეები მასპინძლები არიან - **ადელინ გონსალესი** (687) და **ალის ლიმი** (934).

ირლანდიაში ფიცვილიამის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) პირველივე წრეში დამარცხდა **ლაზარე კუხალაშვილი** (837). მას მე-8 ნომრად განთესილმა ავსტრალიელმა **სადიკ კადირმა** (666) მოუგო - 6:3, 6:4. ლაზარე წყვილებში არ თამაშობდა. ასე რომ, იგი ფიცვილიამის ტურნირს დაემშვიდობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლაზარე კუხალაშვილი

თარიღი ხსოვნა

## რენა აბჟანდაძე



დაიბადა თბილისში 1940 წლის 24 ივნისს. იყო ჩოგბურთში აზიის ჩემპიონი (1968), სსრკ ჩემპიონატის ფინალისტი (1966), 7 წლის განმავლობაში შედიოდა სსრკ საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა ათეულში — ორჯერ მეოთხე ნომრად. როგორც მწვრთნელმა აღზარდა ირაკლი ლაბაძე, ეკა ბოკუჩავა ირინე გერაძე, ვიქტორ ხურდა და სხვები. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. გარდაიცვალა 1995 წელს. 1996 წლიდან ტარდება რენა აბჟანდაძის მემორიალური ტურნირი ახალგაზრდა ჩოგბურთელთა შორის.

მშვილდოსნობა

# უმცროსების დროც დადგა

30 ივლისს იტალიურ სარზანაში ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა ევროპის თასის გათამაშება იწყება, რომელშიც საქართველოდან 5 სპორტსმენი გამოვა და ხუთივე - ბიჭების ტურნირში. ახალგაზრდებში საქართველოს ღირსებას **ბექა შავერდაშვილი** და **გოგიტა კაკაბაძე** დაიცავენ, ჭაბუკებში - **თორნიკე რიყამაძე, ზურაბ ქურხაშვილი** და **ალექსანდრე აზნაურიძე**. ჩვენები იტალიაში 29 ივნისს გაფრინდებიან, გუნდებს **გია მაკიევი** უთავკაცებს. ვერ ვიტყვით, მან ქართულ მშვილდოსნობაში არსებული გენდერული ბალანსის აღდგენა გადაწყვიტა, თუ რატომ არ მიჰყავს იტალიაში გოგონები. მოგეხსენებათ, ჩვენში ქალთა მშვილდოსნობა შეუდარებლად მაღლა დგას ვაჟებისაზე და როცა პირობების გაუმჯობესებაზე მიდგება საქმე, სულ იმას ამბობენ, ჯერ ქალები და მერე - კაცებიო. ახლა საპირისპირო ვითარებაა და მაკიევის გუნდში არც ერთი გოგო არ არის.

თუმცა ფემინიზმი და გენდერული საკითხები იქით იყოს და თავად ამ ტურნირში მონაწილეობა ჩვენებისთვის ძიდად წინგადადგმული ნაბიჯია. არც ისე დიდი ხნის წინათ ამ ასაკის სპორტსმენები უცხოეთში თავისი ხარჯებით თუ წავიდოდნენ, თორემ დაფინანსებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაშინ არათუ ახალგაზრდებს, უფროსებში ვაჟთა ნაკრებსაც ვერ აფინანსებდნენ და თანხები ქალთა გუნდისთვისაც ძლივს იშოვებოდა. საბედნიეროდ, ფედერაციისა თუ სპორტის მმართველთა მონდომებით, ბოლო წლებში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა და უმცროსებიდან ვინმე თავს თუ გამოიჩენს, საზღვარგარეთ წასვლა უტოპია და ფუჭი ოცნება სულაც არ არის.

სარძანის ტურნირი ჩვენებისთვის წლეულს უკვე მეორეა და მწვრთნელებს შეგირდთა შერჩევის საშუალებაც მიეცათ. 12-16 მაისს მათ პოლონურ ლეგნიცაში ევროპის თასზე იასპარეზეს, სადაც მაკიევს ისევ მხოლოდ ვაჟთა გუნდი ჰყავდა და ძირითადად ეს შემადგენლობა, ოღონდ ჭაბუკებში რიყამაძის ნაცვლად **გიორგი ნიბლიაშვილმა** იასპარეზა, ახალგაზრდებში კი მხოლოდ კაკაბაძე გამოვიდა. მართალია, ხელშესახები წარმატებისთვის არც ერთს არ მიუღწევია, მაგრამ უცხოეთში ტურნირზე პირველად წასულ ბავშვს ბევრი არც მოეთხოვება. სხვა საქმეა, მომავალშიც თუ ასე წარუმატებლად გამოვლენ.

პოლონეთში პლეი ოფში ყველა ჩვენებური კი მოხვდა, მაგრამ პირველის წრის დაძლევა მხოლოდ ერთმა მოახერხა - ქურხაშვილმა მასპინძელი **ოსკარ ბერნარტი** 100:96 დაამარცხა. სამწუხაროდ, მერე თვითონაც წააგო, თუმცა ჩვენებურთა შორის საუკეთესო გახლდათ.

პირადი პირველობისგან განსხვავებით, ქართველმა ჭაბუკებმა გუნდურში საყურადღებო წარმატება მოიპოვეს. ტურნირში მათ მეათე ნომრად შეაბიჯეს და პლეი ოფის პირველ წრეში გერმანელებს დაუპირისპირდნენ. გერმანელებს ურიგო გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ ჩვენებმა 203:200 მოუგეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ, იქ კი იტალიელებთან 194:207 წააგეს.

იმედია, ჩვენი ბიჭები იტალიაში უკეთ იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი

შავი ზღვის თასი

# კონსტანცაში შავი ზღვის თასისთვის

საქართველოს მორაგბეთა ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები დღეს რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში მიემგზავრება შავი ზღვის თასის მეორე გათამაშებაში მონაწილეობისთვის.

შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი მთლიანად საქართველოს რაგბის კავშირის პროექტია, რომელიც FIRA AER-ის მხარდაჭერით იმართება. პირველ ტურნირს შარშან ივლისში ფოთმა უმასპინძლა საქართველოს, რუმინეთის, უკრაინისა და დასავლეთ საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით. გამარჯვება საქართველოს ძირითად ნაკრებს ხვდა წილად.

ტურნირის ფორმატის თანახმად, შეჯიბრებას მასპინძლობა მონაცვლეობით ყველა ქვეყანამ უნდა გაუწიოს. ამჯერად რუმინეთის რიგია. სამწუხაროდ, წლეულს ტურნირში მონაწილეობაზე უარი უკრაინამ თქვა. სამაგიეროდ, პირველად იასპარეზებენ შავი ზღვის თასზე რუსები. ორი გუნდით გამოვა რუმინეთის ნაკრები.

ჩვენმა ჩვიდმეტწლამდელებმა, რომელთაც **ბადრი ბოხუა** წვრთნის, ერთკვირიანი შეკრება ურეკში გაიარეს. ნაკრების ოცდაექვსკაციან სიაში ექვსი ქუთაისის „აიას“ აღზრდილია, ერთიც ფოთის „აიეტის“. დანარჩენი კი, თბილისის სხვადასხვა კლუბს წარმოადგენენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირის პარალელურად კონსტანცაში მსაჯთა საერთაშორისო სემინარი გაიმართება, სადაც მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ხუთი მსაჯი გაემგზავრება.

საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები:

**თორნიკე ჯიბლაძე, თამაზ მჭედლიძე, დავით ხიდეშელი** (ყველა უნივერსიტეტი), **გია ანაკიძე** (აიეტი), **ბექა არაბიძე, ბექა მამრიკიშვილი, ზურაბ ძნელაძე, გიორგი ლომთაძე, ლევან შვანგირაძე, გაგი ბაზაძე** (ყველა აია), **გიგა გაგოშვილი, ხვიჩა ბუჟიაშვილი, გიორგი თეთრაშვილი** (ყველა შევარდენი), **ლევან გოგოლაშვილი, ლაშა ლომიძე, მერაბ შარიქაძე** (ყველა აკადემია), **დურმიშხან ყუფარაძე, გიორგი ქოჩიაშვილი** (ორივე - ჯიქები), **სანდრო ქოიავა, ბექა კნიპაშვილი, ელგუჯა სურგულაძე, გოდერძი ჭინჭარაული** (ლელო), **ბახვა კობახიძე, როსტომ ლორთქიფანიძე** (ორივე ყოჩები), **გიორგი მისრიაშვილი** (არმაზი), **ზაზა ნავროზაშვილი** (ივერია).

**ბესიკ ჯანგავაძე**



ტრანსფერები

## მაჩხანელი ოშში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში სატრანსფერო ციებცხელება გრძელდება. რამდენიმე ქართველმა მორაგბემ გუნდი გამოიცვალა. **ირაკლი მაჩხანელმა,** რომელიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „აჟენი“ დატოვა და სავარაუდოდ კარიერას ამავე დივიზიონის „ოშში“ გააგრძელებს.

თავიანთი კლუბები დატოვეს **ირაკლი გიორგაძემ** (დაქსი) და **გიორგი კუთარაშვილმა** (ნარბონი). სად გააგრძელებენ ისინი კარიერას ჯერჯერობით უცნობია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საქართველოს ჩემპიონატი

**I ლიგა**

VII ტური: დევები (თბ) - ბაგრატი (ქუთ) 3:9, არმაზი (თბ) - დინამო ივერია (თბ) 82:3, აიეტი (ფოთი) - ხულიგანა (თბ) 20:36, არწივები (ოზ) - თიბისი (თბ) 10:40.

სატურნირო მდგომარეობა: 1. არმაზი - 12 ქულა, 2. ხულიგანა - 12, 3. ბაგრატი - 10, 4. დევები - 6, 5. თიბისი - 5, 6. აიეტი - 3, 7. დინ-ივერია - 2, 8. არწივები - 0

**ჭაბუკთა ჩემპიონატი**

A ლიგა: VII ტური: ყოჩები (თბ) - ბორჯომი (ბორ) 50:3, აკადემია (თბ) - არმაზი (თბ) 29:8, შევარდენი (თბ) - ხარები (რუს) 0:6.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ლელო - 14 ქულა, 2. აკადემია - 12, 3. ყოჩები - 9, 4. ივერია - 9, 5. ჯიქები - 6, 6. შევარდენი - 6, 7. არმაზი - 6, 8. ხარები - 4, 9. ბორჯომი - 2, 10. თელავი - 0.

**B ლიგა**

IX ტური: ხულიგანა (თბ) - მუტრუკი (თელ) 57:3, ჯიქები (თბ) - აკადემია (თბ) 15:12, ივერია (თბ) - რაინდები (თბ) 12:14, ლელო (თბ) - არმაზი (თბ) 16:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ჯიქები - 14 ქულა, 2. აკადემია - 14, 3. უნივერსიტეტი - 12, 4. ლელო - 10, 5. ხარები - 10, 6. არმაზი - 8, 7. ხულიგანა - 8, 8. შევარდენი - 7, 9. ყოჩები - 5, 10 რაინდები - 2, 11. მუტრუკები - 0, 12. ივერია -0.

კარატე

კახა ბასილია

# უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრების მასპინძლობა შეგვიძლია



აჯილდოებს ჰიტოში კასუია

არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში ოთხ დღეს გრძელდებოდა კარატე-დოში (WSKF-ის ვერსიით) საერთაშორისო ტურნირი — ევროპის თასი „თბილისი-2009“. პროგრამაში შედიოდა როგორც ორთაბრძოლები, ისე ტექნიკური სემინარები ინსტრუქტორებისა და მსაჯებისთვის მე-8 დანის მფლობელ **ჰიტოში კასუიას** ხელმძღვანელობით.

გულშემატკივართა ინტერესს, ცხადია, ტატამზე გამართული ორთაბრძოლები იწვევდა. ოთხი ქვეყნის 1200-მდე სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს ჯილდოებს სხვადასხვა ასაკში.

გაცნობებთ კუმიტესა და კატაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას უფროს ასაკში.

**კვარცხლბეკი**

**კუმიტე. 60 კგ.** 1. დავით ტყებუჩავა (საქართველო). 2. ნაგი რაჯაბლი (აზერბაიჯანი), 3. ლევან ნარინდოშვილი და აჩიკო თოფურია (ორივე — საქართველო).

**65 კგ.** 1. ირაკლი ტყებუჩავა, 2. სოლომონ საყვარელიძე, 3. გიორგი ელიზბარაშვილი (სამივე — საქართველო) და აიაზარ ალახვერდოვი (აზერბაიჯანი).

**70 კგ.** 1. ჰენრი ვეკუა (საქართველო), 2. ჯახიდ საფაროვი (აზერბაიჯანი), 3. გიორგი ელიზბარაშვილი (საქართველო) და ფიზული მახრამოლლი (აზერბაიჯანი).

**75 კგ.** 1. ლევან გორელაშვილი, 2. გიგა ნაცვლიშვილი, 3. ბექა ჯანჯალია (სამივე — საქართველო) და ათას ალახვერდიევი (აზერბაიჯანი).

**80 კგ.** 1. გიორგი მსხვილიძე, 2. გიორგი ლიპარტელიანი, 3. დავით მამნიაშვილი და დიმა თარბაია (ოთხივე — საქართველო).

**+80 კგ.** 1. დავით მამნიაშვილი (საქართველო), 2. ვაგენ ირიციანი (სომხეთი), 3. დავით დარჩიანი (საქართველო).

**კატა.** 1. გურამ ჯიჯელავა, 2. ედემ ბერიშვილი, 3. გიორგი ქისტაური (სამივე — საქართველო).

**ვეტერანები.** 40 კგ. 1. მერაბ თურქია (საქართველო), 2. ტარლან იუნუსოვი (აზერბაიჯანი), 3. ზვიად ზვიადაური და მალხაზ ჭუმბურიძე (ორივე — საქართველო).

**50 კგ.** 1. მამუკა ყურაშვილი, 2. ჯუმბერ აბესაძე, 3. ბაჩუკი სულამანიძე (სამივე — საქართველო).

**გუნდური კუმიტე. ვაჟები.** 1. საქართველო, 2. აზერბაიჯანი, 3. სომხეთი.

**გოგონები. კუმიტე. 60 კგ.** 1. დიანა დარჩიაშვილი, 2. თათია თურქია (ორივე-საქართველო).

**70 კგ.** 1. სვეტლანა ფრუიძე, 2. ხატია კაველიძე (ორივე — საქართველო).

— კარატეს მსოფლიოს ფედერაცია 87 ქვეყანას აერთიანებს, — გვითხრა ჰიტოში კასუიამ. — მიხარია, რომ საქართველოს მოწინავე პოზიციები უკავია. ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივარ თქვენს ქვეყანაში, რადგან ვიცი, რომ საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას ხელმძღვანელობით აქ ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება. ახლაც ასეა. ქართველი კარატისტების ოსტატობა წლიდან წლამდე იზრდება. აგვისტოში იაპონია მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. თქვენს სპორტსმენებს, დარწმუნებული ვარ, როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ კუმიტეში მედლების მოპოვების რეალური შანსი ექნებათ.

წლეულს ოქტომბერში გადაწყდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ლონდონის თამაშების პროგრამაში სპორტის რომელ სახეობებს შეიტანს. კარატე თავისი რეიტინგით დღეისთვის მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს. ამიტომ არ არის გამორიცხული, იგი 2012 წლის ოლიმპიადაზე ვიხილოთ.

**კახა ბასილია:** — თბილისში პირველად გაიმართა ამ დონის საერთაშორისო ტურნირი. მის ორგანიზებაში თანადგომისა და დახმარებისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის მერიას და სპორტის დეპარტამენტს. დღევანდელმა შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ უფრო მნიშვნელოვანი ასპარეზობის მასპინძლობა შეგვიძლია. გადავწყვიტეთ, განაცხადი შევიტანოთ 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის თბილისში ჩატარების თაობაზე. კონკურენტებად შვეიცარია და გერმანია გვეყოლება. აგვისტოში მსოფლიო კარატე-დოს ფედერაციის კონგრესი გაიმართება და სწორედ იქ გადაწყდება, უპირატესობას ვის მიანიჭებენ. იმედია, გავიმარჯვებთ.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჰოკეი

# უქიმერიონი ისევ პირველია

ბათუმში ჩატარდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი წრე ბალახის ჰოკეიში. სტანდარტული მოედნების სიმცირის გამო ბოლო წლებში ქართველი ჰოკეისტები ძირითადად მცირე მოედნებსა და დარბაზებში ატარებდნენ ტურნირებს, თუმცა ამჯერად ჩემპიონატი სპორტკომპლექს „მარინას“ ხელოვნურსაფრიან სტანდარტულ მოედანზე გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა და ტურნირის ფავორიტმა ქუთაისის „უქიმერიონმა“, რომელშიც საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვია წარმოდგენილი, ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა და პირველი წრის შემდეგ ოთხგუნდა ჩემპიონატში ერთპიროვნული ლიდერია. რიონისპირელებმა პირველად ჩოხატაურის „ბახმაროს“ სძლიეს 4:0, შემდეგ ლანჩხუთის „გურია“ დაამარცხეს 3:0 და ბოლოს ბათუმთანაც გაილაღეს-6:1. სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე „გურია“ იმყოფება. გურულებმა „ბათუმი“ დაძაბულ ბრძოლაში 2:1 დაამარცხეს, გურულ დერბიში კი „ჩოხატაურს“ 3:1 მოუგეს. მესამე-მეოთხე ადგილებს ბათუმი და ჩოხატაური ინაწილებენ, რომელთა ურთიერთშეხვედრა 0:0 დასრულდა. პირველი წრის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა საქართველოს ქალთა ნაკრები, რომელიც აგვისტოში შვეიცარიაში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატის „chellenge cup“-ის გათამაშებაში იასპარეზებს.

**დავით კოხრეიძე**

კალათბურთი

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# ცსკა-მდე ჯერ ადრეა

## მთავარი საზაფხულო მისია: საქართველოს სახელის დაცვა

საქართველოს ნაკრებს გასულ სეზონში ერთი კალათბურთელი აკლდა. ეს გახლდათ მანუჩარ მარკოიშვილი, რომელსაც კოჭის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული და ივლისის შემდეგ მკურნალობდა. ტრავმის მოშუშების შემდეგ მანუ "კიევს" შეუერთდა და გუნდთან ერთად წარმატებული სეზონი ჩაატარა. თუმცა, სეზონი მარკოიშვილისთვის უფრო ნაყოფიერი გამოდგა, ვიდრე "კიევისთვის".
თავად განსაჯეთ: ქართველმა უკანახაზელმა ჯერ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე მიიღო საუკეთესო ფორვარდისთვის განკუთვნილი პრიზი, მაისში კი უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მისმა "კიევმა" პირველობა მეოთხე ადგილზე დაასრულა. იმასაც შეგახსენებთ, რომ შუა სეზონში "კიევიდან" მაღალი კლასის შვიდი ლეგიონერი დაითხოვეს და გუნდში ერთადერთი უცხოელი მანუჩარი იყო.
ახლა თავად მანუს მოვუსმინოთ, რომელიც განვლილ სეზონზეც საინტერესოდ საუბრობს და საქართველოს ნაკრებზეც.




**- ჯერ სატრანსფერო სიახლეებზე გკითხავ. უკრაინიდან სლოვენიაში წახვედი...**

- ლიუბლიანაში სატრანსფერო საქმეებისთვის არ ჩავსულვარ, უბრალოდ მეგობრები მოვინახულე, ცოტა დავისვენე და შემდეგ საქართველოში დავბრუნდი.

**- დასასვენებლად რაჭაში წლეულსაც ახვალ?**

- აუცილებლად. ჩემს მშობლიურ კუთხეში ყოველ ზაფხულს ავდივარ და არც ეს წელიწადი იქნება გამონაკლისი.

**- მომავალ კლუბზე საუბარს თითქოს გვერდი ავუარეთ, თუმცა მკითხველს აინტერესებს, სადღეისოდ რა მდგომარეობაა?**

- ჯერ გაურკვევლობაში ვარ. ნამდვილად არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას. თავისუფალი აგენტი ვარ. სხვათა შორის, სატრანსფერო საქმიანობა წლეულს მეტად შეაფერხა მსოფლიო კრიზისმა. თითქმის ყველა გუნდში სახელფასო ფონდი მცირდება...

**- "კიევში" ბიუჯეტი იანვარში შეიკვეცა. გუნდის უფროსობა უკრაინაში დარჩენას ხომ არ გთავაზობდა?**

- გუნდში პრობლემები ზამთარში შეიქმნა. ხუთი თვეა ხელფასები არ დაურიგებიათ. სხვათა შორის, იმ კალათბურთელების ვალიც აქვთ, რომლებიც თებერვალში გაუშვეს. მომავალი სეზონისთვის უფროსობას ფინანსების მოზიდვა გაუჭირდება, ამიტომ გაურკვეველია, გაისად რა ძალის გუნდი იქნება "კიევი". წამოსვლის წინ კი მითხრეს, ბიუჯეტის საკითხს გავარკვევთ და კონტრაქტს ამის მერე შემოგთავაზებთო. თუმცა, ჯერ უცნობია, როდის გაარკვევენ სახელფასო საკითხებს...

**- შენთვის "კიევზე" გაცილებით ძლიერი კლუბი გვემეტება...**

- არის რაღაც შემოთავაზებები, მაგრამ არ ვჩქარობ. მათზე თანხმობის თქმა შეიძლება უკანგადადგმული ნაბიჯი გამოდგეს. ამიტომ ველი "კიევზე" უკეთეს ვარიანტს. რა გამომივა, მომავალი გვიჩვენებს.

**- ზამთარში, ცსკა-ს წინააღმდეგ კარგად ითამაშე და გამიჩნდა იმედი, რომ შენით არმიელთა თავკაცი ეტორე მესინა დაინტერესდებოდა, მაგრამ იგი "რეალში" გადავიდა...**

- ამ ეტაპზე ცსკა-ში გადასვლა გამორიცხულია. ეს მხოლოდ ოცნებაა, მით უმეტეს, რომ ამ გუნდის დაინტერესებაზე ოდნავი მინიშნებაც არ ყოფილა. ეტორე მესინას "ბენეტონიდან" ვიცნობ და დიდ პატივსაც ვცემ, მაგრამ ევროლიგის ფავორიტ გუნდში მასთან წასვლა გამორიცხულია.

**- ასე თავმდაბლად რატომ საუბრობ?**

- ცსკა-ში, "ბარსელონასა" და მათ მსგავს კლუბებში ისეთი კალათბურთელები სჭირდებათ, რომლებსაც გამოცდილებაც საკმარისი აქვთ და არაერთი ტიტულიც მოუგიათ. მე ჯერ ერთი-ორი გუნდური ჯილდო უნდა მოვიგო, 2-3 სეზონი კარგად ჩავატარო და მას შემდეგ შემეძლება თუნდაც ცსკა-ზე ფიქრი.

**- შენს ადგილას რომ ვიყო, განვლილი სეზონით კმაყოფილი ვიქნებოდი: უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდი...**

- სიმართლე რომ ვთქვა, ამ სეზონში ბევრი ვისწავლე, საკმარისი გამოცდილება მივიღე, რაც ინდივიდუალურ ჯილდოზე ღირებულია. სეზონის დასაწყისში სულ სხვა საფიქრალი მქონდა. უკრაინის ჩემპიონატი ნაოპერაციებმა დავიწყე, მანამდე თავისუფლად თამაშის საშუალებას კოჭის ტრავმა არ მაძლევდა. ჰოდა, მთავარი საზრუნავი ტრავმირებული ფეხის მოვლა იყო, ჩემპიონატის მოგებასა თუ ინდივიდუალურ ჯილდოებზე ნამდვილად არ ვფიქრობდი.

**- სეზონის მეორე ნახევარში ყოველ მატჩში 38-40 წუთს თამაშობდი. სწორედ მაშინ ვშიშობდი, ზედმეტმა დატვირთვამ უარყოფითი შედეგი არ გამოიღოს-მეთქი.**

- ლეგიონერები რომ წავიდნენ მზადების სისტემაც შეიცვალა. სხვა გზა არ იყო, თითქმის შეუცვლელად უნდა მეთამაშა, რადგან გუნდში მეტად გამოუცდელი ახალგაზრდები დარჩნენ, რომლებსაც მაღალ დონეზე ნათამაშები არ ჰქონდათ. მწვრთნელი საშა ობრადოვიჩი მეუბნებოდა, მირჩევნია, ბურთი შენ დაკარგო, ვიდრე სხვამო... ჰოდა, თამაშებზე დატვირთვამ რომ მოიმატა, შესაბამისად ვარჯიშების სირთულემაც იკლო, გადავედით ერთჯერად წვრთნაზე.

**- შუა სეზონში კოჭი დაიზიანე...**

- ეს ნაოპერაციები კოჭი არ ყოფილა. საბედნიეროდ, მცირე დასვენების შემდეგ ფეხი მწყობრში ჩადგა და ჩვეულად ვარჯიში განვაგრძე. სპორტში პატარ-პატარა ტრავმები ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ გასულ სეზონში, ზოგჯერ ცოტა მოთმენისა და მცირე ტკივილის მიუხედავად თამაშის საშუალება მაინც მქონდა.

**- უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესოდ აღიარება შენთვისაც მოულოდნელი იყო?**

- მოულოდნელი ნამდვილად იყო. მწვრთნელთა და სპორტულ მენეჯერთა გამოკითხვაში საუკეთესო კალათბურთელად აღიარებამ ძალიან გამახარა. რა თქმა უნდა, თასით ჩამოსვლა, ოჯახსაც უხარია, სასიამოვნოა ისიც, რომ შრომა დამიფასდა, მაგრამ ჩემთვის მთავარი არ არის გასულ სეზონში რა გავაკეთე. გაცილებით მნიშვნელოვანია, მომავალზე ზრუნვა. ამისთვის კი გაცილებით მეტი შრომაა საჭირო. წლევანდელმა სეზონმა დამანახვა, რომ წინსვლა შესაძლებელია. ჰოდა, სწორედ პროგრესზე უნდა ვიზრუნო.

**- მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე საუკეთესო ფორვარდად გაღიარეს. იმ ტურნირში "კიევზე" გაცილებით ძლიერი კლუბები მონაწილეობდნენ.**

- საუკეთესოების შერჩევისას ათასგვარ კრიტერიუმს იყენებენ. ზოგჯერ შეიძლება საოცრებები არ ჩაიდინო, მაგრამ მაინც №1 კალათბურთელად დაგასახელონ. ჩემი აზრით, მოსკოვის ტურნირზე საუკეთესო ფორვარდად აღიარება სტაბილური თამაშის შედეგი იყო. სამი მატჩი თანაბრად ჩავატარე, ჩავარდნები არ მქონია.

**- ლეგიონერების გაშვების შემდეგ "კიევის" უფროსობამ რა მიზანი დაგისახათ?**

- მიზნებზე საუბარი არ ყოფილა. ხელმძღვანელობის მთავარი საფიქრალი გუნდის შენარჩუნება იყო. საკითხავი გახდა, შეგროვდებოდა თუ არა სათამაშოდ საჭირო კალათბურთელების რაოდენობა. ამას დაერთო სამი მოთამაშის ტრავმა. თუმცა, მიზანი ჩვენ დავისახეთ – ყველასთან ბოლომდე უნდა გვებრძოლა.

**- ასეთ ვითარებაში, ყველასათვის მოულოდნელად რამდენიმე ძლიერი მეტოქე დაამარცხეთ. მათ შორის ევროთასზე სტუმრად "გალათასარაის" აჯობეთ...**

- იმ მატჩის მოგება, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური წნეხის არარსებობამ განაპირობა. როცა ლეგიონერები წაგვივიდნენ, მწვრთნელმა კარგად აგვიხსნა, რომ არავისზე ნაკლებები არ ვიყავით და შეგვეძლო ყველასთან თანაბრად თამაში. არავისთვის არ უნდა მიგვეცა ჩვენი აბუჩად აგდების უფლება. რაც შეეხება "გალათასარაისთან" დაპირისპირებას, თავიდან ვაგებდით, მაგრამ ყურები არ ჩამოვყარეთ, შეცდომები გამოვასწორეთ და თამაში შემოვატრიალეთ. იმ მატჩის მოგებამ თვითრწმენა კიდევ უფრო შეგვმატა.

**- სატრანსფერო საქმეების მოგვარებას ნაკრების შეკრებამდე ვარაუდობ?**

- წინასწარ არ მინდა ამ თემაზე კონკრეტულად საუბარი. სადღეისო მონახაზით, ვვარაუდობ, რომ ნაკრებს თავიდანვე შევუერთდები, ვნახოთ, საქმე როგორ აეწყობა...

**- შარშან ეროვნულმა გუნდმა შენ გარეშე ითამაშა. მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს პირველად შეხვდები. როგორ ემზადები?**

- ამჟამად ვისვენებ. რთული სეზონის შემდეგ ძალების აღდგენა მჭირდება. ნაკრებში სათამაშოდ ყოველთვის მონდომებული ვიყავი. როცა ეროვნული გუნდის მაისური გაცვია, დამატებითი სტიმულის ძიება საჭირო არ არის, თავს არ ვზოგავ, რათა გუნდს ბოლომდე გამოვადგე. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, იგორ კოკოშკოვი იქნება მწვრთნელი, თუ გორდონ ჰერბერტი - მაქვს ჩემი მისია: საქართველოს სახელი უნდა დავიცვა. ბევრი მელაპარაკა შარშანდელი მატჩების შემდეგ იგორ კოკოშკოვზე და ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელებს შორის საუკეთესოა. მას აქვს გამოცდილებაც და მონდომებაც. მონდომება არც ჩვენ გვაკლია, წინასწარი პროგნოზების კეთებას და მუქარას არ დავიწყებ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ აგვისტოში ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ტყვიის სროლა



ნინო სალუქვაძე

## მეზობელთ ქარისათ

შაბათს, ქართველი ტყვიის მსროლელები ერევანში მიემგზავრებიან შეკრებაზე. გუნდში უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც იქნებიან - სულ 8 სპორტსმენი. მათი ამოცანაც განსხვავებულია - ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძისა და ლევან ქადაგიძისთვის** ეს დასკვნითი შეკრებაა ევროპის ჩემპიონატის წინ. უფროსთა ნაწილი, უბრალოდ, ივარჯიშებს, ახალგაზრდები კი გაისად სინგაპურში გასამართი მსოფლიოს ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან.

ევროპის პირველობა 12-26 ივლისს ხორვატიულ ოსიეკში გაიმართება. ჩვენთვის საყურადღებო დისციპლინებიდან იქ მხოლოდ სპორტული პისტოლეტით ასპარეზობა ჩატარდება, რაკილა პნევმატურს გაზაფხულზე პრალამ უმასპინძლა. სპორტული პისტოლეტით სროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ ბევრი უცხოელი ჩუბინი ვერ გამოდის, საქართველოში კი თითქმის არც ვარჯიშობენ. სწორედ ამის შედეგია, რომ ხორვატიაში ჩვენგან მხოლოდ სალუქვაძე და ქადაგიძე ისვრიან. ერევნის შეკრებაც ძირითადად მათ მოსამზადებლადაა განკუთვნილი და რაკი იქ წასვლა ფინანსურად ძვირი არ ჯდება, სხვებიც გააყოლეს. მით უფრო, სომხებმა თანამედროვე სტანდარტების ბაზა გააკეთეს, რომლის მსგავსზეც ჩვენები ამდენი წელიწადი ამაოდ ოცნებობენ და დიდად არც მომავლისა ეიმედებათ. არადა, სომხებს არც ჩვენზე ტიტულოვანი მსროლელი მოეპოვებათ და ვერც წარმატებულთა სიმრავლით დაიკვეხნიან. ჩვენი არ იყოს, იმათაც ერთადერთი ცნობილი სპორტსმენი მოეპოვებათ - **ნორაირ ბახტამიანი,** მაგრამ ის სამივე ოლიმპიური მედლის მფლობელ და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ სალუქვაძეს ტიტულებით ვერც შეედრება. ამის მიუხედავად, იქაურებმა თანხები არ დაიშურეს და კეთილმოწყობილი, უახლესი და საკმაოდ ძვირად ღირებული აპარატურით აღჭურვილი თანამედროვე სტანდარტების ბაზა გააშენეს. თქვენ წარმოიდგინეთ, იქ ის უახლესი ელექტროფარებიც კი დაამონტაჟეს, რომელიც ჩვენთვის ნამდვილად წარმოუდგენელი ფუფუნებაა. არადა, უკვე ყველა მნიშვნელოვან ტურნირზე ფინალები ასეთ ფარებზე ტარდება, ის კი გამოსხივების და ელექტრონის ეფექტის გამო სპეციფიკური რამეა და შესაგუებლად დროა საჭირო. ჩვეულებრივი ფარებიდან ფინალში გახვიდე და პირდაპირ ასეთზე ისროლო, ცოტა ჭირს. შეკრების ადგილად ერევნის არჩევაც ძირითადად ამ ფარებმა განაპირობეს. თანაც, ერევანი აქვეა და იქ წასვლა, როგორც ვთქვით, იაფი ჯდება. ერევნელთა ეს შენაძენი იმის ნათელი მაგალითია, როგორ შეიძლება, ვისარგებლოთ მეზობელთა ქონებით - ჩვენ ვერ შევიძინეთ, მაგრამ სავარჯიშოდ იქ ჩასვლას ვახერხებთ. სალუქვაძემ პნევმატურში გამართული ევროპირველობის წინაც იქ გაიარა შეკრება და აკი პრალიდან ვერცხლის მედლითაც დაბრუნდა, რაც თავად სწორედ ერევნული შეკრებით ახსნა.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

*ინტერვიუ ალექსი დავითაშვილთან*

# რვაგზის ფალავანი

## ქართული ჭიდაობა უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის. მორჩა და გათავდა!

**ახმეტელ** ალექსი დავითაშვილს უპირველესად ქართულ ჭიდაობაში საქართველოს რვაგზის ფალავნობით იცნობენ. ეს ხომ ჩვენი ჭიდაობის რეკორდია. თუმცა, ძიუდოსა და სუმოში ევროპის სამგზის პრიზიორია. მას, როგორც მძიმეწონოსანს, ლომის წილი მიუძღვის 2002-2003 წლებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ევროპის გუნდურ პირველობაზე გამარჯვებაში.

მოჭიდავეთა ოჯახში აღზრდილმა ფალავანმა რვიდან სამი ფალავნობისთვის (აბსოლუტური პირველობისთვის) ჯილდოდ ავტომანქანები მიიღო. ერთხელ კი ბაჯაღლო ოქროს ორდენი. ავტომანქანები ქართული ჭიდაობის მაშინდელმა თავკაცმა, ლეგენდარულმა ლევან თედიაშვილმა დააწესა. ფალავნობის რეკორდსმენის ალექსი დავითაშვილის უფროსი ძმა დავითი ერთხელ (1983) იყო საქართველოს ფალავანი. უმცროსი ძმა, რომელიც დღეს უკვე ვეტერან მოჭიდავედ ითვლება, იძულებითი შესვენების შემდეგ კვლავ აგრძელებს საფალავნო კარიერას.

საქართველოს რვაგზის ფალავანს ქართულ ჭიდაობაში ალექსი დავითაშვილს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ:

**— ჭიდაობას რომ იწყებდი, რა მიზნები გამოძრავებდა?**

— ჩემი ძმები დათო და ნუკრი უკვე ვარჯიშობდნენ და მეც მიმიყვანეს სავარჯიშოდ ახმეტის საჭიდაო დარბაზში ტარიელ შათირიშვილთან. ცნობილ დავით ბაგაურს რომ შევხვდი, ერთი სული მქონდა, როდის ჩავიცვამდი მისებრ ახალ პროფესიულ საჭიდაო ტანსაცმელს. სურვილი გამიჩნდა, მეც ჩემპიონი გავმხდარიყავი.

**— ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდა ფალავნობის მოპოვება?**

— მეექვსედ რომ გავხდი ფალავანი, 2003 წელს. სიცხიანი ვიყავი, ფინალში გადასასვლელი შეხვედრა მქონდა ახმეტელ გიორგი ყიზილაშვილთან და ძალიან გამიჭირდა ამ შეხვედრის მოგება.

**— შეგეძლო თუ არა, მეტჯერაც ყოფილიყავი აბსოლუტური ფალავანი?**

— შემეძლო, მაგრამ 2001 წელს საერთოდ არ ჩატარდა ფალავნობა. ორი ფალავნობა კი იძულებითი შესვენების გამო გამიცდა.

**— პირველად 1996 წელს რომ გაიმარჯვე, რა ჩაიფიქრე?**

— ვიფიქრე, დავეწიო-მეთქი იმ სამეულს, ხუთგზის ფალავნები რომ იყვნენ, ზაქარია ბაკურაძე, ანზორ კიკნაძე და მალხაზ ბერუაშვილი.

მეექვსედ რომ გავიმარჯვე და რეკორდი მოვხსენი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამის მერე ვთქვი, შვიდჯერ ან ცხრაჯერ უნდა გავხდე ფალავანი-მეთქი.

**— ე.ი. ფალავნობას კიდევ იჭიდავებ?**

— აუცილებლად. ვნახოთ, როგორი იქნება ქომაგების დაკვეთა.

**— სულ 10 ფალავნობა გაქვს ნაჭიდავები, ორჯერ დამარცხდი. მაშინ რა მოხდა?**

— 1994 წელს ერთი ქულით ვუგებდი ვანო გამხიტაშვილს, როცა ბოლო წუთზე გამაფრთხილეს და წავაგე. ანუ, მაშინდელი წესებით ტექნიკურ ქულას აჯობა გაფრთხილებამ. ასე არ უნდა მომხდარიყო. 1997 წელს კი გიორგი წმინდაშვილს რომ ვხვდებოდი, ძირმაგარები მქონდა და მოძრაობა მიჭირდა. ამიტომაც წავაგე.

**— დღეს თუ არიან ისეთი მოჭიდავეები, შენი რეკორდი რომ მოხსნან?**

— ძალიან ძლიერი ბიჭები არიან. ზედიზედ მოგება კი ძნელი იქნება. ერთ წელიწადს თუ ერთი მოჭიდავე მოიგებს, მეორე წელიწადს — მეორე. ამიტომ რეკორდის მოხსნა ჯერჯერობით რთულია. ბევრი მაღალი დონის სპორტსმენია და კონკურენციაც ძლიერია.

**— რა თვისებები უნდა ჰქონდეს აბსოლუტურ ფალავანს?**

— დინჯი, გაწონასწორებული ადამიანი უნდა იყოს. არასოდეს უნდა უყუროს ზემოდან მოწინააღმდეგეს. უნდა ჰქონდეს მიზანი და თავი დადოს მის მისაღწევად. ეს ყველაფერი კი უფლის ნებაა.

**— ვინ იყო ყველაზე ძლიერი მეტოქე ფალავნობებზე?**

— ვერავის გამოვარჩევ. ბევრი ძლიერი მეტოქე მყავდა. თქვენც ხომ კარგად იცით ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ზოგიერთი ჩემპიონი იბრძოდა ქართულ ჭიდაობაში ფალავნობისთვის რომ მიეღწია, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს...

**— რვაგზის ფალავანი რა რჩევებს მისცემს ახალბედა მოჭიდავეს?**

— რაც მთავარია, ბევრი ივარჯიშეთ, გულში ჩაიდეთ მაღალი შედეგების მიღწევა და გაგიმართლებთ. შრომა ხომ არასდროს იკარგება.



**— ქართული ჭიდაობა რომ აღორძინდეს, რა უნდა გაკეთდეს?**

— ქართული ხომ ყველა საერთაშორისო ჭიდაობების ერთგვარი ფუძეა. პირველ რიგში ბევრი ჯგუფი და დარბაზია საჭირო. წარმატებული მოჭიდავეების სტიმულირება წესად უნდა იქცეს. ჩემპიონატები კი ღირსეულად უნდა ჩატარდეს. ეს არის მთავარი.

**— შენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდი ქართული ჭიდაობის წესებში?**

— არაფერსაც არ შევცვლიდი. ქართული ჭიდაობა ჭკვიანი ხალხის შექმნილია. ეს გამორჩეული ჭიდაობაა და სხვა სახეობებს არ უნდა დაემსგავსოს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ შეცვალონ სუმოს წესები იაპონიაში და ამერიკული ფეხბურთისა — აშშ-ში.

ქართული ჭიდაობა უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის. მორჩა და გათავდა!

**— მერვედ რომ იფალავნე, მესამე დღეს ვაჟი შეგეძინა. ალბათ პატარა ნუკრიც თავის დროზე მოირგებს ჩოხას!**

— მერვე ფალავნობა სწორედ ნუკრის (ნიკოლოზს) მივუძღვენი. ვეცდები, ჩემი შვილიც მოჭიდავე გახდეს. საქართველოში ორი ოჯახია, ბერუაშვილებისა და დავითაშვილების, ძმები საქართველოს ფალავნები რომ არიან ქართულ ჭიდაობაში. მამა-შვილი ფალავანი ჯერ არ ყოფილა. იქნებ ჩემმა შვილმა სცადოს, ვინ იცის...

**— 34 წლის სპორტსმენი ალექსი დავითაშვილი რას აირჩევს აქტიური სპორტის შემდეგ?**

— ჯერჯერობით თუ გამოვადგები სამბოსა და ძიუდოს ისევ შემიძლია დავიხარჯო. აქტიური სპორტის შემდეგ კი არ არის გამორიცხული ისევ სპორტში ვიმუშაო.

ესაუბრა
**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო

# დეპუტატის ძალისხმევა ძალისში

## ძალისში ქართულ ჭიდაობაში ზაურ პავლიაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი დაწესდა

## წეროვანში, მუხის ხეების ზოლში ტრიბუნებიანი საჭიდაო მოეწყობა

მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში ქართული ჭიდაობის სულისჩამდგმელი, სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი **მირიან პავლიაშვილის** მწვრთნელი **ზაურ პავლიაშვილი** (თუნგა) რამდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა. ახლახან კი საქართველოს პარლამენტის წევრმა, მცხეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვახტანგ მარტოლეკმა** ფრიად საშურ საქმეს დაუდო სათავე. ძალისში დააწესა ზაურ პავლიაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

აქვე ვიტყვით, რომ ვახტანგ მარტოლეკის მსგავსად თითოეული რაიონის დეპუტატი მშობლიური სპორტის სახეობისთვის რომ ასე გაისარჯოს, გერის ყოფაში ჩავარდნილ ქართულ ჭიდაობას ცოტა მაინც ეშველება.

ტურნირს ძალისში მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციის, მცხეთის საკრებულოს და ქართული ჭიდაობის ფედერაციის თავკაცებიც ესწრებოდნენ.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა,** ვიცე-პრეზიდენტებმა **ნოდარ ქენქაძემ** და **შოთა ჩეკურიშვილმა** ძალისის ტურნირის პრიზიორებს საჩუქრად მედლები ჩაუტანეს.

საუკეთესო მოჭიდავის პრიზი კი ქსოვრისელ **გიორგი მახარაშვილს** გადასცეს.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და დრამატული იყო სწორედ გიორგი მახარაშვილისა და ძალისელი **კობა ფოცხვერაშვილის** შერკინება.

ძალისშივე გადაწყდა, რომ ამ დღეებში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილის **გივი ამირხანაშვილის** მხარდაჭერით წეროვანში, მუხის ხეების ზოლში მოეწყობა ტრიბუნებიანი ღია საჭიდაო მოედანი და ჩატარდება პირველი ტურნირი.

**კვარცხლბეკი:**

**30 კგ.** 1. გივი ჩანადირი, 2. საბა კაპანაძე (ორივე გალავანი) 3. ვანო ხუბაშვილი (მჭადიჯვარი).

**33 კგ.** 1. გოგა სიმონიშვილი (მუხრანი), 2. მალხაზ ხუროშვილი (ძალისი), 3. ლაშა ცქიტიშვილი (ქსოვრისი).

**36 კგ.** 1. გურამ ჩეგიანი (მცხეთა), 2. ჯიმი სოლაშვილი (მჭადიჯვარი), 3. თორნიკე დოლიშვილი (ახალგორი).

**40 კგ.** 1. გიორგი ჯახაშვილი (ძალისი), 2. გიორგი ინაშვილი (გალავანი), 3. გიგა ბედოშვილი (ძალისი).

**44 კგ.** 1. პაპუნა პაპუჩელაშვილი (გალავანი), 2. ვასილ ჯარმელიშვილი (ახალგორი), 3. სოსო ჭალელიშვილი (მჭადიჯვარი).

**48 კგ.** 1. ლაშა ჩადუნელი (გალავანი), 2. ლევან ხოსროაშვილი (მჭადიჯვარი), 3. ზურაბ თათარაშვილი (წილკანი).

**52 კგ.** 1. გიორგი ავანაშვილი, 2. მერაბ ზარიაშვილი (ორივე მუხრანი), 3. გიორგი ხოსროაშვილი (მჭადიჯვარი).

**56 კგ.** 1. ბექა ბექაური (მუხრანი), 2. ვანო როსტიაშვილი (ძეგვი), 3. გიორგი კასაბური (ქსოვრისი).

**60 კგ.** 1. გიორგი ნაგლაძე (გალავანი), 2. ჯონი გვიანიშვილი (წილკანი), 3. მირიან შალიკაშვილი (ძალისი).

**65 კგ.** 1. ბაკურ ჩილინდრიშვილი (წილკანი), 2. ამირან ილურიძე (ახალგორი), 3. ლექსო ჩილინდრიშვილი (წილკანი).

**აბსოლუტური:** 1. ბერდია აბაშვილი (ძალისი), 2.კობა ფოცხვერაშვილი (ძალისი), 3.გიორგი მახარაშვილი (ქსოვრისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# სამურგაშევის დრამა

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რუსი ოლიმპიური, ორ-ორგზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ვარტარეს სამურგაშევი** უმძიმესი ტრავმებით კრასნოდარის ერთ-ერთი საავადმყოფოს რეანიმაციაშია და ექიმები გადაჭრით ჯერაც ვერ ამბობენ, როგორ იქნება მისი მდგომარეობა.

სამურგაშევი რუსეთის ჩემპიონატზე მძიმედ დაშავდა, როცა ორ შეხვედრაში იმარჯვა და მესამესაც, პრაქტიკულად, იგებდა. როსტოველმა სპორტსმენმა ხალიჩიდან აყვანილი მეტოქე მოუხერხებლად გადააგდო და თავისთვის საბედისწეროდაც - ყბის ორმაგი მოტეხილობით მაშინვე რეანიმაციაში გადაიყვანეს. როგორც როსტოველი მწვრთნელები ამბობენ, ასეთი ტრავმა ჭიდაობაში ძალიან იშვიათია. შესაძლოა, მას გერმანიაშიც მოუწიოს საოპერაციოდ გადაყვანა, სადაც ამ კვირის ბოლოს საჭიდაოდ მიდიოდა - დორტმუნდში „გერმანიის დიდ პრიზზე“ უნდა გამოსულიყო.

სამურგაშევი პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავეა, თუმცა მისი სახელი არაერთ სკანდალურ შეხვედრასთან და ბინძურ გარიგებასთან ასოცირდება. როსტოველი სომეხი საკმაოდ გავლენიანი და ყოვლის შემძლე მაფიოზური კლანის წარმომადგენელია. მისი უფროსი ძმებიც ჭიდაობდნენ, მაგრამ დიდ წარმატებებს ვერ მიაღწიეს. სამაგიეროდ, მერე ნავთობის ბიზნესში გადაინაცვლეს, დიდ ფულთან ერთად დიდი გავლენაც მოიპოვეს და უმცროსი ძმის წარმატებული კარიერისთვის ყველაფერი გააკეთეს. ვერ ვიტყვით, რომ მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე ორ-ორჯერ მოპოვებული ოქროს მედლები ან ათენის ოლიმპიადის ბრინჯაო მხოლოდ ძმების ფულების დამსახურებაა, მაგრამ სიდნეის ოლიმპიადის ოქრო კი ნამდვილად მათი მონაპოვარია.

მაშინ მათი ხრიკები საკუთარ თავზეც ვიწვნიეთ და ასეთი კატეგორიულობის უფლებასაც ამიტომ ვაძლევთ თავს - ნახევარფინალში სამურგაშევმა მეტისმეტად მიუღებელი უხეში მეთოდებით **აკაკი ჩაჩუა** დაამარცხა და ისე გავიდა ფინალში. ვინც ის შეხვედრა ნახა, დამეთანხმება, რომ ეს ჭიდაობაზე მეტად უფრო სკეტჩი იყო, მაგრამ მსაჯები „დაბრმავდნენ“. მათი მიკერძოება იმდენად აშკარა იყო, უსამართლობა თვით საერთაშორისო ფედერაციის (FILA) მაღალჩინოსნებმაც ვერ დამალეს, ხოლო საჭიდაო სამყარომ ულვთოდ განწირული და მართლაც შესანიშნავ ფორმაში მყოფი ჩაჩუა უყოყმანოდ აღიარა ოლიმპიადის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ. FILA-ს ბევრი დიდმოხელე მაშინ პირადად მივიდა ჩაჩუასთან და ანუგეშა... კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ის თვითონაც ძლიერი მოჭიდავეა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, შედარებით დაბალი რანგის ტურნირებზე ძმებმა მსაჯებს შედგენილი ოქმი დაახევინეს და მათთვის მისაღები ვარიანტით შეაცვლევინეს. ამიტომ ასოცირდებოდა სამურგაშევის სახელი უსამართლობასთან.

სამურგაშევი თავდაპირველად 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა და ჩაჩუასთან მაშინ არკვევდა ურთიერთობას. სამართლიან თუ უსამართლო ბრძოლაშიც არაერთხელ გაამწარა ჩვენებური, მერე კი, როცა წონითი კატეგორიები შეიცვალა, 74-ში გადმობარგდა და აქ კი ჯერ **ბადრი ხასაიას,** მერე კი **მანუჩარ კვირკველიას** კონკურენტი გახდა. მართალია, შიგადაშიგ აქაც გვიმარცხებდა ფალავნებს, მაგრამ ჩვენებურთაგან უფრო მეტი და უფრო მწარე ნაგებები ახსოვს - 2002 წელს ფინურ სეინიოოკში გამართულ ჩემპიონატში ხასაიამ მოუგო, ამ ოლიმპიურ ციკლში კი მისი ცოდვა კვირკველიამ დაიდო. მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯერ რომის სალიცენზიო ტურნირში დაჯაბნა იგი - მართალია, დამატებით დროში, მაგრამ ერთი პერიოდი წმინდად მოუგო, მერე კი თვითონ ოლიმპიადაზეც მოუგო.

მაგრამ ახლა, როცა სამურგაშევი ასეთ გასაჭირშია, ძველი წყენა გვერდზე გადავდოთ და გამოჯანმრთელება ვუსურვოთ.

**ირაკლი თავაძე**

*ჩვენი მეტოქეები*

# კოლუაშვილმა რუსები შეაშფოთა

როგორც გითხარით, სამურგაშევი რუსეთის პირველობაზე დაშავდა, რომელიც ამ უქმეებზე კრასნოდარში გაიმართა. წესისამებრ, ეს ტურნირი მათთვის მსოფლიო პირველობისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა. იდეაში ჩემპიონატი ახლაც ამ დატვირთვისა იყო, მაგრამ იქაური ნაკრების ქართველი თავკაცი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **გოგი კოლუაშვილი** ჯერჯერობით კანდიდატებს ვერ გამოავლენდა, რადგან ტიტულოვან ფალავანთა მთელი არმია აკლდა. უპირველესად დავასახელბთ ოლიმპიურ ჩეპიონებს - **ისლამბეკ ალბიევი** (60), **ასლანბეკ ხუშტოვი** (96) და **ხასან ბაროევი** (120).

არც ევროპის ჩემპიონი ქართველი **ამბაკო ვაჩაძე** (66) ჭიდაობდა და მის არყოფნაში ყველა ივან პოდდუბნის მემორიალის ორგზის ჩემპიონის, როსტოველ **სეირან სიმონიანის** გამარჯვებას ელოდა. საბოლოოდ ის მესამეზე გავიდა, ჩემპიონი კი ახალგაზრდა **ადამ კურაკი** გახდა. ხუშტოვის არყოფნაში 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში აბსოლუტურად ყველა ტიტულის მფლობელმა **ალექსეი მიშინმა** გაიმარჯვა, რომელიც მწვრთელებმა ტურნირიდან გაათავისუფლეს, მაგრამ თვითონ ისურვა ჭიდაობა და ამ წონაში უკვე მეორედ გახდა რუსეთის ჩემპიონი.

სამაგიეროდ, მიშინის გადაბარგებამ (დროებით და საერთოდ, ამაზე რუსები არაფერს ამბობენ) ხელ-ფეხი გაუხსნა მის მუდმივ ოპონენტს 84-ში ოლეგ შოკალოვს, რომელმაც შანსი გამოიყენა და გაიმარჯვა. 55-ში დამაჯერებლად იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნაზირ მანკიევმა,** 60-ში - მსოფლიოს პრიზიორმა **ვიაჩესლავ ჯასტემ,** 74-ში - ახალგაზრდა **ალექსეი ჩეხირკინმა.** დაბოლოს, მძიმე წონა, სადაც ლუზა მოხეტიალე **ანტონ ბოტევმა** ჩაუშვა...

2006 წელს მან ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებში რუსეთის სახელით ვერცხლი მოიპოვა, მეორე წელს კი აზერბაიჯანში გადაბარგდა და იმათი დროშით სიდნეის ოლიმპიადაზეც წარდგა, მაგრამ - უშედეგოდ. ახლა ბოტევი სამშობლოს დაუბრუნდა და ჩემპიონიც გახდა, თუმცა რუსი ჟურნალისტები აზერბაიჯანში გადასვლისთვის ცოტა ალმაცერად უყურებენ.

**ირაკლი თავაძე**

# სელტიქსი რონდოსა და ალენს თმობს



რეი ალენი

ამ ზაფხულს "ბოსტონ სელტიქსსა" და "დეტროიტ პისტონზს" შორის შეიძლება გრანდიოზული გაცვლა განხორციელდეს, რომელშიც პირველი ხარისხის ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას. Yahoo! Sports-ი NBA-ის შიდა წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ "ბოსტონი" მზად არის დათმოს 2007-08 წლების სეზონის ორი ჩემპიონი - **რაჟონ რონდო** და **რეი ალენი**, სანაცვლოდ კი "დეტროიტისგან" **რიჩარდ ჰემილტონს, ტაიშონ პრინსსა** და **როდნი სტაკს** ითხოვს.

"ყველა ვარსკვლავის მატჩის" ექვსგზის მონაწილის რეი ალენის გვარი უკვე ფიგურირებდა სხვადასხვა სატრანსფერო ჭორებში, რაც იმას ნიშნავს, რომ "სელტიქსი" არ აპირებს მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას. მომდევნო სეზონი ბოლო იქნება 34 წლის კალათბურთელისთვის "სელტიქსის" შემადგენლობაში. ალენი მომავალ წელს 20 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

"დეტროიტ პისტონზი" **ალენ აივერსონთან** გამოთხოვებას აპირებს და შესაბამისად, სახელფასო ბიუჯეტში რეი ალენის შესაძენად საკმარისი თანხა გამოუთავისუფლდება. ბოლო რეგულარულში ვეტერანი საშუალოდ 18.2 ქულასა და 3.5 მოხსნას აგროვებდა.

# პაუ გასოლი ევრობასკეტზე მიდის

"ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და ესპანეთის ნაკრების ცენტრი **პაუ გასოლი** მზად არის სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ. თუმცა, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, NBA-ის წლევანდელ ჩემპიონს კლუბში სამედიცინო შემოწმების გავლა და "ლეიკერსის" ხელმძღვანელობასთან გასაუბრება სურს.

*"ამ სეზონის დასრულების შემდეგ, შარშანდელთან შედარებით ფიზიკურად თავს უკეთ ვგრძნობ, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია,* - განაცხადა გასოლმა. - *ჩემდა გასაკვირად, "ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ იოლად დამრთო ნება ნაკრებში თამაშსა და პოლონეთში ევრობასკეტზე გამგზავრებაზე. ევროპის ჩემპიონატის ოქრო ჩემი მთავარი მიზანია და წელს მისი ასრულების კარგი შანსი გვაქვს".*

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია (2006 წელი). ამ გუნდმა ორი წლის წინ, ევროპის პირველობაზე ფინალი რუსეთის ნაკრებთან წააგო, 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადაზე კი ამერიკას დაუთმო ოქროს მედალი.



# ყველა ევროლიგელი

ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე მომავალ სეზონში მთავარი ევროპული საკლუბო ტურნირის ყველა მონაწილის სია გამოქვეყნდა. ჯგუფური ტურნირის 24 მონაწილიდან ჯერ 22 გუნდია ცნობილი. დანარჩენი ორი საგზურის მფლობელი საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ გაირკვევა, რომელშიც მონაწილეობას რვა გუნდი მიიღებს. ისინი ოლიმპიური სისტემით ითამაშებენ და ჯგუფური ტურნირის 23-ე და 24-ე გუნდებს გამოავლენენ.

ევროლიგის მონაწილეთა სია

**ძირითადი ტურნირი:** ბარსელონა, ტაუგრესი, რეალი, უნიკახა (ყველა - ესპანეთი); მონტეპასკი, მილანი, რომა (ყველა - იტალია); ცსკა, ხიმკი (ორივე - რუსეთი); პანათინაიკოსი, ოლიმპიაკოსი (ორივე - საბერძნეთი); ეფესი პილსენი, ფენერბაჰჩე (ორივე - თურქეთი); ლეტუვოს რიტასი, ჟალგირისი (ორივე - ლიტვა); მაკაბი (ისრაელი); ციბონა (ხორვატია); ვილერბანი (საფრანგეთი); სოპოტი (პოლონეთი); პარტიზანი (სერბეთი); ოლიმპია (სლოვენია); ბონი ან ოლდენბურგი* (გერმანია).

* - გერმანიის ჩემპიონატის ფინალი ჯერ არ დასრულებულა.

**საკვალიფიკაციო ტურნირი:** ორლეანი, ლე მანი (ორივე - საფრანგეთი); ბენეტონი (იტალია); მარუსი (საბერძნეთი); შარლერუა (ბელგია); ვენსტპილსი (ლატვია); აზოვმაში (უკრაინა); ალბა (გერმანია).

საკვალიფიკაციო რაუნდისა და პირველი ჯგუფური ტურნირის წილისყრა 8 ივლისს ბარსელონაში გაიმართება.

# ბაზარი მალე გაიხსნება



კარლოს ბუზერს სხვა გუნდში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ

პირველი ივლისიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალი აგენტების ბაზარი დაიწყება. კლუბების გენერალური მენეჯერები შემადგენლობების გასაძლიერებლად სასურველ კანდიდატებს ირჩევენ, მით უმეტეს, რომ ამ ზაფხულს უკონტრაქტო მოთამაშეებს შორის რამდენიმე ვარსკვლავი ურევია. ESPN-მა ამ კალათბურთელების მომავალი კარიერის პროგნოზირება სცადა.

## ალენ აივერსონი (დეტროიტი)

***მცველი, 183 სმ, 34 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 17.5 ქულა, 3.0 მოხსნა, 5.0 პასი, ხელფასი ბოლო სეზონში - 20.8 მილიონი*

"დეტროიტში" **აივერსონის** გადასვლას თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედეს. კალათბურთელის მხოლოდ ყველაზე ერთგულმა ფანებმა დაიჯერეს, რომ ალენმა თავისი გუნდი იპოვა. "პისტონზის" პრეზიდენტმა **ჯო დუმარსმა** ვერც კი დამალა "ანსვერის" ყველა კონფლიქტი კოლექტივთან, მწვრთნელთან, კლუბის ხელმძღვანელობასთან...

ახლა, "დეტროიტი" არც კი ცდილობს ვეტერანის შენარჩუნებას. კლუბში "დიდი გადატრიალება" მზადდება. არავინ მალავს იმ ფაქტს, რომ "პისტონზი" შეიძლება დატოვოს მეორე თავისუფალმა აგენტმა **რაშიდ უოლასმა** და **ტაიშონ პრინსმა**.

სავარაუდოდ, ბაზარზე აივერსონის გამო დიდი ბრძოლა არ იქნება. ყველაზე სავარაუდო ვარიანტი "შარლოტში" **ლარი ბრაუნის** ხელმძღვანელობით კარიერის გაგრძელებაა. ალენი სოლიდურ კონტრაქტს, ალბათ, ვერ მიიღებს - ერთადერთი, რაც შეუძლია, ვეტერანის მინიმალურ ჯამაგირს გამოჰკრას ხელი.

## რონ არტესტი (ჰიუსტონი)

***ფორვარდი, 201 სმ, 29 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 17.1 ქულა, 5.2 მოხსნა, 3.3 პასი, ხელფასი ბოლო სეზონში - 7.4 მილიონი*

**არტესტი** შეზღუდული თავისუფალი აგენტი გახდა. სავარაუდოდ, თუ ნებისმიერი სხვა კლუბი მას სარფიან კონტრაქტს შესთავაზებს, "როკეტსი" იმავე წინადადებით მიმართავს კალათბურთელს და ამ ხერხით მას თავისთან დაიტოვებს. მას შემდეგ, რაც არტესტმა ქრონიკულად ტრავმირებული **ტრეისი მაკგრეიდი** შეცვალა, "ჰიუსტონმა", როგორც იქნა, გადალახა პლეი ოფის პირველი ეტაპი. არტესტის **შეინ ბატიესთან** წყვილში შეუძლია ისეთი მოთამაშეების შებოჭვა, როგორებიც არიან **კობი ბრაიანტი** ან **ლებრონ ჯეიმსი**. შეტევაში კი არტესტი ნამდვილი ლიდერივით მოქმედებს.

დღეს ჰიუსტონის ქუჩებში თითქმის აღარ ახსენებენ მაკგრეიდის. პლეი ოფის მეორე რაუნდში "ლეიკერსთან" თითქმის თანაბარი ბრძოლის შემდეგ, არტესტი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სასურველი გახდა. "როკეტსი" ყველაფერს გააკეთებს რონის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ფორვარდი თავად არ მოინდომებს იმ გუნდის დატოვებას, სადაც, როგორც იქნა, წარმატებას მიაღწია.

## კარლოს ბუზერი (იუტა)

***ფორვარდი, 206 სმ, 27 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 16.2 ქულა, 10.4 მოხსნა, 2.1 პასი, ხელფასი ბოლო სეზონში - 11.2 მილიონი*

**ბუზერის** გაცვლის შესახებ ჭორები ჯერ კიდევ რეგულარული სეზონის მსვლელობისას გაჩნდა. გულშემატკივრების მხრიდან პრეტენზიებმა მძიმე ფორვარდის იმიჯი დააზარალა. ფანების აზრით, ტრავმირებული ბუზერი 11.2 მილიონს იღებდა, მოედანზე დაბრუნებას კი არ ჩქარობდა. ახლა "კარლიტო" უფრო სარფიანი კონტრაქტის გაფორმებას შეეცდება. მაგრამ "ჯაზი", ალბათ, არ მოისურვებს ბუზერისთვის მეტის გადახდას. ივლისიდან ამოქმედდება **დერონ უილიამსის** ახალი კონტრაქტი - 4 წლის განმავლობაში ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო პლეიმეიკერი 70 მილიონ დოლარს მიიღებს. შესაბამისად, ბუზერისთვის ხელფასის მომატება ფიზიკურად შეუძლებელი იქნება. უკვე დღეს ბუზერს "ნიუ ჯერსიში" ან "დეტროიტში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

## ჯეისონ კიდი (დალასი)

***მცველი, 193 სმ, 36 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 9.0 ქულა, 8.7 პასი, 2.0 ჩაჭრა, ხელფასი ბოლო სეზონში - 21.3 მილიონი*

დღევანდელ "დალასში" **ჯეისონ კიდი** მთავარი ორგანიზატორია. "მავერიქსს" კარგი შემტევი კალათბურთელები ჰყავს: **დირკ ნოვიცკი, ჯეისონ ტერი** და **ჯოშ ჰოვარდი**, კიდის ტეხასში გადაბარგების შემდეგ, მათ სროლისთვის უფრო ხელსაყრელი მომენტები ექმნებათ. რა თქმა უნდა, კიდმა ძველი კონდიციები დაკარგა და სავარაუდოდ, ძველ დონეს ველარ დაუბრუნდება, მაგრამ ჯეისონს პლეი ოფში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს, მას უჯერებენ პარტნიორები და ახალგაზრდა თაობას თავის ცოდნას გადასცემს. ჯეისონის შენარჩუნება "დალასის" ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება.

## მაიკ ბიბი (ატლანტა)

***მცველი, 188 სმ, 31 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 14.9 ქულა, 5.0 პასი, 1.2 ჩაჭრა, ხელფასი ბოლო სეზონში - 14.5 მილიონი*

"ჰოუქსის" გამთამაშებელი დაახლოებით ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, როგორშიც კიდი იმყოფება. ისიც შეუზღუდავი თავისუფალი აგენტია და "ატლანტა" ყველაფერს გააკეთებს მის შესანარჩუნებლად. **მაიკის** წასვლით დაეცემა **ჯოშ სმიტის** ეფექტურობა, **ჯო ჯონსონის** შედეგიანობა და **ელ ჰორფორდის** პროგრესი. "ატლანტას" სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ თავად ბიბისაც სავსებით აძლევს ხელს თავისი ამჟამინდელი გუნდი.

## ლამარ ოდომი (ლეიკერსი)

***ფორვარდი, 208 სმ, 30 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 11.3 ქულა, 8.2 მოხსნა, 2.6 პასი, ხელფასი ბოლო სეზონში - 14.2 მილიონი*

წლევანდელი ფინალური სერიის წინ, **ოდომის** მომავალი გაურკვეველი იყო. ლამარის მთავარი მტერი არასტაბილურობაა და მის მომავალ კარიერაში განმსაზღვრელი ფაქტორი "ორლანდოსთან" ფინალური სერია უნდა ყოფილიყო. იმავე სიტუაციაში იყო **ტრევორ არიზაც**. ორივემ ფინალი უმაღლეს დონეზე ითამაშა და თითქმის გაინაღდა გუნდში დარჩენა. რაც მთავარია, ოდომისა და არიზას შენარჩუნება **კობი ბრაიანტს** სურს, მისი სიტყვა კი "ლეიკერსში" თითქმის კანონია.

## შონ მერიონი (ტორონტო)

***ფორვარდი, 201 სმ, 31 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 12.9 ქულა, 8.5 მოხსნა, 2.0 პასი, ხელფასი ბოლო სეზონში - 17.8 მილიონი*

"სანზიდან" წასვლის შემდეგ, **მერიონის** კარიერამ დაღმასვლა იწყო. მან საკუთარი თავი ვერ იპოვა ვერც "მაიამიში" და ვერც "ტორონტოში". და, ალბათ, ვერსად იპოვის, თუ კვლავ **სტივ ნეშის** ან რომელიმე მაღალი დონის პლეიმეიკერის გვერდით არ ითამაშებს. **სტივ კერი** ჯერჯერობით კი არ აპირებს მერიონის "ფინიქსში" დაბრუნებას.

## ბენ გორდონი (ჩიკაგო)

***მცველი, 191 სმ, 26 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 20.7 ქულა, 3.4 პასი, 0.9 ჩაჭრა, ხელფასი ბოლო სეზონში - 6.4 მილიონი*

ბოლო რამდენიმე სეზონია **გორდონი** "ბულზის" ლიდერი იყო. ამ რეგულარულის მსვლელობისას ის ცოტათი დებიუტანტ **როუზის** ჩრდილში მოექცა, მაგრამ პლეი ოფში ძველ დონეს დაუბრუნდა. გასულ წელს, გორდონმა არ გამოიყენა კონტრაქტში არსებული პუნქტი და უარი განაცხადა ხელშეკრულების გაგრძელებაზე, რათა შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობასთან უკეთესი კონტრაქტისთვის "ევაჭრა". მხარეები ვერ შეთანხმდნენ მრავალწლიან თანამშრომლობაზე და ერთსეზონიანი კონტრაქტით დაკმაყოფილდნენ. დღეს, გორდონისა და "ხარების" მოლაპარაკებებზე ინფორმაცია არ ვრცელდება. ამ კალათბურთელის მიმართ სხვა კლუბებიც გამოთქვამენ დაინტერესებას.

## ჰედო თურქოგლუ (ორლანდო)

***ფორვარდი, 203 სმ, 30 წლის***

***2008-09 წლების სეზონი:** 16.8 ქულა, 5.8 მოხსნა, 4.9 პასი, ხელფასი ბოლო სეზონში - 6.8 მილიონი*

თურქმა ფორვარდმა ისარგებლა კონტრაქტში არსებული პუნქტით და უარი თქვა მომავალ წელს "ორლანდოში" თამაშზე. **რაშარდ ლუისისა** და **დუაიტ ჰოვარდის** მაღალი ხელფასების გამო, "მეჯიქს" არ შეუძლია ჰედოსთვის უფრო სარფიანი წინადადების შეთავაზება. ამიტომაც, მაღალია ალბათობა იმისა, რომ თურქი "მეჯიქს" დატოვებს. თუმცა კლუბის ინტერესებში შედის ფორვარდის შენარჩუნება, ამიტომაც ორივე მხარე კომპრომისს ეძებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მონსტრი სიენადან



ევროპაში დასრულდა წამყვანი საკალათბურთო ქვეყნების ჩემპიონატები. დღეს შევაჯამებთ სეზონს იტალიაში, სადაც კონკურენტებს ქარიშხალივით გადაუარა სიენას "მონტეპასკიმ".

ამ გუნდმა ზედიზედ მესამედ მოიპოვა იტალიის ჩემპიონის ტიტული. შიდა არენაზე "მონტეპასკიმ" 43 მატჩში (იტალიის თასის ჩათვლით) ერთადერთი(!) მარცხი იწვნია. თეთრ-მწვანეების კონკურენტებზე უპირატესობა ძალიან დიდი იყო. საკმარისია ვახსენოთ ერთი ფაქტი: ქალაქ სიენას კლუბმა პლეი ოფში ცხრა მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთ შეხვედრაში შეადგინა მისმა უპირატესობამ 10 ქულაზე ნაკლები, ხოლო შვიდ მატჩში 20 ქულაზე მეტი მოუგო კონკურენტებს!

"მონტეპასკი" კარგად შეთამაშებული გუნდია, რაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მწვრთნელის **სიმონე პიანიჯანის** დამსახურებაა. გუნდი სანახაობრივ, შეტევაზე ორიენტირებულ კალათბურთს აჩვენებს. სიენელები ევროლიგაზეც ღირსეულად გამოიყურებოდნენ - გაანადგურეს მოსკოველი არმიელები, ხოლო ფინალამდე გზა მომავალმა ჩემპიონმა, საბერძნეთის "პანათინაიკოსმა" გადაუღობა. თუ კლუბი დღევანდელი შემადგენლობის შენარჩუნებას მოახერხებს, მომავალ სეზონში "მონტეპასკი" ევროლიგის მოგების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იქნება.

"მონტეპასკის" ტოტალური დომინაციის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ იტალიის ჩემპიონატმა უინტერესოდ ჩაიარა, პირიქით, "ტერამოსა" და "ბიელას" მოულოდნელი აღზევებით სეზონი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა.

ქალაქ ტერამოს კლუბმა, რომელიც ადრე არასოდეს ბრწყინავდა, რეგულარულ ჩემპიონატში საკმაოდ მაღალი - მესამე ადგილი დაიკავა, პლეი ოფის პირველ რაუნდში კი დიდი ბრძოლა გაუმართა გამოცდილ მილანურ კლუბ "არმანი ჯინსს". ამასთან, სამი მოგებული მატჩიდან ორში მილანელთა უპირატესობამ მხოლოდ ერთი ქულა შეადგინა.

მაგრამ ტურნირის ნამდვილი სენსაცია გახდა მოკრძალებული "ბიელა", რომელმაც მეოთხედფინალური სერიის ბოლო მეხუთე მატჩში სტუმრად დაამარცხა რომის "ლოტომატიკა". ნახევარფინალში კი "არმანი ჯინსს" დიდი ჯაფა დაადგა პროვინციული გუნდის დასამარცხებლად.

უკვე ნახსენები რომის "ლოტომატიკა" სეზონის მთავარი იმედგაცრუება გახდა. რეგულარულ ჩემპიონატში დედაქალაქელებმა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლეს მეორე ადგილის დაკავება, თუმცა 10 ნაგება დააგროვეს. ევროლიგაზე უარესი შედეგი ჰქონდათ - მეორე ეტაპზე ძლივს გასულმა "ლოტომატიკამ" ერთადერთხელ მოიგო, ისიც ბოლო ტურში ბელგრადის "პარტიზანთან" მატჩში, რომელიც არაფერს წყვეტდა. ამ გუნდის ფიასკო იტალიური პლეი ოფის მეოთხედფინალში უკვე ვახსენეთ.

ერთი სიტყვით, ეკონომიკური კრიზისისა და მთელი რიგი კლუბების რთული ფინანსური სიტუაციის მიუხედავად, იტალიის ლიგა ევროპაში ერთ-ერთ წამყვან პოზიციას ინარჩუნებს, ხოლო მისი უძლიერესი კლუბები, პირველ რიგში კი "მონტეპასკი", სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ევროპულ სარბიელზე.

**იტალია 2008/2009**

**რეგულარული ჩემპიონატი**

| | მ | წ |
|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 29 | 1 |
| 2. ლოტომატიკა | 20 | 10 |
| 3. ტერამო | 19 | 11 |
| 4. ბენეტონი | 18 | 12 |
| 5. ფორტიტუდო | 17 | 13 |
| 6. არმანი ჯინსი | 17 | 13 |
| 7. ბიელა | 15 | 15 |
| 8. სკავოლინი | 14 | 16 |
| 9. კანტუ | 14 | 16 |
| 10. ფერარა | 14 | 16 |
| 11. აველინო | 13 | 17 |
| 12. მონტეგრანარო | 12 | 18 |
| 13. კაზერტა | 11 | 19 |
| 14. რიეტა | 11 | 19 |
| 15. ბოლონია | 10 | 20 |
| 16. სნაიდერო | 6 | 24 |

**პლეი ოფი**

**1/4 ფინალი (3 მოგებამდე)**

**მონტეპასკი-სკავოლინი** 3:0
94:51, 77:68, 93:69

**ლოტომატიკა-ბიელა** 2:3
80:67, 77:82, 99:84, 67:85, 79:83

**ტერამო-არმანი ჯინსი** 1:3
75:85, 82:83, 85:77, 69:70

**ბენეტონი-ფორტიტუდო** 3:2
85:77, 81:94, 91:73, 78:99, 78:72

**1/2 ფინალი (3 მოგებამდე)**

**მონტეპასკი-ბენეტონი** 3:0
107:79, 92:72, 101:76

**არმანი ჯინსი-ბიელა** 3:1
72:70, 81:82, 75:70, 89:68

**ფინალი (4 მოგებამდე)**

**მონტეპასკი-არმანი ჯონსი** 4:0
80:57, 79:66, 73:72, 82:47

**მონტეპასკი 2008-09**

კშიშტოფ ლავრინოვიჩი (ლიტვა), შონ სტოუნრუკი (აშშ), ტერელ მაკინტაირი (აშშ), ჰენრი დომერკანტი (აშშ), რიმანტას კაუკენასი (ლიტვა), რომენ სატო (ცენტრალური აფრიკა), ბენჯამინ ეზე (ნიგერია), ტომას რესი (აშშ), არიელ მაკდონალდი (აშშ), მორის ფინლი (აშშ), ლუკა ლეხტალერი, სიმონე ჩენტანი, მარკო კარარეტო.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2009**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-იტალია | 1:2 |
| სერბეთი-შვედეთი | 1:3 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ვინტერტ. | 0:0, პენ. 6:5 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნოტოდენი-ნილი | 2:3 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

**პლეი ოფი. ფინალი**

| | |
|---|---|
| ტელეკომი-ოლდენბურგი | 66:82 |

TV პროგრამა

**24 ივნისი. ოთხშაბათი**

**I არხი**

22:20 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-აშშ. სამხრეთ აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:25 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
09:15 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
10:00 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-ბატე.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-აიაქსი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. პორტუ-დინამო.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
22:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:40 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ევერტონი.
00:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. იუვენტუსი-რეალი.
02:25 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
04:15 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
04:45 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. კრუზეირო (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია) (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 პარაოლიმპიური სახეობები. მსოფლიოს თასი. მანჩესტერი. ინგლისი.
11:30 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩები.
12:30 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
15:30 სნუკერი. მსოფლიოს სერია. II დღე. ირლანდია.
17:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. სამხრეთ კორეა-ჩრდილოეთ კორეა.
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
19:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-ესპანეთი.
20:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩები.
21:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი.
22:00 ევროსპორტი. ტელეჟურნალი.
22:30 მულტისპორტი.
22:35 ცხენოსნობა. ერთა თასი. როტერდამი. ჰოლანდია.
23:35 ცხენოსნობა. ჟოკეების კლუბი.
23:40 გოლფი.
23:50 გოლფი. ევროპის ტური.
00:20 გოლფ-კლუბი.
00:25 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:45 ევროსპორტი. ტელეჟურნალი.
01:15 სპორტული ცეკვები. მონაკო.
02:15 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.

ველოსპორტი

# ახალი სკანდალი?



როგორც ჩანს, პროფესიულ ველოსპორტში ახალი სკანდალი მწიფდება. ავსტრიელი ველომრბოლი **ბერნარდ კოლი**, რომელმაც შარშანდელ ტურ დე ფრანსზე აკრძალული პრეპარატის - ერითროპოეტინის გამოყენებისთვის დისკვალიფიკაცია მიიღო, საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა.

*"ტესტირების ჯგუფის გენერალური მდივანი და ხელმძღვანელი ბერნარდ კოლს შეხვდნენ და მისგან გარკვეული ინფორმაცია მიიღეს. ველომრბოლის მიერ გადმოცემულ მასალებს შევისწავლით და დასკვნებს შემდეგ გამოვიტანთ"*, - ამბობს "როიტერთან" ინტერვიუში ანტისადოპინგო სააგენტოს პრეზიდენტი **პიერ ბორდრი**. როგორც ეს უკანასკნელი აცხადებს, კოლმა მას უთხრა, რომ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს და მზად არის სააგენტოსთან თანამშრომლობისთვის.

შარშანდელი დოპინგსკანდალის შემდეგ, ავსტრიელმა ველომრბოლმა კარიერა დაასრულა. მაშინ მან განაცხადა, რომ თავს ანებებს ველოსპორტს, რადგან არ სურს ცხოვრება გააგრძელოს სპორტში, რომელიც სადოპინგო ტყუილზეა დაფუძნებული.

კრივი

# ვინ შეხვდება კლიჩკოს?

**რუსლან ჩაგაევის** დამარცხების შემდეგ, უკრაინელი მძიმეწონოსანი, IBF-სა და WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვლადიმერ კლიჩკო** დასვენებას აპირებს და მორიგი ბრძოლის გამართვა შემოდგომაზე აქვს დაგეგმილი. ვინ იქნება მისი მორიგი მეტოქე? გამოუცდელმა კუბელმა **ოდლანიერ სოლისმა** ბრძოლა შესთავაზა ჩემპიონს, მაგრამ ექსპერტთა აზრით, ეს ჩხუბი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან სხვა მსურველიც მრავლადაა.

## ნიკოლაი ვალუევი (რუსეთი)

კლიჩკოების მთავარი მიზანი! რუსი WBA-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელია. სწორედ ეს ტიტული აკლიათ ძმებს ჯილდოების კოლექციის სრულად შესავსებად. თანაც, ფანებს ერთი სული აქვთ, 150-კილოიანი **ვალუევის** რინგზე დაცემის ხმა გაიგონონ. 20 ივნისს, რუსმა არ მოინდომა **დევიდ ჰეის** შეცვლა და ვლადიმერთან ჩხუბი, მაგრამ მზად არის შემოდგომაზე რომელიმე ძმას დაუპირისპირდეს.

## დევიდ ჰეი (ბრიტანეთი)

ბევრს ლაყბობდა და ამით კლიჩკოებს შურისძიების სურვილი გაუღვიძა. სწორედ ამის წყალობით დაიმსახურა ვლადიმერ კლიჩკოსთან ბრძოლა, მაგრამ ტრავმის გამო ვერ შეძლო რინგზე გასვლა. მაყურებლებს აინტერესებთ, რამდენად სერიოზული იქნება ბრიტანელის არგუმენტები რინგზე. ამის გაგება იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რომელიმე კლიჩკო კიდევ ერთხელ მისცემს დევიდს თავის გამოჩენის საშუალებას.

## ალექსანდრ პოვეტკინი (რუსეთი)

რუსი IBF-ის ოფიციალური პრეტენდენტია. ჯერ კიდევ დეკემბერში უნდა ეჩხუბა ვლადიმერის წინააღმდეგ, მაგრამ ტრავმა მიიღო. კლიჩკოს მიაჩნია, რომ ორი ოლიმპიური ჩემპიონის ბრძოლა საინტერესო იქნება. რუსის მენეჯერები ჩხუბის მოსკოვში ორგანიზებაზე ოცნებობენ.

## კრის არეოლა (აშშ)

**ვიტალი კლიჩკო** უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებებს დაუმარცხებელ ამერიკელთან. **არეოლას** დიდი გამარჯვებებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ ოკეანის გაღმა მისი დიდი იმედი აქვთ. კლიჩკოს წარმომადგენლები შემოდგომაზე ჩხუბის გასამართავად კრისს ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევენ.

## დმიტრენკო (უკრაინა) ან ემბერსი (აშშ)

ეს ორი მოკრივე 4 ივლისს WBO-ის ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსის მოსაპოვებლად იბრძოლებს. **ჩემბერსს** შეეძლო ასეთივე სტატუსი IBF-ისგანაც მიეღო, მაგრამ ქულებით წააგო **პოვეტკინთან**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს პროფესიულ რინგზე ჯერ წაგება არ აქვს.

■ ■ ■

20 ივნისს ვლადიმერ კლიჩკოს წინააღმდეგ არა უზბეკ ჩაგაევს, არამედ ბრიტანელ მძიმეწონოსან დევიდ ჰეის უნდა ეჩხუბა, მაგრამ, როგორც გითხარით, ტრავმის გამო ვერ შეძლო რინგზე გასვლა.

სკანდალურად ცნობილმა მოკრივემ კლიჩკოსა და ჩაგაევის ბრძოლაზე კომენტარი გააკეთა და მას მოსაწყენი სანახაობა უწოდა. ბრიტანელის თქმით, უკრაინელს შეეძლო პირველივე რაუნდში ნოკაუტში ჩაეგდო მოწინააღმდეგე, მაგრამ ეს "საცოდავი შოუ" მეათე რაუნდამდე გაწელა. თავის მხრივ, ვლადიმერმა ჰეის "ინფანტილური პიროვნება" უწოდა და "ბინძური პირის" დახურვა ურჩია.

■ ■ ■

პროფესიული კრივის ცნობილი პრომოუტერი **ბობ არუმი** საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თხოვნით მიმართავს. არუმს სურს, რომ მის კლიენტს - კუბელ **იურიორკის გამბოას** ახალი ოლიმპიური მედალი დაუმზადონ.

კუბელი 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა, მაგრამ შემდეგ იძულებული შეიქნა, 1 500 დოლარად გაეყიდა ეს ჯილდო იმისთვის, რომ თავისი გოგონას დაბადების დღის ალსანიშნავი ზეიმის ფული გადაეხადა.

ორი წლის წინ, 27 წლის გამბოა კუბიდან გაიქცა და პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი. 25 ივლისს, კუბელი მოკრივე პირველად დაიცავს 57.2 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2009

# ერთი ანა გადარჩა, მეორე ვერა



**უიმბლდონის** მეორე სათამაშო დღეს მთავარი ამბები ქალთა ბადეში განვითარდა. იქ რამდენიმე განთესილი გამოაკლდა ტურნირს და ერთ მატჩში კინაღამ ხმამაღალი სენსაცია დაფიქსირდა.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** ჩეხ **ლუსი ჰრადეცკას** წინააღმდეგ ბეწვის ხიდზე გაიარა. მეტოქეებმა პირველ ორ სეტში გამარჯვებები გაცვალეს. დრამატულად განვითარდა მოვლენები მესამე პარტიის ბოლოს. 5:4-ზე ივანოვიჩს მატჩ-პოინტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა. ჰრადეცკამ ზედიზედ ორი გეიმი აიღო და 6:5-ზე ორჯერ შეეძლო ერთი დარტყმით მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება. სერბმა ეს რთული მომენტი წარმატებით გადალახა, ჰრადეცკამ კი ნერვები ველარ მოთოკა და ზედიზედ სამი გეიმის წაგებით ლამის მოგებული მატჩი ჩააბარა ივანოვიჩს.

განთესილთაგან უნდა აღვნიშნოთ რუსი **ანა ჩაკვეტაძის** დამარცხება გერმანული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავთან, 19 წლის **საბინ ლისიცკისთან**. ადრე ეს ჩოგბურთელები ერთხელ იყვნენ შეხვედრილი და მაშინაც გამარჯვება გერმანელ სპორტსმენს დარჩა.

ამჯერად ჩაკვეტაძისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. რუსმა ერთი ბრეიკის წყალობით 6:4 მოიგო პირველი სეტი. მეორე პარტიაშიც თითქმის სულ წინ იყო, ტაი-ბრეიკსაც 4:2-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და გერმანელს სეტებში ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. მესამე პარტიაში ლისიცკიმ თავიდანვე ბრეიკი გააკეთა და ეს საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად.

საინტერესო იყო 18 წლის დანიელი ვარსკვლავის **კაროლინ ვოზნიაჩკის** შეხვედრა 38 წლის იაპონელ ვეტერანთან, 1996 (!) წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტ **კიმიკო დატესთან**. აზიელს სეტნახევრისთვის ეყო ენერგია. პირველ სეტში მან სამჯერ აიღო მეტოქის მოწოდება და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. დატემ მეორე პარტიაში ორი ბრეიკი მიითვალა, მაგრამ თავისი მოწოდება ოთხჯერ წააგო, რის შემდეგაც საბოლოოდ დანებდა და გადამწყვეტ პარტიაში მხოლოდ ერთი გეიმის აღება მოახერხა.

## კაცები

### I წრე

**ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:5, 6:7(3), 6:3, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 5)**-არნო კლემანი (საფ) 6:3, 6:1, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:3, 7:6(3), 4:6, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ, 8)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:4, 6:3, 6:3; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 10)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:5, 7:5, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 12)**-დანიელ ევანსი (ბრიტ) 6:2, 6:3, 6:3; **ჯესი ლევინი (აშშ)**-მარატ საფინი (რუს, 14) 6:2, 3:6, 7:6(4), 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 16)**-კევინ კიმი (აშშ) 7:5, 6:3, 4:6, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)**-ედუარდო შვანკი (არგ) 7:5, 6:4, 6:1; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 20)**-ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ) 6:3, 6:4, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 23)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:4, 6:4, 6:1; **ტომი ჰაასი (გერ, 24)**-ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:7(5), 7:6(0), 6:3, 6:4; **მიშა ზვეერვი (გერ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 25) 6:4, 6:2, 3:0; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 26)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:1, 6:4, 6:2; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 30)**-ბრაიან დაბული (არგ) 6:4, 6:4, 6:3; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ, 31)**-ივან ნავარო (ესპ) 6:3, 6:7(5), 6:4, 6:7(5), 12:10; **ფაბრის სანტორო (საფ)**-ნიკოლას კიფერი (გერ, 33) 6:4, 6:2, 6:2; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:0, 6:0, 6:3; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-ჯოშუა გუდელი (ბრიტ) 4:6, 7:6(5), 6:4, 3:6, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:3, 7:6(3), 6:3; **ფაბიო ფონინი (იტა)**-დენის ისტომინი (უზბ) 1:6, 6:7(3), 6:4, 3:1 ისტომინის უარი; **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-ფრედერიკო ჟილი (პორ) 6:1, 2:6, 6:4, 6:2; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:4, 6:4, 6:1; **პაბლო კუევასი (ურუ)**-კრისტოფ როხუსი (ბელ) 3:6, 4:6, 6:4, 6:1, 11:9; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ხოსე აკასუსო (არგ) 7:6(0), 6:3 აკასუსოს უარი; **ვიქტორ კრივოი (რუმ)**-ბიორნ ფაუ (გერ) 4:6, 6:1, 7:6(3), 2:6, 6:3; **ნიკოლა დევილდერი (საფ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 3:6, 6:4, 6:3, 4:6, 7:5; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-რაჯივ რამი (აშშ) 2:6, 6:1, 7:6(3), 6:1; **ტიაგუ ალვეში (ბრა)**-ანდრეი პაველი (რუმ) 6:3, 2:6, 6:1, 2:6, 6:1; **იგორ კუნიცინი (რუს)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 3:6, 6:0, 4:0 დიმიტროვის უარი; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-რიკარდო გედინი (იტა) 6:2, 6:4, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 1)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:1, 6:1; **მარტინ ვასალო-არგელო (არგ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 4:6, 6:3, 6:2, 6:2; დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ)-ტეილორ დენტი (აშშ) 7:5, 7:6(6), 4:6 გადაიდო.

## ქალები

### I წრე

**დინარა საფინა (რუს, 1)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 7:5, 6:3; **ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-სტეფანი ფოგელი (შვეიც) 6:3, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:3, 7:6(1); **ელენა იანკოვიჩი (სერ, 6)**-ჯულია გორჯესი (გერ) 6:4, 7:6; **ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-ჟორჟი სტუპი (ბრიტ) 7:6(0), 4:6, 6:4; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 9)**-კიმიკო დატე კრუმი (იაპ) 5:7, 6:3, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11)**-მარია ხოსე სანჩეს მარტინესი (ესპ) 7:5, 6:1; **ანა ივანოვიჩი (რუს, 13)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 5:7, 6:2, 8:6; **ფლავია პენეტა (იტა, 15)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 3:6, 6:1, 6:0; **ამელი მორესმო (საფ, 17)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:1, 4:6, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 18)**-ბეტანი მატეკ-სანდსი (აშშ) 6:4, 6:7(6), 6:2; **ნა ლი (ჩინ, 19)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 7:6(5), 6:0; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 20)**-მარტა დომახოვსკა (პოლ) 3:6, 6:3, 6:3; **ვერა დუშევინა (რუს)**-ალიზ კორნე (საფ, 22) 3:6, 6:0, 6:4; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-კაია კანეპი (ესტ, 25) 4:6, 6:3, 6:3; **მელანი ოუდინი (აშშ)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 29) 4:6, 6:4, 6:2; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-აგნეს შავაი (უნგ, 30) 7:5, 6:4; **საბინ ლისიცკი (გერ)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 32) 4:6, 7:6(4), 6:2; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ტატიანა პერებიინისი (უკრ) 4:6, 6:3, 6:4; **პატრისია მაირი (ავსტრია)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 7:5, 6:2; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:3, 7:6(5); **შუაი პენგი (ჩინ)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:4, 2:6, 6:4; **ტატიანა გარბინი (იტა)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:4, 6:3; **როსანა დე ლოს რიოსი (პარ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) 6:4, 6:7 (5), 6:4; **მარია კირილენკო (რუს)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:4, 6:4; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-კატი ო'ბრაიენი (ბრიტ) 6:2, 5:7, 6:4; **სარა ერანი (იტა)**-სტეფანი დუბუა (კან) 7:5, 6:2; **ტატიანა მალეკი (გერ)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 3:6, 7:5, 6:2; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:1, 6:0; **პოლინ პარმენტიე (საფ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:4, 1:6, 6:3; **ვანია კინგი (აშშ)**-მარია კორიტცევა (უკრ) 6:4, 6:2; **კრისტინა კუკოვა (სლვკ)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 2:6, 6:3, 6:3; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 3:6, 6:3, 6:4; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ბარბარა ზახვალოვა-სტრიკოვა (ჩეხ) 7:5, 2:6, 6:3.



# მაინც ვიყვირებ!

## მონიკა სელეშსა და მარია შარაპოვას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდათ

**მსოფლიოს** ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული 16 წლის პორტუგალიელი **მიშელ ლარშერ დე ბრიტო** აცხადებს, რომ არ აპირებს მატჩის მსვლელობისას თავისი ხმის სიმძლავრის კონტროლირებას. როლან გაროსის მსვლელობისას პორტუგალიელი ჩოგბურთელის მეტოქეები ჩიოდნენ იმის გამო, რომ ბურთის დარტყმისას დე ბრიტო ძალიან ხმამაღალ და გრძელ ბგერებს გამოსცემს, თანაც ამას შეგნებულად აკეთებს, რათა მოწინააღმდეგეს კონცენტრაციაში შეუშალოს ხელი.

ორშაბათს, პორტუგალიელს დებიუტი ჰქონდა უიმბლდონზე. მან პირველ წრეში 6:2, 7:5 დაამარცხა **კლარა ზაკოპალოვა**, მაგრამ ამჯერად დე ბრიტოს ხმის ბგერების სიმძლავრე ჩვეულებრივზე დაბალი იყო. კულუარებში იმაზეც კი ჭორაობდნენ, რომ მსაჯებმა სპეციალურად გააფრთხილეს ჩოგბურთელი, კონტროლი გაეწია საკუთარი თავისთვის, თუმცა თავად მოთამაშე ამას სხვა ახსნას აძლევს.

*"ყველაფერი მატჩის დაძაბულობაზეა დამოკიდებული,* - განაცხადა უიმბლდონის ოფიციალურ ვებგვერდზე დე ბრიტომ. - *პირველი წრის შეხვედრა საკმაოდ იოლი გამოვიდა. შემდეგ მატჩებში ბრძოლა უფრო დაიძაბება და მე, ალბათ, ყვირილს მოვუმატებ. ამას ბავშვობიდან ვაკეთებ და რა თქმა უნდა, ეს წინასწარ დაგეგმილი არ არის - უბრალოდ, ასეთია ჩემი სათამაშო სტილი. თუ ამაზე უარს ვიტყვი, გამიჭირდება მატჩების დროს კონცენტრაცია და ეს ჩემს დამაჯერებლობაზეც იმოქმედებს.*

*ვერავინ მაიძულებს გაჩუმებას. ეს ინდივიდუალური სპორტია, სადაც საკუთარი თავისთვის ვთამაშობ და არ ვაპირებ ვილაცის პრეტენზიებს მოვერგო. მე აქ საბრძოლველად და მოსაგებად ჩამოვედი. სულ ეს არის. თუ ვინმეს არ მოსწონს ეს ხმები, შეუძლია სტადიონიდან წავიდეს. რა იქნება, თუ მსაჯები ზედმეტი ხმაურის გამო დამაჯარიმებენ? არა უშავს. მირჩევნია ფული გადავიხადო, ვიდრე ცუდად განვეწყო მატჩისთვის და ამის გამო წავაგო",* - დაამატა ლარშერ დე ბრიტომ.

ცურვა

# ბერნარს რეკორდი წაართვეს



**ცურვის** საერთაშორისო ფედერაციამ (FINA) უარი თქვა მსოფლიოს სამი რეკორდის დამტკიცებაზე. ამ ორგანიზაციამ გააუქმა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ფრანგი **ალან ბერნარის** მიერ აპრილში, ქვეყნის ჩემპიონატში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებული რეკორდი (46.94 წამი). FINA-ს ეს გადაწყვეტილება გაკვირვებას იწვევს იმის გამო, რომ ის საცურაო კოსტიუმი, რომლითაც ფრანგი ჩემპიონატში გამოდიოდა, ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ ლეგალურად მონათლა და სპორტსმენებს მისი გამოყენების უფლება მისცა.

ბერნარის შედეგის გარდა, FINA-მ გააუქმა რუსი მოცურავეების - **ანასტასია ზუევასა** და **იულია ეფიმოვას** რეკორდები - მათ ცოტა ხნის წინ, რუსეთის ჩემპიონატში გამოიჩინეს თავი. *"სპორტსმენებმა ამ ტურნირზე ის კოსტიუმი გამოიყენეს, რომელიც არ არის დაშვებული ფედერაციის მიერ",* - წერია FINA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1




# ალონსოს საჩუქარი

**კვირას** გამართული ბრიტანეთის გრან-პრის წინ ასრულდა ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელის **ერიკ კანტონას** ოცნება.

"სილვერსტოუნის" ტრასაზე ის თავის საყვარელ მრბოლელს **ფერნანდო ალონსოს** შეხვდა და მას დიდი ხნის ნაოცნებარი სარბოლო ჩაფხუტი სთხოვა. სანაცვლოდ კანტონამ "რენოს" პილოტს მანჩესტერის მაისურა აჩუქა და წარმატებები უსურვა.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge